93.567
2

...ის საზოგადოების გამოცემა, № 104.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საყმაწვილო მოთხრობანი

ეკატერინე გაგაშვილისა

წიგნი პირველი

მეორე შევსებული, სურათებიანი გამოცემა.

თბილისი

ელექტრო-მბეჭ. ს. ლოსაბერიძისა, მოსკ. ქ. საკ. ს., № 5.

1913

8-93(899962)

წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა, № 104.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საყმაწვილო ბოლთხრობანი

307 K 93 N 2

ეკატერინე გაბაშვილისა

წიგნი პირველი

მეორე შევსებული, სურათებიანი გამოცემა.

საქართველოს სახ. საჯ. საბიბლიოთეკო
საბჭოთა ბიბლიოთეკა
თბილისი

თბილისი
ელექტრო-მბეჭ. ს. ლოსაბერიძისა, მოსკ. ქ. საკ. ს., № 5.
1913

160

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკატერინე გაბაშვილისა ახალგაზდობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეკატერინე გაგაშვილისა

(მოკლე ბიოგრაფია)

ეკატერინე გაბაშვილისა დაიბადა 1851 წლის ივნისის 16 ქ. გორში. მამა ეკატერინესი თავადი რევაზ ბაადურის ძე თარხნიშვილი დიდად ნაკითხი, გონება-განვითარებული, უზომოდ კეთილი, წესარი, დამჯდარი ხასიათისა და ზნეობით მაღალი ადამიანი იყო. სწავლა რევაზს ჩინებულად ჰქონდა დამთავრებული მაშინდელს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში (ეხლანდელი I გიმნაზია); სწავლის დამთავრების შემდეგაც რევაზი მუდამ მუშაობდა სულიერის განვითარებისათვის, მის სამუშაო ოთახს ამშვენებდნენ მეთვრამეტე საუკუნის მეცნიერთა ნაწერები და ევროპის გამოჩენილ ბერთა სურათები.

დედა ეკატერინესი სოფიო გორში კარგად ცნობილი თავადის ვახტანგ ბაგრატიონ-დავითაშვილის ასული იყო. რადგანაც ვახტანგს მემკვიდრე არ ჰყოლია, სოფიო ვაჟკაცურად აღუზრდია; ცხენზე ჯდომა, თოფის სროლა, იარაღების ხმარება და სხვა ყოველგვარი ვაჟკაცური სიმხნევე მისს თვისებას შეადგენდნენ. სიმღერა, სალამურისა და დაირის დაკვრა, მშვენიერი ლექური და ყოველგვარი მხიარულება ამშვენებდნენ მისს ახოვანს ტანადობას.

ეკატერინე ხუთი წლისა არ იქნებოდა, როცა დედა გარდაეცვალა. დარჩნენ ობლად ბატარა კატო და მისი უმცროსი ძმა სოსიკო. ამათი აღზრდა იკისრა ბებიამ, ბარბარემ, რომელიც ტომით სომეხი იყო, ქართველ მეფეებთან ნამყოფი ამირადოვის ქალი, მაგრამ დიდად განუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარებელი დედაკაცი. იმისი აღზრდის კანონს შემდეგი თქმულება შეადგენდა: „შვილი მტრულად გაზარდე, მოუვრად გამოგადგებაო“. მართლაც ეს ახირებული ადამიანი მტრულად ზრდიდა ბატარა კატოს და მის ძმას: ცემა, დანძღვა, წყევდა, მუჯლუგუნები, ოჯველთვის და ბავშვის ოჯველ სურვილზედ უარის თქმა, ნახევარზედ მშიერმწყურვალედ შენახვა და ოჯველგვარის გახცხრომისა და თუთუნების მოკლება მას აღზრდის აუცილებელ საშუალებად მიაჩნდა.

ექვსის თუ შვიდის წლისა ბატარა კატო „ოსტატს“ მიაბარეს სასწავლებლად. ეს „ოსტატი“ და ჭკუის მასწავლებელი იყო ვიღაც ქვრივი ჩინოვნიკის შირიკოვისა, რომელიც ცხოვრებდა ქ. გორში იმ მხარეს, სადაც ახლაც აღ. ერისთვიშვილის ჩარხის წისქვილებია; ეს ქვრივი ცხოვრებდა განმარტოებულად, ქვითკირის ბატარა სახლში თავისი სამი ხნიერის გაუთხოვარი ქალითა. ორშაბათ დილით ერთი მოსამსახურე ხელში აიყვანდა ბატარა კატოს და მიჰყავდა ოსტატთან, რომელსაც კატოს გარდა ორი სამი სხვა შაგირდიც ჰყავდა. მოწაფეებს თან მიჰქონდათ ოსტატისთვის კვირის საზრდო: თონის ცხრა ბური, ერთი თუნგი დვინო, ექვსი კამი მოსახარში დობიო, უველი, ბატარა კოჭბით ერბო და ხან და ხან ხილიც. ასწავლიდა დედა, ქალები კი ყარაულობდნენ, რომ შაგირდები სახლში არ გაბარულიყვნენ. დილით, ბირის დაბანის შემდეგ, შაგირდებს მოუტეხდნენ ბურის ბატარა ნატეხს და გამხმარ ყველის ნაჭერს, მერე დასხამდნენ მწკრივად ტახტზედ მოკეცილებს და კალთაში ჩაუდებდნენ დიდს ტუავის კაზმით წიგნს „დავითს“. ჯერ ერთი თითის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუოდებით წაიკითხვდა ორს თუ სამს სტრიქონს, მერე მეორე და მერე მესამე... შემდეგ ქვრივი ხელში საჭერ ბატარა დაფაზედ აწერინებდა ასოებს და რომელსამე დოტვას. შემდეგ კი შაგირდები მთელი დღე თავისუფალი იყვნენ, მაგრამ ჭაერზე კი არ უშვებდნენ და სადღაც დერეფანში თვალხუჭუნას თამაშობდნენ.

როცა „ოსტატი“ ქალებით სადმე დოტოს სათამაშოთ წავიდოდა, შაგირდებს დაკეტილში სტოვებდნენ. მაშინ მათს შიშს საზღვარი არა ჭქონდა. მიეკვრებოდნენ ბატარები ერთმანეთს და მხოლოდ ერთმანეთის სიახლოვით ნუგეშობდნენ.

შაბათს საღამოს, როცა საღამოს დოტვის ზარები აწიკწიკდებოდა ქალაქში, ქალები შაგირდებს ბირს დაჭბანდნენ, ტანისამოსს გაუსუფთავებდნენ და ოსტატი კი დიდს დიდს დარიგებას მოუვებოდა ხოლმე შაგირდებს, არიგებდა თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ სახლში, რომ ოსტატი ესახელებინათ.

ბატარა კატო ყურს არ უგდებდა ოსტატის დარიგებას, იგი მოუთმენლად ელოდა მოსამსახურეს, რომ სახლში წაეყვანა. სხვა დარიგებასთან ერთად შინ წასვლის დროს ოსტატი შაგირდებს თვეებსა და ბირს გაუზომავდა ბამბის ძაფით იმის ნიშნად, რომ სახლში ბევრი არ ელაპარაკნათ, ან არ ერბინათ. ამის გამო შაგირდებიც უფრთხილდებოდნენ ბირის გადიდებასაც და თვეების გარდამეტებულ ხმარებასაც, რადგანაც იცოდნენ, რომ თუ ამ ბრძანებას დაარღვევდნენ, ორშაბათს ცუდი დღე დაადგებოდათ.

შაბათი ყოველად ბედნიერი დღე იყო ბატარა კატოსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის. ამ დღეს ბებია სრულიად ივიწყებდა თავის რწმენას: „შვილი მტრულად გაზარდეო“... სიხარულით და ალერსით მიიკრავდა გულზე პატარა კატოს, მისთვის საგანგებოდ შენახულს „კაკებს“ მიუტანდა და „სტოდავ ობოლს“ დიდის სიყვარულით და სიფრთხილით დაუძინებდა თავის გვერდით. კვირა დილით კი, როდესაც პატარა კატო ბავშვურად ფრთების გაშლას, ანტობას და თავისუფლად სიხარულს და მოძრაობას მოინდომებდა, ბებია ისევ უდიერ ალმზრდელად გამოესახებოდა და ბორკილს ადებდა ბავშვის თავისუფალ მოძრაობას: „არ შეიძლება სირბილი, არ შეიძლება ყვირილი, ბიჭებთან თამაშობა... ქალი ხარ, ქალი კი ისეთი ნაზი, ნარნარი, ულმოდერებული და სათნო უნდა იყვეს, რომ წმიდა ქალწულ მარიამს ემსგავსებოდესო“. და თუ პატარა კატო არ დაუჯერებდა ბებიას, ვაი მისი ბრალი! ჯერ ბებია თვითონ გაცოცხავდა და მერე ოსტატთანაც დაბეზღებდა, მაშინ კი პირის სახზომი ძაფი ერთი გოჯით მაინც დაპატარავდებოდა, ვითომ მეტის დაპარკით, და ბავშვი შესაფერ ჯილდოსაც დაიმსახურებდა.

ორი წლის ქვრივი რეკაზი მეორედ ცოლს ირთავს. მაგრამ იგი მეტად გულქვა დედაკაცი გამოდგა ობლებისათვის და ქმრისთვისაც. ყველა ამის გამო დღეს ქ-ნი ეკატერინე მწუხარებით იგონებს თავისს სიუმაწვილეს და გულდაწყვეტილი ამბობს: „ჩემი სიუმაწვილე თითქმის დაუშრეტელი მწუხარების წყარო იყო“.

ვინ იცის ასეთი უგუნური ალზრდა რა შედეგს მოიტანდა ბოლოს, რომ პატარა კატოს ბავშვობაშიგე არ ალმოჩენოდნენ ნამდვილი გულშემატკივარი ადამიანები, რო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მელთა კეთილ-კაკლენა ბავშვობიდანვე მტკიცედ აღიბეჭდა ბატარა კატას მგრძნობიარე გულში. ერთი ამათგანი იყო დიმიტრი ყიფიანის ძმისწული მიკო, რომლის შესახებ ქ-ნი ეკატერინე სწერს თავისს მოგონებაში: „კატომოყვარეობა თავისის სათნოებით ავადმყოფობამდინ მიიყვანა ჩემშიო“. მეორე—მამა ეკატერინესი რეკზი, როკორც ფრიად გახვითარებული კაცი, დიდი თაყვანის-მცემელი იყო ჟან-ჟაკ რუსსოსი და ბავშვის აღზრდასაც სულ სხვანაირი თვალსაზრისით უყურებდა. იგი იყო ნამდვილი მეგობარი ბავშვებისა, მეგობარი მხიარულე და ფაქიზი, სათნოებით სავსე კეთილი მოძღვარი. ყოველთვინ მოთმენით იტანდა ბავშვების სიცელქესა და თავხედობას. მამას ბატარა კატო ხშირად დაჭყავდა ქალაქ გარედ სასეირნოდ, აცნობდა ბუნების კანონებს, მცენარეთა ზრდას და ცხოველთა ცხოვრების ამბავსაც მოუთხრობდა ხოლმე. მამის ნაამბობი ბატარა კატოს ყოველთვის კარგად ესმოდა, ცოდნის მოყვარეობაც იღვიძებდა მის გულში. ბებია კი მამის ამ გვარ სათნოებას დასცინოდა და ბავშვების გარეგნად მიაჩნდა. რაკი მამა განშორდებოდა ბატარა კატოს, ბებია ისევ თავისებურად დატრიალდებოდა. ამ სახით, სანამ ბატარა კატო თორმეტ-ცამეტი წლისა არ გახდებოდა, მისი აღზრდა ორ წყალშუა მიდიოდა. სწავლის წყურვილი კი მას დღითი დღე ემატებოდა. თვითონაც ეწათვებოდა სწავლას და უნდოდა თავისი ცოდნა სხვისთვისაც გაეზიარებინა.

თორმეტ-ცამეტი წლისა იქნებოდა ბატარა კატო, როცა მან ბატარა გლეხის ბიჭს, თავისს მოსამსახურეს ქართული წერა-კითხვის სწავლება დაუწყებინა. კატოს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასეთი საქციელი მამას ძლიერ მოეწონა და შემდეგი დარიგება მისცა: — „ერთმა დიდმა თილოსოფოსმა სთქვა: იმ კაცს, რომელმაც თავის სიცოცხლეში სამი ხე დარგო, ახარა და ნაყოფი გამოადებინა, შეუძლიან სთქვას, — რომ ჩემი ადამიანური დანიშნულება შევასრულეო, ქვეყნის ცხოვრების საკარაში ჩემი წვლილიც შევიტანეო. და ის კაციც, რომელიც სამ ადამიანს მაინც ასწავლის წერა-კითხვას, ხომ უდიდესის მადლობის ღირსია ადამიანისაგანო. — ვინძლო, ეცადო და შენც უდიდესი მადლობა დაიმსახუროვო“.

ცამეტი წლის კატო ინსტიტუტში მიიყვანეს მისაბარებლად, მაგრამ გამოცდის დროს რუსულ ენაში ჩასჭრეს და უკან დააბრუნეს. ბებია ამის შემდეგ სრულიად არ თიქრობდა კატოს სწავლის გაგრძობისათვის, მაგრამ კატოს იმდენად ძლიერად ჰქონდა შეგნებული სწავლის საჭიროება, რომ მისი უსწავლელად დატოვება ადარ შეიძლებოდა. მამამ ხელახლად ჩამოიყვანა თბილისში და მიაბარა თავრის კერძო პანსიონში, სადაც განსაკუთრებული ეურადღება თრანგულ ენის შესწავლას ჰქონდა მიქცეული, მაგრამ იმ დროს ჩაერში ისეთი გამამხნევებელი და გამოფაქიზებელი ძალები ტრიალებდა, რომ ამ პანსიონის შეზღუდული საზღვარიც გადმოლახა და კატოს გულამდინაც მოაღწია. ქ-ნ თავრმა ძლიერ დახელოვნებულ მასწავლებლებს მოუყარა თავი ამ პანსიონში. ქართულ ენასაც დიდი ეურადღება ჰქონდა მიქცეული. ამ საგანს ასწავლიდა პირველ ხანებში ნიკო დედაბრიშვილი, შემდეგ ნიკო ინაშვილი და ალექსანდრე ცაგარელი. ამ მასწავლებელთ მომავალ მწერალს ქალს ჩაუნერგეს გულში სიყვარული დედა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენის და მშობლიური ლიტერატურისა. რაც შეეხება მამულიშვილობის გრძნობის განვითარებას, ამაზე დიდი გავლენა ჰქონდა საზოგადოდ ქართულ მწერლობას და მეტადრე ილია ჭავჭავაძის ნაწერებს, უფრო კი „მგზავრის წერილებს“. ამ წერილებიდან ამოკითხული სიტყვები—„რას ვეტყვი ჩემს სამშობლოს და რას მეტყვის იგი მე?“ მუდამ ამხნევებდა და ამოქმედებდა დამსახურებულ მოღვაწეს ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ. ოცი წლის წინად დაწერილს მოკლე ავტო-ბიოგრაფიაში ქ-ნი ეკატერინე ამბობს: „ნახევარი ცხოვრების გზა გავლილე, გულახლით შემიძლიან ვუთხრა ჩემს ქვეყანას: ოთვალი წამი ჩემი სიცოცხლისა გეკუთვნის შენ და შენი გაუმჯობესობის სურვილს. და თუ ჩემი ნაბიჯი მკრთალი და უფერულია, ნუ დამსჯი, ის ხომ, რაც არს შენია და შენ გეკუთვნის!“

თავრის ბანსიონში დიდი გავლენა ჰქონდა კატოზე სადგთო სჯულის მასწავლებელსაც. ქ-ნი ეკატერინე მოგვითხრობს ამ მასწავლებელზე შემდეგს: „მამა ნუმოვი ნამდვილი დვთის მსახური იყო, იმისმა სათნოებამ და კეთილმოყვარეობამ ჩემის სულის სიღრმეში საუკუნო კვალი გაავლო. მე უბედური ბავშვი ვიყავი, უბედურ ხალხთა შორის აღზრდილი, გული ჩათხრობილი მქონდა, უნუგეშობით ვიყავი მოცული, მამა ნუმოვმა კი მასწავლა ლოცვა, დვთის სასოება და ამ სასოებამ მანუგეშა, ძალა მომცა ცხოვრებასთან საბრძოლველად“. ბანსიონში ქ-ნი ეკატერინე, რასაკვირველია, მეცნიერებასაც სწავლობდა, მომეტებულად უყვარდა საბუნებისმეტყველო საგნები. 1868 წელს ბანსიონში სწავლა დასრულა. მას შემდეგ მიჰყო ხელი თვითგანვითარებას, ეკატერინემ კადიკითხ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალ წარჩინებულ მწერალთა თხზულებანი. კურსის დასრულების შემდეგ დაბრუნდა ისევ გორში და დაიწყო ბავშვების სასკოლოთ მოამზადება. იმავე დროს გორში სომხის სამღვდელოებამ ეკლესიასთან ქალთა სკოლა დააარსა. მასწავლებლად და გამგედ 17 წლის ქალი ეკატერინე მიიწვიეს, მოწაფეთა რიცხვში სომხებთან ქართველებიც ბლომად იყვნენ. სხვათა შორის იქ სწავლობდნენ ნატო გაბუნია და მაშო დემურია. სწავლება ქართულად იყო. მოწაფეთა და მასწავლებელს შორის მშვენიერი დამოკიდებულება არსებობდა. ეს დამოკიდებულება დამყარებული იყო ერთმანეთის სიყვარულზე და პატივისცემაზე, რასაც ყველასთვის გასაოცარი შედეგი მოჰყვა. დიდი მადლობა გადაუხადეს ქ-ნს ეკატერინეს, რომელიც ამ მადლობას გულის თრთოლით და მუხლების ცახცახით ისმენდა, მადლობას, რომელიც მამის ანდერძით ეკუთვნოდა ყველას „ვინც კი სამს ადამიანს მაინც ასწავლიდა წერა-კითხვას“.

ქ-ნი ეკატერინე ზაფხულობით ზემო ქართლში, დედის მამულში ცხოვრობდა. იქ გაიცნო მან გლეხთა ცხოვრება, შეისწავლა იმათი ჭირი და ლხინი, მალე წერას მიჰყო ხელი და თავისი დაკვირვება სხვებსაც გაუზიარა. პირველად 1870 წელს დასტამბა გაზეთ „დროებაში“ პატარა მოთხრობა „გლეხკაცების აზრი სასოფლო სკოლაზე“.

1872 წ. ქ-ნი ეკატერინე მისთხოვდა ალექსანდრე ზაქარიას ძეს გაბაშვილს და დღეს სავსეა შვილებითა და შვილიშვილებით. ამ ორმოცდა ორი წლის განმავლობაში ნიჭით დაჯილდოებულმა მწერალმა იმდენი ძვირფასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწარმოები შესძინა ჩვენს ლიტერატურას, რომ ღრმა კვალი დაჩნია ქართველთ საზოგადოების ისტორიულს გონებითარებაში. ამ ორი წლის წინად, როცა ქართველმა ერმა იდღესასწაულა ნიჭიერის მწერლის ორმოცი წლის მოღვაწეობა სამწერლო ასპარეზზედ, როცა საუკუნედ მწერლის მოღვაწეობა ღირსეულად დაფასებული იქმნა და ისტორიამ სიცოცხლეშივე მიუძღვნა მას უკვდავი „მამულიშვილის გვირგვინი“, ქ. შ. წერა-კითხვის გამ. საზოგადოების გამგეობამ დიდ ტომად გამოსცა მისი თხზულებანი, რომელიც 600 გვერდამდის შეიცავს.

ეკატერინე გაბაშვილისამ არ დამარხა მიწაში ღვთით მიცემული ქანქარი, ასარგებლა იგი ქვეყნის სასიქადულოდ; როგორც კალმით, აგრეთვე მხურვალე მონაწილეობით ემსახურებოდა ეოველს საზოგადო საქმეს. იგია დამაარსებელი, გამგე და პატრონი ქართველ დარიბ ქალთა სახელოსნო სასწავლებლისა.

პატივცემულმა მწერალმა მეტადრე დიდი სამსახური გაუწია საბავშვო მწერლობას. მისი პირველი საუმაწვილო მოთხრობა „საახალწლო ფეშქაში“ დაბეჭდა 1884 წ. საუმაწვილო ჟურნალ „ნობათის“ № 1-ში. საუმაწვილო მწერლობას დღემდის ღარიბსა და უფერულს ეკ. გაბაშვილისა დიდის გულმოდგინებით ემსახურება. მისს ნაწერებში მკითხველის ყურადღებას იქცევს წმინდა ენა, მარტივი სიუჟეტი, სიბრალულის გრძნობით და ამაღლებული იდეით. განსპეტაკებული, დაცული ზომიერება ეოველს დახასიათებაში და აღწერაში. კატოს ახსოვს თავისი და პატარა ძმის ობლობის დღეები, ამიტომაც მის მოთხრობებში ასე ხშირად ვხედავთ საწყალ გლეხის, ქვრივ-ობრების და პატარა ობლების ტანჯვა-ვაების დასურათებას და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ადწერას. ქ-ნი ეკატერინეს საუმაწვილო მოთხრობები ბირველად 1898 წელს გამოსცა ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ. გამგეობამ, რომელშიაც მოქცეული იყო 16 საუმაწვილო მოთხრობა. დღეს ამ საზოგადოების გამგეობამ საჯიროდ სცნო ნიჯიერი მწერლის საუმაწვილო მოთხრობათა კრებულის გამოცემა, რაც კი საუვარელ მწერალს დაუწერია ჩვენი მოზარდ თაობისათვის ამ ოცდა ცხრა წლის განმავლობაში. ეს საუმაწვილო მოთხრობები ორ ტომად გამოვა. ამას გარდა ამ ნიჯიერი მწერლის თვითოეული საუმაწვილო მოთხრობები დღეს ბროვინციებში იბეჭდება დასურათებული და ცალკე წიგნაკებადაც ვრცელდება. ჯერ-ჯერობით ქუთაისში ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების განყოფილებამ ორი დასურათებული მოთხრობა გამოსცა „თინას ლეკური“ და „მაგდანას ლურჯა“.

საქართველოს თავისს წარსულ ცხოვრებიდან ბევრი ქართველი ქალის სახელი ახსოვს, რომელნიც მამაკაცებთან ერთად ჩვენს ქვეყანას დიდს სამსახურს უწევდნენ და მის წარმატებისათვის თავსაც კი სწირავდნენ. ამ მხრით ეკატერინე გაბაშვილისას სამწერლო ასპარეზზედ თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. დღეს ჩვენში ქალთა შორის მოღვაწეთა რიცხვი დიდი დღე მატულობს და ქართველი ერიც, იმედით აღჭურვილი, შესტქერის საუკეთესო მომავალს, რადგანაც ჩვენი ქალების წყალობით ბოეტის თქმისა არ იყოს:

„მთიდან ნიავმა დაჭბერა,
მზემ სხივი სტეორცნა მდელოსა
და განახლება დაეტეო
ჩვენს ტურფა საქართველოსა!“

ლ. ბოცვაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკადული

მიყვარს ნაკადული, პატარა, ანკარა, ღულუნ-ჩუხჩუხით, ტკბილად მომავალი თავის ვიწრო, ათასფერად აყვავებულ საწოლში.

მიყვარს იმისი კიდეები, დაბალ და მსუქან ბალახით შებურვილი, და ამ ბალახში მარგალიტივით გაბნეული თეთრი გვირილები.

მიყვარს ნაკადული დილით, როდესაც მის პატარა ტალღებში ამომავალი მზე ალმაცერად აციმციმებს და პირს ჰბანს თავის ბრწყინვალე სხივებს.

მიყვარს ნაკადული მთვარიან ღამეში, როდესაც იმისი ტკბილი ღულუნი ღამის მყუდროებაში ერთი-ათასად უფრო ტკბილდება, მთვარის მკრთალი ნათელით ოქრო-ვერცხლდება და დალონებულ ადამიანის გულს და თვალს სიმშვიდითა და სიმშვენიერით ელამება.*)

მიყვარს ნაკადული მაშინაც-კი, როდესაც ავდარს შემდეგ შუბლს შეიკრავს, ფერს გამოიცვლის და ხმა-მაღლა რიხიან ბაასს დაიწყებს.

მაგრამ ყველაზედ მეტად ნაკადული მე იმისთვის მიყვარს, რომ ის არის სიცოცხლის მომასწავებელი, ის არის გამაცოცხლებელი, სულის ჩამდგმელი, ედემად მქცევი გამხმარ, შავ დედა-მიწის გულისა, დედა-მიწის ძალ-ღონისა და შიგ დამარხულ სიმდიდრის ძარღვის გამხსნელი; მიყვარს იმიტომ,

---

*) ელამება—ლამს ასხამს, ასველებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეთანხმება.

К 23.567
2

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ნაკადულს, ტკბილს მოღუღუნეს, ვერცხლისფერ ბრჭყვინვალეს და დედოფლურად, ტურფად ძოკაბ-მულს, ძალუძს ააყვავილოს მიდამო და ბუნებას მკვდარს და უფერულს სული ჩაუდგას და ადამიანის საზრდოდ გადააქციოს.

---

# ღვთის შვილი.

## I

ექსო ხუთის წლისა იყო, როდესაც ყვავილი დაერია ბერიკიანთ დიდ ოჯახს. შქვსის კვირის განმავლობაში დიდი თუ პატარა სულ ჭერეხებივით*) ელაგნენ ლოგინში. რასაკვირველია, ლექსოც არ გადაურჩა ამ საშინელ სენსა, რადგანაც ისიც, როგორც მთელი ოჯახი, ყვავილს აუცრელი იყო. ავადმყოფობის პირველსავე დღეს ისეთი საშინელი სიცხე მისცა ლექსოს, რომ გონება დაეკარგა და მოჰყვა ბოდვას; სახეზედ შავი ალმური**) ასდიოდა და ხელებს აქეთ იქით აწყვეტდა.

იმისი დედა მელანო გაშრა მწუხარებისაგან, მაგრამ რას გააწყობდა. ძალთაზედ გადიწვინა თავისი ერთად ერთი ბიჭუნა და თვალებში ჩაჰყურებდა დღე და ღამე. ავადმყოფი არცა სჭამდა, არცა სვამდა და მხოლოდ გულ-საკლავად გმინავდა.

მარტის ნახევარი იყო,—ქარი, წვიმა, ფოვლი სულ ერთმანეთში ირეოდა და კორიანტელს ადენდა

---

*) ჭერეხებივით—ერთმანეთზე მიწყობით, მწკრივად.
**) ალმური—ცეცხლის ალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა-მიწას. ბერიკიანთ ფარღალალა ხის დარბაზში მარტის გიჟი ქარი თავისუფლად ნავარდობდა და ყვავილით ავადმყოფებს სენს უფრო უძნელებდა. ერთ კვირაში ხუთი ბავშვი დაასაფლავეს ამათ ოჯახიდგან; მელო თრთოდა შიშით და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გულში იკრავდა ლექსოს, რომ ესეც არ წაერთმია ყმაწვილების მუხთალს მტერს, ყვავილს.

ლექსო მთლად დასივდა, ტიკჭორასავით გაიბერა და სულთ-მაბძავი შეიქნა. მელანო თითქმის ნუგეშ-დაკარგული იყო ლექსოს გამობრუნებაზე, მაგრამ მეექვსე დღეს ბავშვს ყვავილი დააყარა, დააყარა და რა დააყარა; ნევსის კუნწი აღარ დაეტეოდა იარებ შუა. ყელი, ენა, თვალები რა არის, თვალებიც კი გამოეტენა ყვავილის წყლულებით.

მელომ იავნანას მოუხშირა და იმის იავნანა უფრო მოთქმას მიაგავდა, მინამ სიმღერას, —თვალებიდგან შეუწყვეტელი მდულარება სდიოდა დედას და შვილის უგრძნობელ სახეზედ სცვიოდა.

მეთოთხმეტე დღეს ღმერთმა შეიბრალა საწყალი მშობელი და ლექსო გამობრუნდა; სიცხე გამოელია და შიმშილი იგრძნო.

მელო სიხარულისაგან მთლად აკანკალდა და საჩქაროდ ჯამით რძე მოურბევინა. ლექსომ ჯამი ვერ დაინახა, ხელების პოტინი დაიწყო და სუსტის ხმით წამოიკნავლა: დედა, სანთელი აანთე, ბნელა, — და თან სცდილობდა თვალები გაეხილა, მაგრამ ტყუილად, — იმის ქუთუთოები ერთმანეთზე შეწებე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულიყო, იარას შიგნიდგან ემუშავნა და თვალის სინათლე მოესპო პატარა ბიჭისათვის.

„შვილო, ვერ ჰხედავ? ვაი შენს მშობელს!“— საშინლად შეჰკივლა საწყალმა მელოამ და ჯამი ხელიდგან გავარდა.

## II

ბაზაფხული დადგა. მზემ თავის სხივების სითბოთი ააყვავა არე-მარე. ტყე ფოთლით შეიმოსა, მინდორში ჯეჯილები ბიბინებდა და ზღვასავით მწვანედ ღელავდა. ზუთნის დედის ოროველა და ფრინველთ ჭიკჭიკი ერთმანეთს ბანს აძლევდა. წყლის რუები, ღელეები, ზამთრისაგან გაყინული და შემდგარი, გალხვნენ, წყლით აივსნენ და სიხარულით მირბოდნენ; ისე მიეჩქარებოდნენ, თითქოს, დიდის ხნის შეჩერების შემდეგ, უნდათ ბინას მალე მივაღწიოთო.

სოფლის ხალხი გამომზევდა გარედ. ლათბა, მუშაობა დაიწყო, მხოლოდ საცოდავი, ორთავ თვალით დაბრმავებული ლექსო ველარ ეღირსა ღვთის თვალით გაბრწყინვებულ ბუნების ნახვას. ხელმოკიდებული გამოიყვანდა ხოლმე დედა ლექსოს დერეფანში და ცრემლით სავსე თვალებით ეტყოდა: „აქ იჯექ, შვილო, უჩემოდ არ ადგე, თორემ წაიქცევი და იტკენ რასმე“.

ლექსო იჯდა უძრავად და მხოლოდ თავის ყურ-მახვილობას ატანდა ძალას: მალე მიეჩვია იმისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სმენა ყოველ გვარ ხმაურობის გარჩევას. არ გამოეპარებოდა არც ჭრიჭინის ჩირიკი, არც ბეღურას ჭიკჭიკი, არც ფოთლების შრიალი, არც დუდუნი პატარა რუისა, რომელიც ამათ კარებზედ ჩამოწკრიალებდა და მხიარულად მიეშურებოდა თავის გზისაკენ.

მაგრამ ლექსო დიდხანს არ დაემორჩილა დედის დარიგებას და ცოტ-ცოტად დაიწყო სახლის გარშემო ბოტიალი: ბოსტანი, სათუთუნე, კალოსაბძელი მალე იპოვა და იქ ჯერ დიდი სიფრთხილით და შემდეგ სრულიად თავისუფლად დაიწყო სეირნობა. შემდეგ სოფელთან ახლო მდებარე ტყეშიაც გადავიდა; იქ ლექსო გულაღმა გაწვებოდა ხოლმე მწვანეზედ და მთელი საათობით ისმენდა მაღალ ხეების წვეროების რხევას, ფოთლის შრიალს და ტყის ათას გვარ საიდუმლო ხმებს.

დათავთავებულ ყანებში გორვაც ძალიან უყვარდა ლექსოს და არც ყვავილებით მორთულ ველს აუვლიდა ისე, რომ კარგა ხნით შიგ არ ჩამჯდარიყო და თითის წვერებით არ ეძებნა ბალახებ შუა სურნელოვანი ია და ღრინჭოლას ტკბილი ღერო.

## III

Sთის წლისა იყო ლექსო, რომ იმისი დედა მელანო გარდაიცვალა. დარჩა უბედური ბრმა უპატრონოდ და ობლად. მოაკლდა სამუდამო ტკბილის სიტყვის მთქმელი და მოალერსე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობელი. Იმის ბიძის ცოლები საოჯახო საქმეებს და თავის ქმარ-შვილსაც ძლივს უძღვებოდნენ და პატარა ობოლი იყო ღვთის ამარად; არც არავინ დამბანი, არც არავინ დამკერებელი და დამრეცხი არავინ ჰყვანდა.

Ლექსოს ისედაც ძლიერ უყვარდა მარტოდ მარტო სიარული და დედის სიკვდილის შემდეგ თითქმის მთელს დღეებს ატარებდა ტყე და ველში და შინ მხოლოდ პურის საჭმელად თუ შემოვიდოდა. Მისი უსაქმურობა ოჯახს, რასაკვირველია, თვალში ეჩხირებოდა, მაგრამ ხმა მაღლივ-კი საყვედურს ვერავინ ეუბნებოდა. Უფროსი ბიძა Ზოგია ყოველთვის იმის მოსარჩლე იყო და „ღვთის შვილის“ *) წყენას არავის დაუთმობდა.

— Ღვთის შვილია, ღვთის შვილი, ჩემი ლექსო, ხელი არავინ ახლოთ!—სასტიკად ეტყოდა ხოლმე თავის ბოხის ხმით დედაკაცებს Ზოგია და თავზე ხელს დაუსვამდა ორთავ თვალით უსინათლო ობოლს.

Ერთს შემოდგომის დღეს სოფელ Წაბლოვანში სავაჭრო მოიტანა ქალაქელმა ვაჭარმა Დარჩომ და Ბერიკიანთსა ჩამოხდა. Საღამოზედ, როდესაც სტუმარი და მასპინძელი კერას გარშემო ვახშამს შემოუსხდნენ, ვაჭარმა კუნჭულში შენიშნა პატარა ბრმა და იმისი ვინაობა იკითხა.

— Ეგ პატარა ჩემი ძმისწულია, ორთავ თვა-

*) ღვთის შვილს გლეხები ბრმას ეძახიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით ბრმაა და ობოლი, უბედური,—ამოოხვრით მიუგო ბოგიამ ვაჭარს.

ვახშამს შემდეგ ვაჭარმა ბოგია კარზედ გაიხმო და უთხრა:—მაგოდენა ბიჭი აგრე ტყუილ-უბრალოდ რას გიგდიათ სახლში? ჭამის მეტს რას გიკეთებთ? მოდი, მე მომეცით მოჯამაგირედ. ტყუილი მჭამელიც მოგაკლდებათ და ცოტაოდენ ფულსაც ჩაგიჩხრიალებთ ჯიბეში.

— ორთავ თვალით ბრმამ რა მოჯამაგირობა უნდა გაგიწიოს?

— მაგისი მე ვიცი.—ეშმაკურად გაიღიმა ვაჭარმა. მე სიყმაწვილეში საზანდარი ვიყავი. ძარგი სიმღერა და ჩონგური ვიცი. ერთ თვეში ისეთი სიმღერა და თარი ვასწავლო მაგ უსინათლოს, რომ, ვინც გაიგონოს, სთქვას, გიცხონდა ოსტატი-მასწავლებელიო.

— მერე თარი და ჩონგური მოჯამაგირეს რაში უნდა გამოაყენებინო? ყეყეჩივით ეკითხებოდა ბოგია ლარჩუას.

— რაში უნდა გამოიყენოს? მაგას მერე შეიტყობ. ეხლა მოდი ხელი ხელს დაჰკარი და შენი ძმისწული მე მომე. პირველ წელიწადს ხუთი მანათი მოგცე, მეორეს—თუმანი. მერე ორი თუმანი. ამასთან ისე ჩავაცვა, ისე, რომ შენი მოწონებული. სულ წაღით და ჩექმებით ვატარო. ჰო, კიდევ პიროპაც მოგცე, რომ გამოჩენილს ექიმს ვაჩვენო და თვალებიც ავუხელინო.

— მართლა!? ოო, თუ მაგ საქმეს გვიზამ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთიც დაგიმადლებს და კაცია. რას ამბობ, ადამიანო, თუ მაგ სიკეთეს დაგვავალებ, ჯამაგირი კი არა, ყმად გაგიხდი მაგ ერთ ბიჭსა და ის არი.

— მაშ, მაშ! ნამდვილად თვალებს ავახელინებ.

ასე, ამ რიგად ზოგია დაჰყვა ვაჭარს და ლექსოს ბედი სამუდამოდ გადასწყვიტა.

## IV

ულურეთის ბოლოში, იქ, სადაც ქალაქის ეს ნაწილი თავდება და იწყება ავლაბარი, ნახევარზედ დანგრეულ ალიზის სახლში სცხოვრობს ვაჭარი დარჩო მარტირუზიანი. დარჩო სხვა-და-სხვა ვაჭრობას ეკიდება, მაგრამ როგორღაც ბედი ხელს არ უმართავს და იმის საქმეები ძლიერ უგვაროდ მიდის. ბრმა ლექსოს დანახვაზედ წაბლოვანში, დარჩოს თავში ერთმა ფიქრმა გაუელვა და კიდეც შეუდგა იმის ასრულებას. ამან მოიფიქრა: ოთხ-ხუთს ბრმა ბიჭს შევაგროვებ, ვასწავლი სიმღერასა და ჩონგურსა და გავგზავნი ქალაქის სხვა-და-სხვა უბნებში საგლახაოდ... და თავისი ახალი ხელობა ლექსოთი დაიწყო.

## V

აწყალი სოფლელი ბიჭი, თავისუფლად აღზრდილი ბუნების უმანკო მკერდზედ, ძნელად ემორჩილებოდა დარჩუას განზრახვას: ამას არც სიმღერა უნდოდა და არც ჩონგური, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალა აღმართსა ჰხნავსო, რომ იტყვიან, ისე მოუვიდა უბედურ ლექსოს. პირველ გაკერპებაზედ მისჯოხეს, მეორეზედ—მთელი დღე მშიერი დასტოვეს, მესამეზედ—კიდევ გასჯოხეს, კიდევ მშიერი დასტოვეს, და ისიც მოტყდა, დაემორჩილა ბედის წერას.

დილით ექვს საათიდგან რვამდის მთელს უბანში გაისმოდა დარჩოს ბოხი, დაჟღლილი ხმა და ლექსოც ცრემლით სავსე თვალებით იმეორებდა ოსტატის ნათქვამს კილოს. რვიდგან-კი ლექსო და დარჩუას უმცროსი შვილი ზიქუა გაუდგებოდნენ ხოლმე ქალაქის დიდ ქუჩებს და დღეში ორმოც კარს მაინც მოივლიდნენ თავიანთ ჩონგურით.

შევიდოდნენ თუ არა ზიქო და ლექსო რომელსამე ეზოში, ჯერ ამას შეიტყობდნენ, იქ რა ხალხი ცხოვრობდა, და მერე იმ ენაზედ მოჰმართავდა ლექსო თავის ჩანგსა. სასაცილო იყო, რომ სატირელი არ ყოფილიყო, ლექსოს უცნაური რუსული და უფრო სასაცილო—დამახინჯებული სომხური სიმღერა.

თავ-დახრილი, გაყვითლებული და შემკრთალი ლექსო ააკანკალებდა, როგორც თავის ჩონგურის სიმებს, ისე თავის უთავბოლო და გაუგებარ ბაიათებს, და ყოველთვის ცდილობდა მალე შეეწყვიტა თავისი ნაძალადევი სიმღერა; მაგრამ ზიქო გვერდში წაჰკრავდა ხოლმე მუჯლუგუნს და ისიც ჭყაოდა: „Нива, моя нива!“ ჭყაოდა იქამდე, მინამ სახლის პატრონი არ შეიბრალებდა უბედურს მომღერალს და არ გადმოუყრიდა გროშებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე დაწანწალებდნენ საღამომდინ ეს საცოდავი ბავშვები, და მხოლოდ ორ-სამს კაპეიკს თუ დახარჯავდნენ და გაბედავდნენ რითიმე დანაყოფას. საღამოზედ დარჩო გულმოდგინედ გადასთვლიდა ხოლმე ლექსოს შეგროვილ გროშებს და, რაც უნდა კარგი დახლი დამდგარიყო, მაინც უსაყვედურებდა ბავშვებს ფულის გაფლანგვას და ქურდობას დასწამებდა.

## VI

ლექსო დიდხანს იყო სოფელში თავისუფლად და ისეთ ნაირად უყვარდა მინდვრის სიო, ტყის მყუდროება, წყაროს ანკარა გემრიელი წყალი და გუთნის დედის სევდიანი სიმღერა, თავისი სოფლის გაშლილი არე-მარე, რომ ქალაქში უცნაურად გადმოსახლებამ ზნეობით მთლად დააძაბუნა. საშინელი იყო იმის მდგომარეობა უფრო მით, რომ ლექსოს დაახლოებითაც ვერ წარმოედგინა, თუ სად იყო, რა ერტყა გარშემო და რა რიგ ხალხში ტრიალებდა.

ქალაქის მუდმივი მოძრაობა და გმინვა აშინებდა, უგულო და მუდამ მტუქსავი სახლის პატრონები თავ-ზარს სცემდნენ; მუდმივი, შეუწყვეტელი სიმღერა და კარის-კარ წანწალი სრულიად ძალას ართმევდა იმის, ჯაფის შეუჩვეველ, სხეულს. შემოდგომა და ზამთარი, როგორც იყო, საცოდაობით გააჩანჩალა ლექსომ, და ზაფხულში კი სრულიად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწყდა. მის ზნეობრივ ტანჯვას და წუხილს თავის სოფლისათვის დაემატა თბილისის საშინელი სიცხე, სულის შემხუთველი ჰაერი, დუბელა, ნადგომი წყალი, და თიბათვეში, ორმოცისა კი არა, ორის კარის მოვლაც აღარ შეეძლო.

თუმცა დარჩო ბევრსა სცემდა, ბიქო ბევრს უყვიროდა და სიარულის დროს წინ ეწეოდა, მაგრამ მოძრაობა ლექსოსთვის შეუძლებელი შეიქნა, და, როგორც ძირში მოჭრილი ხე, ისე დაეცა.

ლექსოს არც სიცხე ჰქონდა, არც ახველებდა, არც მუცელსა და თავს იტკივებდა, მაგრამ მთლად კი დადნა: მაგარ, მხარ-ბეჭ-გაშლილ სოფლელ ბიჭის მაგივრად, მუმიად იქცა; ეგდო დარჩუას სარდაფში, ერთს ნოტიო კუნჭულში პატარა ხალიჩის ნაგლეჯზედ, ლოგინის მაგივრად, და დღითი დღე უახლოვდებოდა სამარეს.

## VII

ეარჩომ რომ ნახა ლექსოს ამ გვარი უიმედო მდგომარეობა, შეშინდა,—იცოდა, რომ ბოგია არ აპატივებდა ამ დანაშაულს, და საჩქაროდ დაიბარა ქალაქში.

თუმცა სოფლად გაცხარებული მუშაობა იყო, ჭირნახული მთლად შემოსატანი და გასალეწი ჰქონდა ბოგიას, მაგრამ ყველას თავი დაანება და საჩქაროდ გამოეშურა თბილისისაკენ.

ბოგიას სინიდისი ძლიერ სტანჯავდა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი „ღვთის შვილი“ ვიღაცა მაწანწალა ვაჭარს ანდო და გზაში ღმერთს სულ იმას ეხვეწებოდა, რომ ლექსოს ცოცხალს მივუსწროვო.—ვაიმე, შვილო, თუ მშიერმა, მწყურვალმა და ხელმეორედ დაობლებულმა უცხო სახლში ვერ გასძელ და დამიჭლექდი!

ლექსომ იმ ღამეს, რა ღამესაც ბიძა უნდა ჩამოსვლოდა, საამური სიზმარი ნახა: ვითომ იმისი დედა მელანო კევრზედ მოკეცილი იჯდა, კალთაში თავის ლექსოს თავი ედო და ტკბილის ხმით იავნანას ეუბნებოდა; ხარები ოდნავ მიათრევდნენ კევრს და საღამოს ნიავი სასიამოვნოდ უწეწდა ლექსოს ქოჩორს და უგრილებდა ოფლიან მხარ-ბეჭს. ზოგიამ დაინახა რძლის ამ გვარი ცუღლუტობა და თავის ბოხის ხმით დაუშტიალა: მელანია, მელანია! ხარები გარეკე. კევრზე კი ნუ დაგეძინა, ხომ ხედავ, მზემ რა რიგად გადაიწია!

ლექსომ ამ სიტყვებზედ გამოიღვიძა, წამოხტომა მოინდომა, მაგრამ სისუსტისაგან დაბარბაცდა, და ძირს დაეცემოდა, რომ ის იყო რკინის გზიდამ მოსულს ზოგიას არ შეემაგრებინა.

— რა იყო, შვილო, რისა შეგეშინდა?—ტკბილის ალერსით უთხრა ბიძიამ ლექსოს და მხურვალედ გულში ჩაიკრა.

— ბიძია, ბიძია, შენა? მოხველ?.. და ლექსო ულონოდ ზოგიას გულზედ დაეშვა.

— ნუ გეშინიან, ჩემო ბიჭუნავ, ყოჩაღად იყავ, ლონე მოიკრიბე და ხვალვე ჩვენ ლამაზ წაბლოვანში წაგიყვან.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თამროს შეხვედრა

(ამბავი ხოლერის დროიდან)

ბოფელ ნიგვზიანში ხოლერა გაჩნდა; ორსამ დღეში ოცამდე კაცი გარდაიცვალა. ხოლერა არ ჰზოგავდა არც დიდსა და არც პატარას; უფრო კი ღარიბ-ღატაკ გლეხკაცობას ავლებდა მუსრს. ჭუჭყიანი ტანისამოსი, უსუფთაო სახლ-კარი, უვარგისი საჭმელი, დაგლეჯილი საგებსახურავი საუკეთესო ნიადაგი იყო ხოლერის თესლის გასაძლიერებლად. ყველა ამ ნაკლებულობის შესწორება გლეხ-კაცს სად შეეძლო და მხოლოდ უადვილეს საშუალებას მიჰმართა—გადასახლდა ხოლერით მოწამლულ არე-მარედგან; ვისაც საქონელი ჰყავდა და შეძლება მოსდევდა, შორეული მთა-მაღლობი მონახა; ვისაც არა, ის თავის ბაღ-ვენახში გადასახლდა. ნიგვზიანის ვენახები გაივსო ხალხით. ქვითკირის საწნახელები, ოდნავ წალმით დახურული, ვერაფერი თავშესაფარი იყო წვრილ-შვილიანის ოჯახისთვის, მაგრამ მეტი რა გზა იყო. ზოგს ესეც არა ჰქონდა და ფოთლებით წამოფარებულ ქოხში შეაფარეს თავისი ცოლ-შვილი.

ხალხი ისე დაფთხა და ისე ეჩქარებოდა სოფლიდგან გაქცევა, რომ ბევრს პური, ღვინო და სხვა სანოვაგეც-კი ავიწყდებოდა; და ვისაც სანოვაგე მიჰქონდა, ქვაბი და სხვა საჭირო ჭურჭელი შინა რჩებოდა; ამიტომ გახიზნულები ხშირად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრუნდებოდნენ სოფლად სხვა-და-სხვა საჭიროებისთვის და იქიდგან ვენახებშიც გადაჰქონდათ საშინელი სენი.

ბადასახლდა, რასაკვირველია, ნიგვზიანელი თავად-აზნაურობაც; ამათში ზოგმა შორეული მთა აირჩია დასახიზნად და ზოგი-კი ქალაქისკენ გაემგზავრა.

სხვის მაგალითს არ მიჰხედა მხოლოდ ვეშაპიძის სახლობამ; მან ირჩია თავიანთ რიგიანად მოწყობილ სახლში ყოფნა უდაბურ ტყეში ხეტიალს. სოფელზე კარგა მოშორებით იდგნენ, სახლი დიდ ვენახში ჰქონდათ აშენებული, საკუთარი წყარო და ყოველ გვარი სურსათი ცხოვრებისათვის მრავალი.

მართალია ვეშაპიძიანი დარჩნენ, მაგრამ შიშით კი კანკალებდნენ; იმათ ბაღის კარი დიდი კლიტით იყო დაკეტილი, რომ სამეზობლოდ, ან წყაროს წყლისთვის ხოლერიანი სოფლიდგან არავინ მოსულიყო; ამასთანავე ხმარობდნენ ყოველ გასაფრთხილებელ საშუალებას: საპკურებელს თუ სასმელს, რომ ხოლერა ახლოს არ მიჰკარებოდათ. მოსამსახურეს და ყმაწვილებს აკრძალული ჰქონდათ ეზოს გარედ გასვლა და სოფლელებთან ბაასი.

*
* *

ერთ მშვენიერ საღამოს, როდესაც მთვარე ნელ-ნელა ამოდიოდა მთის ზოლებიდან, ვეშაპიძი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანთ ბაღი უფრო ჩაბნელებული მოსჩანდა; ამ სიბნელეში მრავალი ციცინათელა დაცქრიალებდა ყვავილის ბუჩქებზედ, ღობის ეკლებში და წყლის ნაპირებზედ. პატარა თამრო, ვეშაპიძის უფროსი ქალი, გაფაციცებით დასდევდა ამ მნათობებს და უნდოდა მათი დაჭერა; ბევრჯელ კიდეც დაიჭირა და ჩაისვა თავის ხუჭუჭ თმებში, კაბის ნაკეცებში, საიდგანაც ძვირფასი თვლებივით ამოსჭუოდა ციცინათელას მკრთალი ნათელი და აღტაცებაში მოჰყავდა პატარა ცქრიალა ქალი. თამრო ისე გაერთო ამ დროს გატარებაში, რომ ვერც კი შენიშნა, რა დიდ მანძილზედ მოშორებოდა სახლს; თამრო გაქანებული მისდევდა ერთს უფრო მნათობს ციცინათელას, რომ უცებ ფეხი წამოჰკრა რაღაც რბილს საგანს და ზედ ყირამალა გადავარდა; ბავშვი გაშრა შიშითა. ტირილიც კი ველარ მოახერხა; აკანაკალებულ გულზედ ხელები მიიკრა და ჩუმად ბუტბუტებდა: „ღმერთო, ღმერთო მიშველე, ღმერთო მიშველეო!“ ამ ბუტბუტზედ ის რბილი საგანი, რომელზედაც თამრო გადავარდა, შეინძრა და ოდნავის კნავილით მიმაროა პატარას:—შვილო, ჩემო ზეციდგან მოვლენილო ანგელოზო, მიშველე... ვკვდები, წადი შინ, ლუკმა მომიტანე.— თამრო დამშვიდდა, ადამიანის ხმა რომ გაიგონა, ფეხზედ წამოხტა და სიბრალულით ჩაეკითხა ულლურს: „ვინა ხარ? რა დაგმართნია, რატომ შინ არ წახვალ და პურს იქ არა სჭამ?“—შინ?.. არ შემიძლიან, სისუსტისაგან ფეხზედ ვერა ვსდგები,—ოდნავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩურჩულით წაიტუტუნა ავადმყოფმა,—მიშველე, პატარა ანგელოზო, თორემ შიმშილით ვკვდები...

თამრის შეხვედრა.

ამ დროს მთვარე კარგა მაღლა იყო და მის შუქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედ თამრომ გაარჩია საბრალო, ძვლებად ქცეული მართა დედაკაცი, ამათი პურის მცხობელი. მართას გუშინ უფროსი შვილი გაუხდა ავად. შიშით გაგიჟებული მართა ვეშაპიძიანთკენ გამოიქცა, რომ შორიდგან მაინც ეთხოვნა ნუგეში, მაგრამ გზაში თითონ გახდა ავად და მთელი ორი დღე უპატრონოდ ებრძოდა სიკვდილს.—მართა, შენა? წამო, წამო ჩვენსა, დედა ყველაფერს გაჭმევს. ხელი მომე, აგაყენო.

— არა, ჩემო თამრო, არ შემიძლიან და, თუნდაც რომ შემეძლოს, დედა შენი სახლში არ შემიშვებს, მე ხოლერით ვიყავ ავად.

ხოლერით?! ოჰ!—შიშის კანკალითა სთქვა თამრომ,—ახლა ხომ მეც შემეყრება... დედა რას მეტყვის, რომ დაგელაპარაკე!

— ბაგიჯავრდება, ძლიერ გაგიჯავრდება... მაგრამ ნუ ეტყვი... ღმერთი აგაცილებს... ნუ გეშინიან... მიშველე, ვკვდები, მეტი აღარ შემიძლიან... ერთი ცვარი ღვინო... შენ ქალობას, ჩქარა...

ისეთის შემაძრწუნებელის სასოწარკვეთილების, ისეთის ტანჯვისა და ვაების გამომხატველი იყო მართას მდგომარეობა, რომ ათის წლის ბავშვიც კი მიხვდა, მოიაზრა, რომ აქ დაგვიანება აღარ შეიძლებოდა და ნიავივით გაფრინდა შინისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

პურის საჭმელი ოთახი ღია იყო; სტოლზედ ჩამქრალი სამოვარი ოდნავ-ღა შიშინებდა. მის გვერდით იდგა კარაქი და თეთრის პურის ნაჭრები მრავლად ეწყო თოვლივით თეთრ სუფრაზედ. თამრომ საჩქაროდ წაუსვა პურს კარაქი, ჭიქაში ბლომად ჩაყარა შაქარი და გაცივებული, მაგარი ჩაი დაასხა და ზედაც წითელი ღვინო დაუმატა; მერე კალთაში ჩაილაგა პურის ნაჭრები, სტაქანი ხელში აიღო და ისე ჩუმად, ფეხ-აკრებით გავიდა კარში, რომ აივანზედ მსხდომმა დედ-მამამ ვერაფერი შეიტყო.

მართა გიჟივით ჰყლაპავდა თამროს მონატანს და თან ყელზედ ადგებოდა, ახველებდა, იხრჩობოდა, მაგრამ მაინც ხარბად იტენდა პურს; და სასმელს ხომ ისე დაეწაფა, რომ კინალამ ჭიქაც თან ჩაატანა. თამრო გაკვირვებული შესცქეროდა. პირველად ჰხედავდა დამშეულს, უბედურს, უმოწყალეო ქმნილებას და უნებლიედ ცრემლი ცრემლზედ ჩამოსდიოდა; იმის პატარა გულში იღვიძებდა რაღაც თბილი, სიბრალულით და სათნოებით სავსე გრძნობა; იმის პატარა გონება გაქანებული მუშაობდა; თვალწინ ეხატებოდა თავიანთ განათებული, ლამაზი ოთახები, სავსე სუფრა, ტკბილი ღვინო, დედის ალერსიანი, მოცინარი პირი-სახე და უნებლიედ იწვევდა მის გონებაში შედარებას. აქ ბნელა და იქ კი ნათელია, აქ მართას ჰშიან და იქ კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა მაძღარია, აქ ადამიანი კვდება უპატრონოდ და იქ გადაჭარბებული მზრუნველობა სიცილს მოჰგვრიდა კაცს, მეტადრე ამ ხოლერიანობის დროს. თამრო და იმისი ძმები ისე არ დაახველებენ, რომ დედა დაკვირვებით არ დააცქერდეს, ათასჯერ არ გამოჰკითხოს. „ხომ კარგადა ხართო, მუცელი ხომ არა გტკივათო“. ამ მოგონებაზედ თამრომ გაიცინა. მართა შეკრთა, იმას ჭამაში სულ დაავიწყდა, რომ თამრო თავს ადგა და შიშით უთხრა: „წადი... წადი... ჩქარა, თორემ მოგიკითხვენ, აქ მოვლენ, მეც მიპოვნიან და გადმისვრიან სადმე. ჩქარა წადი... ღმერთი იყოს შენი შემწე... აგაცილოს შავი სენი“...

თამრო გაიქცა, მერე შესდგა და ჩაფიქრდა. დედის შიში და მართას სიბრალული გულში ერთმანეთს ებრძოდა. მაგრამ სიბრალულმა გაიმარჯვა შიშზედ და ქალი ისევ მართას მიუახლოვდა.

— ნუ გეშინიან, ხვალ კიდევ მოვალ, ღვინოს მოგიტან, შაქარს, რძეს, პურს, წამლებს და, თუ სხვასაც უნდა ვისმე, შენ იმათ მიუტან, არა, მართა? ხომ სხვებსაც ეშიებათ? ავადაც ხომ ბევრი არის?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მფარველი ანგელოზი

ბნეინა დარია რჩეულოვისა, როგორც წარჩინებული კაცის ცოლი და კარგი შეძლების პატრონი, ზაფხულობით ყოველთვის მიდიოდა სააგარაკოდ ბორჯომს, აბასთუმანს, პეტიგორსკში და ხან და ხან ყირიმშიაც—ზღვის პირის მდიდარ ხალხთა საზაფხულო სადგურებში. წელს-კი ექიმმა სასტიკად აუკრძალა ზემოხსენებულ სააგარაკო ადგილებში წასვლა.

— თქვენი ნუსა საზაფხულოდ ისეთ ალაგას უნდა წაიყვანოთ, ბატონო დარია, უთხრა მოხუცებულმა და კარგად გამოცდილმა ბავშვების ექიმმა, რომ არავითარი ხმაურობა, მხიარულობა, სტუმართ წასვლა-მოსვლა არ აღელვებდეს პატარის ნერვებს. მუსიკა, ცეკვა, ყმაწვილების ჟივილ-ხივილი, მათთან თამაშობა-გართობა შეუძლებელია.

მოთვა-მოპრანჭვა, გუვერნანტკის განუწყვეტელი წვრთნა, სხვა და სხვა ენაზედ მასლაათი, საბავშო საღამოებზედ სიარული, სრულიად უნდა მიატოვოთ, ჯერ-ჯერობით მაინც.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! რეებს მეუბნებით,ბატონო ექიმო! შეჰყვირა დარიამ. მაშ პირდაპირ მონასტერში მირჩევთ გადასახლებას, რაღა?

— მონასტერში-კი არა, მაგრამ თუ გეგულებათ სადმე თქვენ მამულებში მიყრუებული სოფელი, მშვენიერის მდებარეობით, ტყით, ანკარა წყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როებით და მხოლოდ რამდენიმე კომლი გლეხკაცობით დასახლებული, იქ-კი უთუოდ გირჩევთ.

ნუსასთვის საჭიროა სრული სიმშვიდე, აუღელვებელი, თავისუფალი ცხოვრება, მხლებლად და მწრვთნელად მხოლოდ მშობლის ტკბილი ალერსი და მართა-ძიძის ერთგული სიყვარული და სამსახური...

— ნუსასთვის-კი, მაგრამ მე? მე რაღას მეუბნებით?! მთელი სამი თვე მაგგვარ უდაბნოში, მარტოდ მარტო უადამიანოდ, უსაზოგადოდ...

— თქვენ დედა ხართ, ბატონო დარია, და ყოველი თქვენი პირადი სიამოვნება უკან უნდა მიაყენოთ და შვილის გასაღებას შეუდგეთ. თქვენ გოგონას ნერვების ანთება ჰქონდა და იმ საშინელის ავადმყოფობის გადატანის შემდეგ, აუცილებლად ჩემი რჩევა უნდა აასრულოთ. რძე, კვერცხი, მაწონი, მარწყვი და ყოველი ახალი კარგად შემოსული ხილი, მთის ჰაერი და ჩუმი, წყნარი, მოსვენებული ცხოვრება, აი ერთად ერთი გზა ნუსას გასაღებისა. რასაკვირველია, უკეთესი იქნებოდა, რომ ზამთარშიაც განმარტოვებულ სოფელში დარჩენილიყავით, მაგრამ ეგ ვიცი, გარდამეტებული სატანჯავი იქნებოდა თქვენთვის და მარტო ზაფხულობით იყავით განდეგილად და ნახავთ, როგორ აფრთოვანებულს და სიცოცხლით სავსეს ჩამოიყვანთ თქვენს, ეხლა გაყვითლებულს, დასუსტებულს და ნერვებ აშლილ ნებიერს.

რჩეულაანთ ჩვეულებრივი, მოუსვენარი ცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება, საზოგადოებაში მუდმივი ტრიალი და ამის გამო შეუყენებელი ალიაქოთი, ხმაურობა, სამზადისი, მორთვა-მოკაზმა გამოჩენილ წყლებზედ გამოსაჩენად, უნებლიედ შესწყვიტეს და მივარდნილ სოფელ ასკილიანში გადაიტანეს.

**დ**ა აი ერთ მშვენიერ თიბათვის დილას, პატარა ცხრა წლის ნებიერმა **ნ**უსამ გამოიღვიძა **ა**სკილიანის მღვდლის სახლის ზემო სართულის პატარა ოთახში.

**ბ**ამოღვიძების უმალ **ნ**უსამ მიიხედ-მოიხედა და კარგა ხანს გონს ვერ მოვიდა, თუ სად იყო და რა არა ჩვეულებრივი გარემოება იყო მის გარეშემო. **დ**იდ, ფართო, მაღალ და პირის ფერ კედლებიან ოთახის მაგივრად, პატარა, დაბალი, თეთრად შელესილი ოთახი, დახატულ ჭერის მაგივრად შეუღებავი ფიცრის ჭერი, ჩუქურთმით მორთულ საწოლის მაგივრად რაღაც დანჯღრეული ტახტი, ხალიჩების და ფარდაგების მაგივრად შეუღებავი ფიცრის იატაკი. **დ**იდრონ, არშიის ფარდებით დამშვენებული ფანჯრების მაგივრად, პატარა ხელის სიგძე თეთრ მიტკალ ჩამოფარებული ფანჯრები. **რ**ა არის ეს? სადა ვარ, გაიფიქრა პატარამ, მაგრამ მალე მოაგონდა წუხანდელი მგზავრობა.

— **ჰ**ო, ჰო! ბოლოს წარმოსთქვა **ნ**უსამ და ლოგინიდგან გადმოხტა, მიირბინა ფანჯარასთან და ფარდა გადასწია,. თვალწინ მშვენიერი, დიდებული სურათი გაეშალა: ჯერ თვალ-გადუწვდენელი მწვანე ბაღ-ვენახები, მერე ტრიალი მინდორი, რომლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუაზედაც გველივით მიიკლაკნებოდა დიდი, მზეზედ მოლაპლაპე მდინარე და იქვე მდინარის მოახლოვებით სწრაფად მიმავალი რკინის გზის მატარებელი, რომლის შავი კომლი მაღლა-მაღლა ასული ჰაერში განიფანტებოდა.

— **რ**ა კარგია! რამდენი ბაღებია, მინდორი, წყალი, რკინის გზა, სუყველაფერი რა მშვენიერია!.. **მ**აგრამ მარტო რადა ვარ? სად არის მადმუაზელი, დედა, მართა-ძიძა? და ტირილი ამოუშვა.—**ტ**ანთ ვინ უნდა ჩამაცვას...

**დ**ედა მისი **ლ**არია სახლის მეორე მხარეზედ აივანზედ იჯდა და ისიც გადაჰყურებდა თავის წინ გაშლილ გალატაკებულ-ქოხებად ქცეულ ადამიანთა სადგურებს და გული სევდით ევსებოდა. **ღ**მერთო ჩემო! მთელი სამი-ოთხი თვე ამ ნანგრევებ შუა უნდა გავატარო! ამ დაგლეჯილ-დაფლეთილ ხალხის ყურებით უნდა ვატკბობდე თვალთ მხედველობას?!. **ო**ჰ, ეს შეუძლებელია... **ა**მ დროს მოესმა **ნ**უსას ტირილი და საჩქაროდ ოთახში შევარდა.

— **რ**ა იყო, ჩემო მშვენიერო, რაზედ ტირი?

— **მ**ე მეგონა რომ ამ სახლში მარტო მე ვარ, რომ თქვენ ყველამ თავი დამანებეთ... **რ**ა სიჩუმეა გარშემო! ჩვენს მეტი არავინ არის ამ სახლში?— გაკვირვებით ეკითხებოდა **ნ**უსა დედას და თან გულში ეკროდა.

— **ა**რავინ, ჩემო ნუგეშო, არავინ! მარტო მე და შენა ვართ ამ მშვენიერ მდებარეობას, მაგრამ მივარდნილ და გავერანებულ სოფელში. **მ**ხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი ძიძა-მართაა ჩვენთან და ეხლავე გაახლებ, რომ ჩაგაცვას.

ერთი საათის შემდეგ, როდესაც ნუსამ დიდის მადით ისაუზმა და მთელი ჭიქა ახლად მოწველილი სურნელოვანი რძე გადაჰყლაპა, ძიძას ხელი მოჰკიდა და სოფლის გზისაკენ წავიდა.

ნუსა დიდის ცნობის მოყვარეობით შეუდგა ამ თავისათვის ჯერედ უნახავის და აუხსნელის ცხოვრების დაკვირვებას. ძალაქელი ბავშვისთვის და მეტადრე მაღალი წოდების ბავშვისთვის, რომელიც იშვიათად ჩამოდის მაღალ სართულებიან სახლიდგან და როდესაც ჩამოდის, მაშინაც მხოლოდ გატკეცილ ქვაფენილზედ დაბძანდება და მხოლოდ უპირველეს ქუჩებს, უმდიდრეს სახლებს ხედავს, სოფლის ქოხმახი, უსწორ-მასწორო, ტალახიანი გზები, მცხოვრები დაფხრეწილი, არა სპეტაკად მორაკრაკე ტანსაცმელი, ფეხ-შიშველი, ნახევრად ტიტველი ბავშვები, რაღაც საზღაპრო გაოცებას იწვევდნენ.

— მართა, უყურე, უყურე პატარა ქალი ფეხშიშველი ტოპავს წყალში! შეჰყვირა იმან, როდესაც სოფლელი პატარა ბავშვი წყაროსთან დაგუბებულ ლაფში ამოსვრილი დაინახა.—ხომ გაცივდება, ავად გახდება! ნახე ხელებიც დასვრილი აქვს, კაბაც... უთხარი დაბანონ... მაგის დედა სად არის, დაუძახე, ჩქარა...

— ნუ სწუხარ, გენაცვალე, უთხრა ძიძამ ნუსას—ეგენი ეგრე არიან დაჩვეულნი. არ გაცივდებიან. მაგათი ძვალი და რბილი შეჩვეულია ჰაერს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალს. დედას სადა სცალიან მაგისათვის, ის, მგონი, პურს უნდა აცხობდეს, გესმის ახალი გამომცხვარი პურის სუნი დგას.

— პურს აცხობს დედა? სადა, როგორ აცხობს, აბა მიჩვენე. ცნობის მოყვარეობით დაეკონწიალა ნუსა მართას ხელზედ. მართაც შეუძღვა პატარას მოფიცრულ, ფიჩხით დაფარებულ სათორნეში და თორნეში ნახევრად ჩაკიდებული მცხობელი აჩვენა.

— რას შვრება! უშველეთ, ააყენეთ, დაიწვება! შეჰყვირა პატარა ქალმა, როდესაც თორნის ძირში ცეცხლი დაინახა და ტირილით მართას გულზედ მიეხუტა.

— ნუ გეშინიან, გენაცვალე. სიცილით უთხრა თორნიდგან ამოსულმა, ჭარხალივით გაწითლებულმა და ოფლით გაწუწულმა მცხობელმა. არ დავიწვი. ჩვენ პურს სულ ასე ვაცხობთ და ქალაქელებს კი გგონიათ, რომ მაღლით ფუფალა გვიყრის გამომცხვარ შოთებს!

— შეხე, მართა, ი კაცი რასა სჭამს, თან ბალახს ატანს. პურიც რა შავია და ხმელი. ბანა სხვა პური არა აქვს? ეგ როგორ იჭმევა!

ასე და ამ გვარად ნუსამ მთელი სოფელი მოიარა და გაკვირვებული და გაოცებული ამდენ უცნაურ, იმისთვის წარმოუდგენელ ნანახით, დაბრუნდა სახლში და ამ შემთხვევაში დედაც, ბავშვზედ არა ნაკლებ უმეცარი ხალხის ცხოვრებისა, გააკვირვა და გააოცა.

მეორე დღეს, როდესაც ნუსა კვლავ გაემგზავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა სასეირნოდ, დედამ კალათაში ჩაულაგა თეთრი კვერები, კანფეტები, შაქრის ნამტვრევები და თან გააყანა.

ნუსამ სიამოვნებით დაურიგა სოფლის გოგობიჭებს დედის გამონატანები.

მესამე დღესაც ესევე განიმეორა, მეოთხესაც და მერე ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. პატარა ნუსა ყოველთვის ბავშვებ შემორტყმული იყო და სიხარულით უწილადებდა დედის გამოტანებულს. ამასობაში ნუსა გაეჩვია ხალხში, გაიგო იმათი გაჭირვება, იმათი ჭირი და ვარამი და დედასთან შუამავლობა გამართა. ბევრს გაჭირვებულს ხელი გაუმართა დარიამ ნუსას დახმარებით, ბევრს ავადმყოფს კვნესა შეუყუჩა, ბევრს დაჩაგრულს, თავის დახმარებით, ცხოვრება შეუმსუბუქა.

— შენ გენაცვალოს ტასიას თვალები, ჩვენო მფარველო ანგელოზო, დედასთან გვიშუამდგომლე „სტრაჟნიკს“ უბძანოს ერთი ორი დღე „აცენკის“ ფული დაგვაცადოს. ძაცი ზორს წავიდა, ვარიები, კვერცხები, ცოტა ოდენი კარაქი წაიღო, გაჰყიდის, გროშებს მოიტანს და მივსცემთ.

— ერთი „პარაშოკი“ ქინაქინა გვიბოძოს დედამ, ეუბნებოდა მეორე დედა-კაცი ნუსას, ზიორგა გამიცხელა და გუთანს სცდება. ახალ დადებულ კვერცხებს მივართმევ სამაგიეროდ.

ნელ-ნელა, დღეს-ხვალ, მოსული ბავშვი სოფლის მფარველ ანგელოზად გადაიქცა. ყველა მაშვრალი, ყველა გაჭირვებული თავისუფლად აბარებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პატარა მაშუალს თავის გასაჭირს და ამავე მაშუალის დახმარებით ცხოვრებას იქარვებდა.

Არამც თუ შვილი, უდაბნოს გადმოტყორცნილი და მარტოობით გაოგნებული დედაც სიამოვნებით და გატაცებით ქველმოქმედობდა და ეს ქველმოქმედება იმის ერთად ერთ გასართობ საგნად გადაიქცა. Ის მთელი დღე სულ იმის ფიქრში იყო, თუ რა მოემზადებინა, რა შეეკერნა, რომ ნუსას თავის მრევლში დაერიგებინა.

Გლეხებიც სცდილობდნენ ქალაქელების სიამოვნებას; ქართველს გლეხს არ უყვარს ვალის გადუხდელობა. Ახალი დაკრეფილი მარწყვი, მაყვალი, მწიფე გულაბი, ნალბით სავსე ჯამი, ახალი შედღვებილი კარაქი, ყველას სიამოვნებით მიჰქონდათ ლამაზ ქალბატონთან და ლამაზი ქალბატონიც გულუხვობდა თავის შვილის სადღეგრძელოდ. Თეთრ პურს, ჩაი-შაქარს, სუფთა საცვლებს, პირველ დახმარების საშუალო წამლებს ორთავ ხელით არიგებდა. Ამასობაში დღე-დღეზედ შეუნიშნავად მიდიოდა; დედა-შვილი ადრიანად ეძლეოდნენ მოსვენებას და ხალხთან ადრიანადვე იღვიძებდნენ და იწყებდნენ მოქმედებას.

— Დედა, დედა! რომ იცოდეთ რა ვნახეთ მე და მართამ, რა უბედური ოჯახი! დედაჯან, უთუოდ შენ უნდა წამოხვიდე, შენი თვალით ნახო. Ოჰ! ოჰ! რა საწყლები, რა უბედურები არიან! ქმარი ბებერი, ბრმა, ცოლი კუტი და ეხლა კიდევ ავადმყოფი, ცალიერ ფიცრებზედ გდია, ზედ რაღაც მყრალი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭუჭყიანი ძონძები აფარია. სახლში არაფერი არ აბადიათ. ბრმა პერანგ ჩამოფხრეწილი ზის და თამ-



ბაქოს მაგივრად ქალალდის ნაგლეჯებს სწევს ჩიბუ-ხით. პატრონი არავინა ჰყავთ, რომ წყალი დაალე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინოს, პური მიუტანოს... ორი დღეა თურმე მშივრები არიან...

ნუსა საშინლად აღელვებული, ხელების კანკალით მოუთხრობდა დედას უბედურთა მდგომარეობას და თან თვალებში შეჰყურებდა, თითქო იქ უნდა ამოიკითხოს, თუ რამდენად განსჭვალა დარია ამ დახატულის საკოდავის სურათით.

— ღმერთო! რეებს ამობს ნუსა! მართა, ნუთუ შესაძლებელია, რომ ამ გვარი უბედურები მოიპოვებოდნენ? ნუ თუ სოფელში ქრისტიანი არავინ არის, რომ წყალი მიუტანოს, პურის ლუკმა მიაწოდოს!

— იჰ, ქალბატონო, ვისა სცალიან იმათთვინ. ყველა გაჭირვებულია, ყველას თავისი საკუთარი ჭირი და ვარამი აწუხებს. მერე ეხლა ათასი საქმეა კარს მომდგარი: ეს კალოო, ეს სიმინდის თოხნაო, ბაღების მორწყვაო; თავზე ხელის მოსასმელადაც აღარავის სცალიან. ბავშვებიც კი წელებზედ ფეხს იდგამენ მუშაობით... სოფელს მოსწყენია კიდეც იმათი ყურის გდება. აგერ ათი წელიწადია თურმე, რაც ის კაცი დაბრმავებულა, დედაკაცი-კი წინადვე თორნეში ჩავარდნილა და მარჯვენა ფეხი და ხელი დახრაკული იმიტომა აქვს. მანამ ფეხზედ მდგარა, სიფელ-სოფელ უვლია, უგლახაკნია, ლუკმა მათხოვრობით უშოვნია, ახლა-კი ლოგინად ჩავარდნილა და ორთავე უსუსური ცოლ-ქმარნი უპატრონოდ ჰყრიან. ამათ ოთახში არ შეისვლება, მძოვრის სუნი დგას. ან მე როგორ გამიწყრებოდა ღმერთი, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი გაზდილი იქ მიმეყვანა, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ მაგის ცნობის-მოყვარეობა, საიდგანღაც გამისხლტა და ამათ გაღებულ კარებში შემივარდა... ძლივ-ძლივობით გამოვიყვანე, უნდოდა წყალიც თითონ მიეტანა, ცეცხლიც აენთო...

— ჰა, დედა! რა ვქნათ, როგორ ვუშველოთ? მშივრები დაიხოცებიან! პატრონი არავინა ჰყავთ, შეჰღაღადებდა ნერვებ აშლილი ნუსა დედას, რომელიც ამ ზარ დამცემი ამბის გაგონებით უძრავად იჯდა ჩაფიქრებული.

— რა ვქნათ, რა ვქნათ?! ამანაც კვნესით მისცა კითხვა თავის თავს და არ იცოდა რა გზას დასდგომოდა.

— წავიდეთ, დედა, ნახე, შენ თითონ ნახე, რა უბედურებაა. ბრმა, კუტი და მერე ავადმყოფიც... ადე, დედა! წამოდი, წამოდი! ჩქარა, თორე მოკვდებიან...

— დამშვიდდი, დამშვიდდი, გენაცვალე, ეხვეწებოდა დარია მეტად აღელვებულ ნუსას. შენ გაწყენს ტირილი, აღელვება. მოიცადე, მე ეხლავე ყოველ ღონისძიებას მივიღებ, რომ უბედურებს ვუპატრონო... ლუკმა გავუჩინო.

— ჩქარა, დედა, ჩქარა, თორე მოკვდებიან. კუტი ისე კვნესის, გული შეგიწუხდება, რომ გაიგონო. თან ბრმისთვის თხოულობს შველას. „მე რო მოვკვდე, ვერც-კი ვერავის შეატყობინებს, რომ გამათრიონო, საფლავის კარებამდინ მიმათრიონო“, ამბობს.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

Დარია მხურვალედ შეუდგა უბედურ ცოლ-ქმართა მდგომარეობის გაუმჯობესობას. Დიდი ხარჯი და შრომაც არ იყო საჭირო იმ უბედურთა ადამიანურად მოსაწყობად. Სოფელში გამოჩნდნენ მოხუცებული დედაკაცები, რომელნიც Დარიას ფულით საჩქაროდ შეუდგნენ საქმეს და ყველაფერი მოაგვარეს. Ბაუკეთეს ლოგინი, შეუკერეს ტანთსაცმელი და კერაზედ ცეცხლი აუნთეს.

Სამი დღის შემდეგ, Ნუსა და Დარია Მართას თანხლებით ბრმის სახლში რომ შევიდნენ, პირს სიამოვნების ღიმილი მოუვიდათ. Ძარგა მოზრდილი ქვითკირის ოთახი სუფთად იყო დაგვილ-დაწმენდილი. Ფართო ბუხარში ცეცხლი გუზგუზებდა და ზედადგარზედ დახურულ ქვაბში საჭმელი იხარშებოდა. Ბუხრის აქეთ-იქით პატარა ტახტებზედ, სუფთა ლოგინზედ სუფთად ჩაცმული ბრმა და კუტი განისვენებდნენ. Ბუხრის პირდაპირ ხის სკამზედ ბებერი მაია იჯდა, წინდას ქსოვდა და თან ელაპარაკებოდა დავრდომილებს: „იჰ, დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი. Რატო ყველა ადამიანს არ მისცემ მაგ გვარ ღვთიურ სათნოებას, კაცთმოყვარეობას, მაშინ ხომ აღარ იქნებოდა ასეთი უსწორ-მასწორობა! ერთი ხომ სიმშილით არ მოკვდებოდა და მეორე მაძღრობით არ გასივდებოდა! აი რა ადვილად მოახერხა თქვენი ადამიანად ქცევა ი დალოცვილმა ადამიანმა“.

— Ღმერთმა ადღეგრძელოთ! სთქვა ბრმამ და ხელები მაღლა აღაპყრო ღვთის სადიდებლად.—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთმა ადღეგრძელოთ! ი პატარა ანგელოზია თურმე, ყველა სიკეთის მომქმედი. და ამ სიტყვებთან ჩიბუხიდგან ქალალდის ნაგლეჯების მაგივრად ნამდვილი თამბაქოს ბოლი გააბოლა.

ამ სცენის უნებლიედ მნახველნი დედა-შვილი ჩუმად უკანვე გაბრუნდნენ კარებიდგან. სახლს რომ მოშორდნენ, მივარდა ნუსა დედას და მხურვალედ ხელები დაუკოცნა.

— დედაჯან, დედაჯან! რა კარგი ხარ! რა კარგი საქმე გააკეთე... რომ იცოდე, რა იყო მაშინ ეგ სახლი და რა არის ეხლა!!

— ღმერთო ჩემო! რა ცოტა ყოფილა საჭირო ადამიანის ბედნიერებისათვის! გაიფიქრა თავის გულში დარიამ და თავისი ანგელოზი, თავის-ადამიანად მქცეველი გოგონა უფრო მაგრა მიიკრა მკერდზედ და ლმობიერების ცრემლები გადმოჰყარა.

---

ასე შეუნიშნავად გავიდა ზაფხული ნუსას და იმის დედისათვის; დადგა შემოდგომა ბედნიერი და მაძღარი. ასკილიანი აივსო ღვთის მოწყალებით, მოსავალი კარგი მოვიდა, ყურძენი და ხილი მრავალი. დარი მშვენიერი იდგა და სოფელში ლხინის ხმა გაისმა. სოფლის დაირა, „ბუზიკაზედ“ ახალ კაბებში გამოწყობილ გოგო-ბიჭებთან ჩვენი აფრთოვანებული, პირის ფერად დაკვრახილი ლოყებით და ზარივით წკრიალა ხმით, ნუსაც ხტუნავდა და იმისი გარდაქმნით ბედნიერი დედა დარია ქალაქში წასასვლელად ჯერაც არ მიეჩქარებოდა.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაგდანას „ლურჯა“

## I

Mაგდანა ჯერ ძლიერ ყმაწვილი დედაკაცი იყო, როდესაც ქმარი მოუკვდა და ოთხი უსუსური ბავშვი ხელზე ულუკმა-პუროდ დარჩა. Eრთად ერთი ძროხა, რომელიც ამის ბაღანებს ზაფხულობით ლუკმას უსველებდა, ქმრის დამარხვას მოუნდა და სხვა სანუგეშებელი ქვეყანაზედ აღარა გადარჩა რა. Rა ექმნა უბედურ ქვრივს? რითი გამოეკვებნა თავისი ობლები? სოფელი „მწირი“, სადაც Mაგდანა სცხოვრებდა, იმისთანა უნაყოფო, უწყალოდ მოტიტვლებულ მინდორზედ მდებარეობს, რომ იმის მცხოვრებნი დიდის ვაი-ვაგლახით შოულობენ დღიურს ლუკმას. Dა, აბა, ამ გვარი მეზობლები რა ხელს გაუწვდენდნენ წვრილშვილს, უვაჟკაცოდ დარჩენილს ოჯახს.

Aმ უბედურ და ბუნების მხრით განწირულს სოფელს მხოლოდ ერთი ბედნიერება სჭირდა: ქალაქზე ძლიერ ახლო იყო და იქ მცხოვრები გლეხები ამ ქალაქში შოულობდნენ სამუშაოს, ბაზარს გასასაღებლად, თუ რამ ნაწარმოები გააჩნდათ გასასაღებელი. Mაგდანასაც ამ სიახლოვემ უჩვენა გზა, და ხელი მიჰყო იმისთანა საქმეს, რომელიც ძლიერ მძიმე და თითქმის აუტანელი იყო მისთვის. Mაგრამ რას გააწყობდა, როდესაც ოთხის ბავშვის ტირილი:— „დედა, პური, დედა, პურიო!“—დღე და ღამე მოსვენებას არ აძლევდა და მშობელს გულს უფათრავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მ**აგდანა სულ ერთის კვირის დაქვრივებული არ იყო, როდესაც მძიმე შავებში გახვეული, მაწვნის ქილებით ცალ მხარზე და კარგა მოდიდო რძის კოკით მეორე ხელში გაემგზავრა ქალაქისკენ.

**რ**ძეს **მ**აგდანა ყიდულობდა თავის მეზობლები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგან, საღამოობით აყენებდა მაწვნად და მეორე დილაზედ გაუთენებლივ გაუდგებოდა ხოლმე ქალაქის გზასა. **ი**ქ, „იარმუკის“ თავში, ქვაფენილზე დაჯდებოდა, მოიხსნიდა თავის მძიმე ტვირთს, ჩამოამწკრივებდა სუფთად დახეხილ მაწვნის ქილებს, რძის ლიტრებს და თავ-ჩაღუნული ელოდა მუშტარს.

**პ**ირველში საშინლად იტანჯებოდა საცოდავი ქვრივი, რომ ასე აშკარად, გაშლილ მოედანზედ იჯდა ახალი მგლოვიარე, შავებით მოსილი და გამვლელ-გამომვლელს იწვევდა სასყიდლად. **მ**აგრამ შემდეგ შეეჩვია, მსყიდველებს ლიჭინიკი დაუწყო, მეტადრე მაშინ, როდესაც მის გვერდით სხვა ბევრი ქვრივ-ოხერიც გამოიჭიმა მაწვნის ქილებით, რძის ლიტრებით და მის ვაჭრობას შეეცილნენ.

**მ**აგდანა იმდენს შოულობდა ამ ვაჭრობით, რომ სიმშილით არ მომკვდარიყო და ცალიერი ლუკმა მაინც მიეწვდინა თავის ობლებისათვის.

**თ**უმცა სოფელი „მწირი“ ქალაქიდგან სულ ხუთ-ექვსს ვერსზე იყო მოშორებული, მაგრამ ამ მცირე მანძილის გავლაც დღეში ორჯერ, მძიმე ბარგით ზურგზედ, ისე სწყვეტდა საბრალო დედაკაცს, რომ ბევრჯელ შინ დაბრუნებული **მ**აგდანა ორისამის საათით უღონოდ ეგდო დერეფანში, და თავს დასჩხაოდნენ თავისი პატარები. **მ**უდმივმა მძიმე ტვირთის ზიდვამ მარჯვენა მხარე ჯერ დაუიარავა და შემდეგ ისე დაუკოჟიჟდა, რომ ყოველ ბარგის აკიდებაზე **მ**აგდანა სიმწარით ცრემლებს ჰყრიდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულონოდ წაიჩოქებდა ხოლმე, მაგრამ შემდეგ წამს პირჯვარს გადიწერდა და გაუდგებოდა თავის გზას.

დედის დაბრუნებამდე ოჯახს ჰპატრონობდა მაგდანას უფროსი გოგო, თორმეტის წლის სოფო და ჩინებულადაც ჰპატრონობდა. მანამ პატარა დაძმათ ეძინათ, დაჰგვიდა დარბაზს, კოკებს აავსებდა დილის წყლით, წიწილ-კრუხს საზრდოს მისცემდა და, როცა პატარები გაიღვიძებდნენ, დაჰბანდა ხელპირს, დაჰხეხდა სახვალიოდ საჭირო რძის ჭურჭელს და, პატარა ბავშვით ხელში, გავიდოდა ბანზედ. იქ მზის გულზედ ჩუმად ჩხირკედელაობდა დედის დაბრუნებამდე. ქალაქიდგან მომავალი გზა ამათ სოფლის წინ კარგა მანძილზედ იყო გაშლილი და შემდეგ დაღმართში იკარგებოდა; დაინახავდა თუ არა დედას პატარა სოფო აღმართზე ამოსულს, ძირს დასვამდა თავის პატარა დას, სირბილით მიეგებებოდა დედას, ჩამოართმევდა ცარიელს ქილებს, ნაყიდს ხორაგს და ცოტათი მაინც შეუმსუბუქებდა მშობელს ტვირთსა.

მაგდანას აუტანელი გაუხდა ჯაფა ზაფხულში. მკათათვის მზის მწვავე სხივები ულმობელად სწვავდა საცოდავს თავპირს, ცეცხლს უკიდებდა მუდამ ფეხშიშველობით დაფათრულს ფეხებს და ერთიორად უგძელებდა მანძილს; მაგდანა წამდაუწუმ ისვენებდა გზაზედ, ბევრჯელ დაღალულ-დაქანცულს კიდეც მიეძინებოდა ჩრდილში და საღამომდე ძლივს მიაღწევდა ხოლმე თავის სოფელს. რძის ყიდვა, ადუღება, მაწვნების შეყენება უგვიანდებოდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ პირ დაძინებასაც ვერ მოასწრობდა, რომ მამლები იყივლებდნენ. და ისევ ხელახლად გზას უნდა გასდგომოდა. ამის გამო ყოველდღივ ქალაქში სიარული შეუძლებელი შეიქნა და ობლების საზრდომაც იკლო. სოფო და დედა ნახევარზედ მშივრები იყვნენ და თავის წილს ლუკმას პატარებს უზოგავდნენ.

## II

ფარიამობის თვის ერთ საშინელ ცხელ დღეს მაგდანა ჯანმიხდილი, საშინელის ქშენით და ოფლში გაწუწული ავიდა იმ აღმართზე, საიდგანაც სწორე გზა იწყებოდა სოფლამდე და ძალიან გაუკვირდა, რომ სოფო ჩვეულებრივ არ მიეგება და შიშით გული გადმოუქანდა.—ვაიმე, შვილებო!—გულში ხელი ჩაიკრა და თითქმის სირბილით მიიჭრა სახლში. იმის შვილები და სოფლის გოგო-ბიჭები დერეფანში დიდის ღრიანცელით თავს რაღასაც დასტრიალებდნენ; მაგდანამ მისწი-მოსწია ბავშვების გროვას და გაოცებული შესდგა; მიწაზედ დაცემული სახედარი იწვა, კისერი საცოდავად გადაეგდო და მძიმედ ქშინავდა. მაგდანას სახეზედ ღიმილმა გადაჰკრა და ბავშვები მირეკ-მორეკა. შემდეგ დიდის გულისხმიერებით გაუშინჯა სახედარს წელი, ფეხები და, რა დარწმუნდა, რომ სახედარს მოტეხილი არა აქვს-რაო, უფრო ტკბილად გაიღიმა.

— დედა, იცი, მიხას ეგ ვირი გზის ნაპირას ენახა, დამიძახა და რის ვაი-ვაგლახით მოვაგდეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინამდინა. **ი**ს იყო უნდა დამება და ბალახზე წავსულიყავ, რომ საცოდავი დატორტმანდა და ძირს დაეცა. **მ**ე ყვირილს მოვყევი, გოგო-ბიჭები შემოცვივდნენ, და აი ზედ დატანებაზედ შენც მოხვედი.

— **ო**ჰ, შვილო, თუ სახედარი გამობრუნდა, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. **ა**ბა, წადი ჩქარა ბატონიანთ სათივეში, ღობის გვერდებში მიგლიჯ-მოგლიჯე მწვანე, სულ ნორჩი ბალახი და საჩქაროდ მოირბინე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგდანას სულ დაავიწყდა, რომ დაღალულ-დაწყვეტილი იყო და საჩქაროდ სახედრის მოვლას შეუდგა. ბაათბო წყალი, გადაგლეჯილი და დაიარავებული ზურგი მოჰბანა, ნავთში გავლებული ჩვარი დააფარა, შეკრული კრიჭა გაუხსნა და ცივი წყალი ჩაასხა. შემდეგ მარილ-მოყრილი ლუკმა ჩაუდო და გადასავსავებული პირუტყვი მოაბრუნა. ამასობაში სოფოც მოვიდა, მწვანე ბალახით დატვირთული და ვირს ალერსით წინ დაუყარა.

## III

ორის კვირის შემდეგ, როდესაც სახედარმა იმოდენად მოიხედა, რომ შეეძლო ტვირთის აკიდება, მაგდანამ ერთი-ორად მეტი რძე იყიდა, ერთი-ორად მომეტებული მაწონი შეაყენა, მეზობლებისაგან ორი დიდი გოდორი ითხოვა, გადაჰკიდა თავის ბედაურს, შიგ მჭიდროდ ჩააწყო თავისი ქილები და გაუდგა ქალაქის გზასა. დღეს ვერავინ იცნობდა მაგდანას, ისე გაღიმებული, ბედნიერებით სავსე იყო იმისი შეხედულობა. ჩვეულებრივ ტვირთ ქვეშ მოხრილი-კი აღარ მიღოღავდა,— არა, ამაყად აბიჯებდა და მხიარულად შესცქეროდა თავის თანაშემწე „ლურჯა“ სახედარს და მის გარეშემო სიხარულით მხტუნავ თავის ბავშვებს.

— დედა, დღეს ხომ უფრო ადრე ჩახვალ ქალაქს?—ღიმილით ეკითხებოდა მაგდანას მისი პატარა მიხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— **რ**ასაკვირველია, შვილო, ადრე კი არა, ერთი-ორად ადრე ჩავალ და შუადღემდინ იქნება კიდეც მოვბრუნდე.

— **რ**ას ამბობ, დედა, შუადღემდე! იქნება საღამომდინაც ვერ მორჩე მაგოდენა მაწვნის გაყიდვას; მთელი სოფლის ქოთნები მათხოვნინე წუხელის,—უთხრა **ს**ოფომ დედას.

— **ბ**აყიდვისა კი აღარ მეშინიან,—ამ ოთხ-ხუთ დღეში, შვილო, იმოდენა ხალხი გავიცან, იმდენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშტარი ვიშოვე, რომ ფიქრი არ არის, მალე დავაცალიერებ მაგ დიდ გოდრებს; მერე ვერა ხედავ, რა ცხელ დღეს იჭერს? მაწვნის მეტს რას შესჭამს ამ პაპანაქებაში ვაჭარი კაცი. ახლა კი დაბრუნდით, შვილო, დაიღლებით!

— არა, დედი, არა, დაღმართამდინ მიგაცილებთ და იქიდან გიყურებთ, როგორის გოგმანით წავა ჩვენი ლამაზი „ლურჯა“. რა ლამაზი თვალები აქვს, დედა, შავი, ჭკვიანი! მაგრამ ისევ ისე დაღონებული-კი გამოიცქირება, როგორც მაშინ, დავარდნილი რომ ვიპოვეთ! ეხლა ხომ აღარა შიან, დაღონებული რაღად არის?

— რა ვიცი, შვილო, ვირის ჯიში აგრეა, სულ დაღონებული არიან ვირები, თავს მაღლა თავის დღეში არ აიღებენ. მაძღრობა ვირს მარტო კუნტრუშზედ შეეტყობა, და განა არა ნახე, გუშინ ჩვენი „ლურჯა“ მინდორზე როგორ კუნტრუშობდა?!

— ხა, ხა, ხა, როგორ დაკუნტრუშებდა გოგიაანთ ვირებთან!—გადიხარხარეს პატარებმა. მანამ მოხვალ, დედი, იმდენ ბალახს მოვუტანთ, იმდენს, რომ სულ შიგ ჩაიფლას ჩვენი „ლურჯა“,—ხტუნვით და აღტაცებით შესჭიკჭიკებდნენ მაგდანას შვილები.

## IV

ბართლაც, მაგდანას ღმერთმა მოჰხედა და სახედრის წყალობით იმისი საქმე კარგად წავიდა; რძისა და მაწვნის გარდა, მაგდანამ ხან-და-ხან

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვერცხს და ქათამსაც დაუწყო ყიდვა. მაგდანა ყოველთვის პატიოსნად ვაჭრობდა, რძესა და მაწონს წყალს არ ურევდა, ჭურჭელი სოფოს წყალობით ყოველთვის მშვენივრად დახეხილი ჰქონდა, და ამის გამო მუდმივი მუშტარი ბევრი აიჩინა ქალაქში. გარდა ამისა, რომ მაგდანასაგან ვაჭრობდნენ, იბრალებდნენ კიდეც იმის ობლებს და აძლევდნენ იმათთვის ნახმარ ტანისამოსს, ფეხ-საცმელს.

შემოდგომამდე მაგდანამ დღიურ ლუკმას იმდენი გადაარჩინა, რომ შეიძლო ცოტაოდენი საწვრიმალო ეყიდნა, და, როდესაც სოფლის საქონელი გაშრა და რძე აღარ იშოვებოდა, საწვრიმალოს ყიდვა დაუწყო; მიეკედლა ერთს მეწვრიმალე ხნიერს დედაკაცს, იმასთან სანახევროდ სავაჭრო იყიდა, წამოჰკიდა თავის სახედარს და წავიდნენ მთიულებში სავაჭროდ. ამ ვაჭრობით ორი-სამი ტომარა ფქვილი მოუმზადა საზამთროდ შვილებს, სახედარს— ბზე და ცოტაოდენი ქერი, და ახლა კი დაისვენა, დაუბრუნდა თავის შვილებს, ცეცხლი ააბოლა თავის კერაზედ. ზამთრის დიდ ღამეებში მაგდანა ცეცხლა-პირას იჯდა განუშორებელ მატყლის წინდით ხელში და თან თავის შვილებს უამბობდა ქალაქის ამბებს, თავის ვაჭრობის უცოდინარობას პირველში.

— ბამოცდილება კარგი ყოფილა, შვილო,— დარბაისლურად მიუბრუნდებოდა ხოლმე მაგდანა თავის ჭკვიან გოგონა სოფოს:—პირველად რომ მაწვნით ვაჭრობა დავიწყე, ყველა მასხარად მიგდებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ყველა ცდილობდა ჩემზე წინ წამდგარიყო, რომ უფრო მალე გაესაღებინა თავისი სავაჭრო, და მე კი, ბეჩავი, ჩუმად აბუზული, უკან ვრჩებოდი. ბევრჯელ მტრობით ავმა სულებმა მიწა გადამიყარეს მაწვნებზედ, ბევრჯელ განგებ დამეჯახნენ და დამაქცევინეს, მაგრამ მეც თვალი გავახილე, მეც მივხვდი, რომ ყველაფერში გამარჯვება სიმარჯვესა და სიმხნევეზეა, და ხმა ამოვიღე, მივიძარ-მოვიძარ. მეტადრე, როცა მომაგონდებოდა, რომ თქვენ აქ უპატრონოდ, მშივრები, ტიტვლები ეყარენით, ცეცხლი მომედებოდა ხოლმე გულზედ და მაშინ ვინ იყო ჩემი წინ წამომდგომი. მე ყველაზედ წინ გავრბოდი, მე ყველას უფრო მომეტებულად შევლიჭინებდი, რომ ჩემი რძე-მაწონი ეყიდნათ,—და ლუკმა ამითი ვიშოვე.

## V

ნაღდგომევს, როდესაც სოფლებში ისევ გახშირდა წველა, მაგდანამ გაამზადა თავისი ბედაური, თავისი მაწვნის ქოთნები და გაუდგა ქალაქის გზას. მხიარულად მიერეკებოდა თავის „ლურჯას“ და თანაც ღიღინებდა; მაგდანას გული იმედებით იყო სავსე. სააღდგომოდ შვილები ვერაფრით გავახარე, თითო ჩითის პერანგიც ვერ ჩავაცვი და ეხლა მაინც ვუყიდი რასმე; სოფოს, ჩემს იმედს, ჩემ ჭკვიან გოგონას წითელ ფოსტლებს ამოვუტან,—ენაცვალოს დედა, მე შენ გითხრა, ჩემს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარებს უჩემობას შეამჩნევინებს: ისე დაჰგურგურებს, როგორც კარგი დამზნილი დედაკაცი... ჩემს ვაჭრობას უფრო მოუმატებ. იქნება ორიოდ გროში მივაგდო სოფოს სამზითვოდ... ლერეფნის შუა ბოძი ძლივს იმაგრებს გასაყარ ხესა, იმასაც გამოცვლა უნდა...

ამ ფიქრებში გართული მაგდანა მიუახლოვდა ქალაქს. ის-ის იყო მზემ თავი ამოჰყო და მშვენივრად გააჩაღა ვერის ბაღები, პატარა ვერის ხევის მომჩქეფარე წყალი და უზარ-მაზარ სარკესავით აალაპლაპა მტკვრის მდორედ მოძრავი ზემოთა პირი. ახლად გამოღვიძებულ ქალაქის ხმაურობა გუგუნივით მოისმოდა. შეშის ურმები, აგურის პოვოსკები, ფურგუნები ერთი ერთმანეთში ირეოდა; მებაღეები მწვანილ-დატვირთულ სახედრებით, მერძევე დედაკაცები კოკებით, კინტოები თაბხებით თავზე მიეშურებოდნენ, გარბოდნენ, რომ ბაზარში არ დაჰგვიანებოდათ. მაგდანამაც ორიოდე სახრე გაჰკრა თავის „ლურჯას“ და ფეხი ააჩქარებინა.

მაგდანა რომ ვერის აღმართს ავიდა, იმის პირ-და-პირ საშინელის სიჩქარით გამორბოდა მთელი ჯოგი სახედრებისა. იმათი პატრონი, მთლად შემურული მენახშირე, მშვენიერ იორღა ჯორზედ იჯდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიერეკებოდა. ერთმა ვირმა წამოჰკრა გვერდი მაგდანას მაწვნის გოდორს და მთლად შეარყია. მაგდანა გაანჩხლდა და მენახშირეს წყევლა დაუწყო: „კისერი მოგტყდეს, კისერი, შე ღვთის მუხანათო! რაზედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამლუპე და დამაქციე! დოსავით გათქვეფილი მაწონი ვიღასთან უნდა მივიტანო?

მენახშირემ მხოლოდ ახლა მოიბრუნა კისერი ამისკენ და უცბად შესდგა, საჩქაროდ გადმოხტა ჯორიდგან და მაგდანასთან მიიჭრა:—დედობილო, ნუ კი იწყევლები ემანდა და, აბა, მიბძანე, ეგ სახედარი შენ ვინ მოგცა?

მაგდანას მუხლები მოჰკვეთა, პირზედ მკვდრის ფერი გადაეცდო და ხმის კანკალით ძლივს წაილულლუღა:—მინდორში დავარდნილი ვიპოვე, სული ამოსდიოდა და მოვაბრუნე.

— „დავარდნილი, სული ამოსდიოდა“,—გააჯავრა მენახშირემ მაგდანას: ვინ გეხვეწებოდა, მოაბრუნეო? მინდორში მე იმისთვის კი არ მივანებე თავი, რომ შენ მოგეპარა, სხვა სახედრებს ჩამორჩა, მე მეჩქარებოდა და თავი იმიტომ დავანებე, მეორე დღეს ტყიდამ უნდა ჩამომევლო, წამეყვანა— და რა გაგიშვია, რას ეძებ! თურმე რომ შენ მიგიჩქმალავს, შე არამზადავ, შენა! ეხლავე მომე, თორემ ეს არის შუაზედ გაგგლიჯე! მოხსენ ეგ შენი ქოთნები, თორემ ლუკმა-ლუკმა დაგიმტვრევ! „სუდში“ წაგათრევ და ქურდობისთვის ციხეში დაგალპობინებ!..

მაგდანამ დაინახა, რომ ობლების საზრდო, იმედი ხელიდგან ეცლება, საშინლად გააფთრდა, გოდრებს ზედ გადაეფაფრა, წივილ-კივილს მოჰყვა და, რაც ჯანი და ღონე ჰქონდა, იგერებდა გაცოფებულს მენახშირეს:—ვერ წამართმევ, ვერა! ეს ჩემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაპოვნია, ჩემი გამოკვებილია ზამთარში, ჩემი შვილების ნუგეში ეს არის, ვერ წამართმევ! მომეცალე, მომეცალე, თორემ თვალებს გამოგაწიწკნი, თავს აქ მოვიკლავ და არ დაგანებებ კი.

— Იქით, იქით! ხელი აიღე, თორემ ეს არის მოთმინება დავკარგე! შენისთანებმა უნდა მაჯობონ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შე მასხარავ? იქით-მეთქი, გეუბნები! ცოდვაში არ ჩამაგდო, წიწილასავით არ წაგახრჩო! ნაპარეევი გიპოვე, შე არამზადავ, შენა, და კიდეც მიძალიანდები? რატო სირცხვილით თვალი არა გსკდება და დედა-მიწაზედ არ დავარდები! იქით, იქით-მეთქი!

— **ა**რა, არა! ჩემის ცოცხალის თავით ვერ დაგანებებ. **ჩ**ემია, ჩემი, არ მომიპარავს! განა, ურჯულოვ, შენ თითონ არ იცი, რომ არ მომიპარავს? მთელმა ქვეყანამ იცის, „ტარშინა“-მამასახლისთან გამოცხადებული მაქვს. **ღ**მერთმა აჩუქა ჩემს ობლებს და შენ უნდა წაართვა? არა, ვერ წაართმევ, ვერა!

**მ**აგდანას თავშალი გადაუვარდა, თმები ჩამოეშალა და გაეწეწა, პირზედ მკვდრის ფერი დაედო, შუბლზედ ცივი ოფლი ჩამოსდიოდა, იმის მუდამ წყნარ ხმას მრისხანება მიეცა, მკლავს—საშინელი ძალა,—და ყმაწვილს, ლომივით მენახშირეს კინაღამ აჯობა.

**ა**მასობაში პოლიცია გაჩნდა, ჩხუბის მიზეზი გამოიკითხა და მენახშირე ამ სიტყვებით გაისტუმრა: წართმევა არ იქნება, წადი, წადი, სასამართლოში იჩივლე, იქ გაარჩევენ საქმეს და, სახედარი ვისიც არის, იმას მისცემენ.

**მ**აგდანამ სული მოიდგა, თავშალი მოიხვია, ტანისამოსი გაისწორა და თავ-ჩაღუნული და შემკრთალი, რომ ამოდენა ხალხმა ამის გაანჩხლება დაინახა, იარმუკისკენ წავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## VI

Ეშვენიერი, წყნარი, მთვარიანი ღამეა. მაგდანა თავის ოთხის შვილით ვახშამს მოსჯდომია ეზოში, წინ პურ-ჩაყრილი მაწვნით სავსე ტაფა უდგათ, მაგრამ კი არავინა სჭამს. იმათ მოშორებით ბაკის ღობესთან გამობმული „ლურჯა“-კი მადიანად ახრამუნებს მწვანე ბალახს. მაგდანა მწარედ ჩაფიქრებული შესცქერის მთვარეს და თვალები ცრემლებით ევსება,—ვინ იცის, რითი გადასწყდება ხვალ ამისი საქმე. წაართმევენ ერთად-ერთს საღსარს ცხოვრებისას, „ლურჯას“, თუ შეიბრალებენ ამის წვრილშვილს და არ გამოსწირავენ? ოჰ, ღმერთო, სად არის შენი სამართალი! მომხედე მე, საცოდავს, ჩემს საბრალო ობლებს! განა „ლურჯა“ მართლა ჩემი არ არის? განა მართლა მე არ გადავარჩინე სიკვდილს? განა მთელი რვა თვე მე და ჩემი შვილები ამის მოვლაში და საზრდოს ზრუნვაში არ ვიყავით!?.. რო წაგვართვან, რაღა გვეშველება! ისევ უნდა წელში მოვიხარო და ოთხფეხ პირუტყვსავით ზურგით უნდა ვზიდო რძე და მაწონი?! ოხ, ოხ, ღმერთო, ღმერთო! შენ იყავ ჩვენი მფარველი!—და მაგდანას გადმოსცვივდა მწარე მდუღარება.

— დედა, რათა ტირი?—უთხრა დედას გულამომჯდარმა სოფომ: იქნება „სუდიებმა“ ჩვენ გვარგუნონ, წინადვე გულს რად იხეთქავ?

— დედა, მოდი მე ზედ შემსვი,—ტირილითვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთხრა მიხამ, და მანამ არ მომკვლენ, ძირს არ ჩამოვალ.

— შე საწყალო, შენა! მანამ არ მომკლავენო! შენ რა ხარ, შვილო, რომ შენი მოკვლა რა იყოს, პანტასავით იქით გადაგისვრიან და ბევრსაც გირტყამენ.

— მაშ, მოდი, დედა, მთიულეთში წავიყვანოთ და იქ დავმალოთ,—იმედს არ ჰკარგავდა პატარა მიხა.

— დედა, პური ჭამე, გეთაყვანე, ღმერთი მოწყალეა! გუშინ ნოზაძიანთ ნინიკა ამბობდა: მთელი სოფელი უმოწმებს, რომ მკვდარი მოაბრუნაო. მაგდანას დამალვით ხომ არ დაუმალავსო, საქვეყნოდ „ტარშინას“ გამოუცხადაო, რომ თუ ზამთარში გამოვკვებავ, მერე აღარავის დავანებებო. ან ვის გაუგონია დავარდნილ სახედრის უკან დევნაო. ეგ გზა სულ მენახშირეებით არის გათელილი, მაგის მეტი რა გვინახავსო? დავარდნილი სახედარი ბევრი გვიპოვნია, ბევრი მოგვიბრუნებია, მაგრამ პატრონს ხმაც არ ამოუღიაო.

— ეგ მეც ვიცი, შვილო, მაგრამ, ვინ იცის, „სუდიები“ „კანცელარიაში“ რა ქეიფზედ იქმნებიან, ვისას უფრო გაიგონებენ. მენახშირე ფულით არის გატენილი და მე ერთი უბედური გლახა ვარ, და გლახისას ვინ რას შეიწყნარებს.

— არა, დედილო, არა, ჩვენს „ლურჯას“ ვერავინ წაგვართმევს,—ქვითინით წამოხტა პატარა მიხა და მივარდა სახედარს: არა, „ლურჯავ?“ შენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ წაჰყვები იმ ოხერ მენახშირეს, ნუ წაჰყვები, შენი ჭირიმე!—და ამ სიტყვებთან ერთად ორთავე ხელებით შემოეხვია „ლურჯას“ კისერზე.

## VII

ერთ დღეს მაგდანამ თავზე ხელი გადუსვა თავის „ლურჯას“, დიდს ხანს ჩააცქერდა ტკბილს, დაღონებულს თვალებში და თავი გაიქნია: „განა ასეთი იყავ ამ რვა თვის წინად? განა ასე გიბზინავდა აქა-იქ ამოგლეჯილი შენი ლურჯი ბალანი, ჩემო „ლურჯავ?“ განა მენახშირე ისევ ისე არ გადაგაძრობს ჩემ მორჩენილ ბეჭებს? ნეტა ლაპარაკი მაინც იცოდე, რომ შენა გკითხონ, თუ ვის აირჩევდი პატრონად“. „ლურჯაც“ თითქო გრძნობდა თავის განსაცდელს და, რაც შეეძლო, ზედ ეკვროდა თავის პატრონს.

მაგდანამ კარგად მოუარა თავის ბედაურს, კურტანიც კი აღარ დაადგა, რომ ყველას ენახა, რა რიგად იყო მოვლილი იმისი „ლურჯა“, კისერზედ თოკი გამოაბა და, რომ შვილების ტირილი და ვაგლახი აღარ ენახა, გაუთენებლივ გაუდგა გზას. ჯერ სოფლის „კანცელარიაში“ ჩამი-ჩუმიც არ იყო, რომ მაგდანა თავის სახედრით იქ გამოცხადდა.

სოფო, მიხა და ორი პატარა და მთელი დღე ბანზედ ისხდნენ. არც ერთს იმათგანს მთელი დღე ხმა არ ამოუღია, თითქმის არა უჭამია-რა და მხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ გზას გასცქეროდნენ. მზემ კარგა გადაიწია და მაგდანა კი არსადა სჩანდა.

ბავშვები სასოწარკვეთილებას მიეცნენ. სოფოს, რაც ძალი და ღონე შერჩა, კიდევ ნუგეშსა სცემდა პატარებს, თუმცა თითონ მთლად კანკალებდა მოუთმენლობით.



მზე ჩავიდა და აგერ გზის პირად გამოჩნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგდანას შავი თავშალი. კიდევ ერთი წამი და მაგდანა, წელში გაშლილი, პირმომღიმარი, თოკით ხელში, „ლურჯას“ წინ მოუძღოდა და, თავის მოწმებით გარ-შემოხვეული, მოუახლოვდა სოფელს. მაგდანას შვილები სახედრის დანახვაზედ მთლად გადაირივნენ: სტიროდნენ, იცინოდნენ, ხტოდნენ, გარბოდნენ, უკან ბრუნდებოდნენ და ისევ გამორბოდნენ. ბოლოს ოთხნივე წივილ-კივილით ვირს მოეხვივნენ, ჰკოცნიდნენ, ზედ ახტებოდნენ და უალერსებდნენ.

— კარგით, შვილო, კარგით! ხომ ხედავთ, „ლურჯა“ ჩვენ გვარგუნეს. სოფო, შვილო, გაიქე სახლში, ცეცხლი გააჩინე, ამ პატიოსან მოწმებს უნდა გავუმასპინძლდე.

მაგდანა თავის მოწმებს გულუხვად დაუხვდა. ღვინო და არაყი ბლომად მიართვა, კარგი ჩასუქებული დედალიც დაუკლა და შუალამემდის იმის ერდოდამ, წუხანდელ ტირილის მაგივრად, ჰარიარალეს ხმა ამოდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოჯახის გურჯი

(ამბავი)

## I

შვენიერი, გრილი, ოდნავ მოღრუბლული დღე იყო მარიამობისთვისა. ღილის თერთმეტი თუ თორმეტი საათი იქნებოდა, როდესაც მე და ჩემი თერთმეტის წლის ვაჟი ილიკო, შევსხედით ცხენებზედ და ნელის ნაბიჯით შევუდექით, ჩვენს სოფელს ახლო, ტყის გზასა.

ტყეში სრული მყუდროება სუფევდა. ფრინველნი, ეს ტყის სულის ჩამდგმელნი მოჭიკჭიკენიც კი გაყუჩებულიყვნენ და თითქოს ზაფხულის შუადღის ძილს მისცემოდნენ. მარტო შორიდგან მოისმოდა დატვირთულ ურმის მძიმე ჭრიალი და შორს ბანს აძლევდა სევდიანი ურმული ძნის-მზიდველისა.

მე და ილიკო ტყე-ტყე სასეირნოდ მივდიოდით და ტკბილად ვლაპარაკობდით; ტყე თან-დათან უფრო და უფრო დაბურვილი ხდებოდა; ცას ყური აღარ ვათხოვეთ და თითქმის შებინდებული დღე ახოვან მუხების ჩრდილს მივაწერეთ; ის კი არა თუ ჩვენს ბაასში ცა საშინლად მოხრუშულიყო და უცებ ონავარმა ქარმაც დაუბერა. ტყემ გუგუნი დაიწყო, მიძინებულმა ბუნებამ სწრაფად გამოიღვიძა და მძლავრად ზმორება მორთო; თითო-ოროლა დიდრონმა წინწკალმა მაგრად გაგვიტყლაშუნა პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისახეზედ. Ილიკომ თავის ცხენი ჩემსას მოუახლოვა და შიშით შემომხედა. Ამ დროს საშინლად გაიელვა და თან მოჰყვა ხანგრძლივი ბრუხუნი.

— Დედა, რა გვეშველება? ჩვენ, მგონი, ძლიერ შორსა ვართ ჩვენს სოფელზედ, და ეს საშინელი ავდარი ხომ თან წაგვიღებს?

— Აქ ახლო ერთი სოფელი მეგულება და, აბა, შვილო, ყოჩაღად, მაგრა იჯექ ცხენზედ და მომყე, იქნება ავდარს ჩვენ გავუსწროთ.

Ცხენები კარგები გვყავდა; არც ტყის გზა იყო ურიგო, და გავკარით. Ჩვენის ცხენების თქარა-თქური უფრო უმატებდა გაღვიძებულ ტყეს ხმაურობას და შიშის ზარი იტანდა ჩემს Ილიკოს; ფერი სრულიად დაეკარგა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ერეკებოდა თავის „ბაჩას“.

Რამდენსამე წამს შემდეგ ჩვენ წინ, ტყის იქით, გამოჩნდა პატარა სოფელი „ოლე“ და წვიმამაც კოკი-პირულად დაასხა; თან სეტყვამაც წამოუშინა და ლაწა-ლუწი აუყენა არე-მარეს.

Სოფლის განაპირას, მაღლობზედ ერთი პატარა ხის სახლი იდგა და ორ დიდ ნერგ შუა გამოიჭყიტებოდა იმის ახლად გაკეთებული აივანი. მე მაშინვე იმ სახლისკენ გადვუხვიე და აივანთან შევდექ; სახლის კარებში გამოდგა შავებით მოსილი მოხუცი და გაკვირვებით დაგვიწყო ცქერა.

— Ნინო, ვერ მიცან? Დარია, თქვენი ბატონიშვილი დარია?

— Დარიაჯან! შენა, შენი ჭირიმე! უი, დამიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეს თვალები! ამისთანა ავდარში ხომ გაიწუწებოდით. ბადმობძანდით, გენაცვალე, ჩქარა!—მერე ოთახში შეიძახა:—სალო, შვილო, ცეცხლი, ჩქარა დიდი ცეცხლი გააჩაღე, ბატონიშვილები გვეწვივნენ!

რამდენსამე წამს შემდეგ მე და ილიკო ვისხედით გაჩაღებულ ბუხრის წინ და ვიშრობდით ძალზე გაწუწულ ტანისამოსს; აქვე ჩვენ გვერდით ნინოს ყმაწვილი რძალი სალო ქათამს აკეთებდა ჩვენთვის სასამხროდ.

ლამაზი მეჩვენა ეს პატარა, გამარტოებული ხის ოთახი თავის პატარა სანათურებით, რომელშიაც პატარა შუშები ისხდა და ოდნავ ანათებდა სუფთად მილაგებულ სადგურს. ბალ მხარეს განიერი ტახტი იყო შეკრული და ზედ ჭილობები და ფარდაგი ჰქონდა გადაშლილი, მეორე მხარეს ჩამწკრივებული ეწყო სამი მოზდილი სკივრი, და ერთ მათგანზედ ელაგა სუფთა, დაკეცილი ლოგინი. კუთხეში ლამაზი, პაწია ნაჭდევი თარო იყო მიდგმული და ზედ მცირეოდენი ჭურჭელი და სპილენძეულობა ელაგა; ერთის სიტყვით, ოთახს ეტყობოდა, რომ ორი რიგიანი დედაკაცი ჰპატრონობდა, და ბალღები, ეს სახლის მუდამ ჟამს ამრევ-დამრევნი, არ სწესწავდნენ აქაურობას.

— ეს რატომ ასე მარტონი ხართ, ნინო? განა შვილიშვილები არა გყავს?—ვკითხე სახლის პატრონს და აქეთ-იქით მივიხედ-მოვიხედე.

შვილი-შვილები კი არა, დარიაჯან,—ღმერთმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შემარჩინა,—და ერთი ბიჭი კი გვყავს!—ოხვრით მომიგო ნინომ და თავის რძალს გადაჰხედა.

— მერე სად არის ამ საშინელ ავდარში?— აჩქარებით ჰკითხა ჩემმა ილიკომ მოხუცს:—ხომ ნიაღვარი წაიღებს, თუ კარში არის სადმე.

— ნიაღვარი კი ვერ წაიღებს, გენაცვალე, პატარა ბატონიშვილო, და ძლიერ კი გაილუმპება. დაუდგეს ბებიის თვალები! მერე ნაბადი მაინც წაეღო თანა, ცარიელ ჩოხაშია გახვეული...

— საწყალი! ვინ იცის, რა ნაირად ღრიალებს ახლა და დედას ეძახის! მერე რა საშინელი ყოფილა ტყე ავდარში; ისე ღრიალებს, ყმუის, თითქოს ათას ვეშაპს ერთად მოუყრია თავიო! მე რომ მარტო ვყოფილიყავ, შიშით გავგიჟდებოდი... საწყალი ბიჭი! რა ჰქვიან შენ შვილი-შვილს? ეჭიკჭიკებოდა ჩემი ილიკო ბებერს.

— ჩემ შვილი-შვილს, შვილო, დათა ჰქვიან და არც ტყისა ეშინიან: ის ღამე ბევრჯელ შესწრებია ხარში ამაზე უარესს ავდარს, მაგრამ არ უტირნია კი; ცამეტის წლის ბიჭია, რაღა დროს იმის ტირილია. რომ იტიროს, ხომ ამხანაგები მასხარად აიგდებენ; ან კი რად უნდა იტიროს? განა ტყეს არ იცნობს, ტყის სიცილიც და ტირილიც ათასჯერ არ გაუგონია? განა არ იცის, რომ ავდარს დარი მოსდევს და დარს კიდევ—ავდარი?!

— განა მე კი არ ვიცი, რომ ავდარს დარი მოსდევს და დარს კიდევ—ავდარი!—ცოტა ირ იყოს გაჯავრებით სთქვა ილიკომ:—მაგრამ ტყეში ავდარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშინელებაა! მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ ლათას ეხლა სულ შიშით აკანკალებს, ტირის და შენ კი მოსაძებნად არ მიხვალ. Cოდვა არ არის? მერე ნაბადიც არა ჰქონია თანა; ხომ გაცივდება და ავად გახდება!

## II

Ბალომ საჩქაროზედ მოსწვა ტაფაზედ ქათამი და ლურჯ სუფრაზედ დაალაგა, რაც ღვთის მოწყალება ებადათ რამე ოჯახში. ჩვენ მგლებსავით წავესიენით ხორაგს და დიდის მადით შეეექცეოდით წითლად დაბრაწულს ვარიას, ახლად შედღვებილს კარაქს და ნალბით გატენილ, ყველსავით დანით საჭრელ მაწონს.

წვიმა კი ისევ კოკი-პირულად ასხავდა და თითქო თავის დღეშიაც აღარ აპირებდა გადაღებას. ნიაღვრები შუილ-ხრიალით მირბოდნენ სოფლის ბილიკებზედ; კალთა წამოკეცილი, ფეხ-შიშველა დედა-კაცები და თავზედ ტომრებ წამოსხმული მამაკაცები ფაცი-ფუცით აბინავებდნენ კარზედ დარჩენილ ჭირნახულს; ბანის ერდოებს ამაგრებდნენ, რომ ნიაღვრით არ ავსებოდათ სადგომი დარბაზები.

Ეგერ სოფელში შემოვიდა ჩვეულებრივის სისწრაფით და ჭყვიტინით ღორ-ხბო; მას მოჰყვა დარბაისლად მსვლელი ნახირი და შემდეგ—მუშა საქონელი თავის გაწუმპულის მეხრეებით. საქონელს გამოეგებნენ შინ შეყუჟულნი გოგო-ბიჭები და ჟი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილ-ხივილით დაერივნენ საქონელს თავ-თავის ბაკებში შესალალად. ნინო და სალოკ საჩქაროდ გავიდნენ კარზედ და მალე მათ შემოჰყვა ლოლუასავით ლაფში ამოვლებული და სიცივისაგან მთლად გალურჯებული დათა.

დათა, თავის ხნის შესაფერად, კარგა ტანადი ახალგაზდა იყო; პატარა ნაბდის ქუდი კინკრიხოზედ ჰქონდა წამოდებული და ნათელი გულისპირი უმშვენებდა შავგვრემან, აზრით სავსე პირისახეს. წინდა-ქალამანზედ ტალახი ბლომად ჰქონდა შეგლესილი და პაიჭებში ჩატანებულ განიერ თეთრ შარვლიდგან წკრიალით გასდიოდა წვიმის წყალი; დათამ დარბაისლურად, დაურცხვენლად დაბლა დაგვიკრა თავი, ქუდი მოიხადა, თავის უშველებელი კომბალი კუთხეში მიაყუდა, წელიდგან ქამარ-ხანჯალი შემოისხნა და წყნარად წავიდა გაჩაღებულ ბუხრისაკენ.

ჩემი ილიკო გაოცებული შესცქეროდა ამ პატარა კაცს და ჰკვირობდა იმის დალაგებულ მიხრა-მოხრას. არც ტირილი, არც შიში გამოვლილის ავდრისა იმას არ ემჩნეოდა, მხოლოდ არაბავშურის დარბაისლობით შეკრული ჰქონდა შუბლი ამ პატარა კაცუნიას.

დათა ბუხრის წინ წამოჯდა პატარა სამ-ფეხა სკამზედ და დაბუხული ხელები ცეცხლს მიუშვირა. დედამ ქალამნების თასმები დაუხსნა, ძლივ-ძლივობით გააძრო ფეხიდგან წვიმით გაჟღინთული ღაზლის წინდები, შემდეგ ტაშტი და წყალი მიუტანა ხელის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაბანად და მერე—სადილი ხონჩით, თითონ კი გავიდა გარედ ძროხის დასაბინავებლად.

Ოთახში დიდხანს სიჩუმე იყო, მხოლოდ წვიმის შხაპუნი გარედამ და ცეცხლის გუგუნი შიგნით არღვევდა ამ სიჩუმეს. Დათა აუჩქარებლად, წყნარად, მაგრამ დიდის მადით კი შეექცეოდა ჯამში პურ-ჩაყრილ დო-შეჭამანდს; ჩვენ ჯერ ხმას არ ვიღებდით.

Ბოლოს Ილიკოს ცოცხალმა ბუნებამ ვერ მოითმინა დიდის ხნის სიჩუმე და გამოელაპარაკა ამ ხნიერებით თავის ოდენა ბავშვს და შეხედულობით და ქცევით კი დამზნილ, დალაგებულ კაცუნიას:—მართლა, შენ ტყეში ავდრის დროს არ გეშინიან? არა სტირი ხოლმე, როცა ტყე ისე საშინლად გრიალებს და ისე ჯოჯოხეთურად ჩამობნელდება ხოლმე?

— Შიშით კი რისა შემეშინდება, ბალღი ხომ არა ვარ, და სიცივით კი დავიყინევით,—მე და ჩემმა ღმერთმა; მეტადრე Ჯავახიანთ პატარა Ტატო კინაღამ მოგვიკვდა, ცარიელა პერანგით წამოსულიყო ღორებში. Ი ოხერი სეტყვა ხომ ისე ააციებს ხოლმე, ისე, თითქოს ზამთარი მოსულაო. Თავ-პირი ხომ სულ გამოგვინაყა, მინამ ერთ დიდ მუხას არ შევეფარენით.

— Ტყეში რად იყავი?—განაგრძო Ილიკომ ლაპარაკი,—შეშა უნდა მოგეტანა?

— Შეშა კი არა! შეშა შუა ზაფხულში რად მინდოდა! ან შეშისთვის ეხლა ვისა სცალიან! მთე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი დღე სიმინდსა ვჩეხავდი და ის ოხერი თავსხმა ისე წამამეპარა მუშაობაში, რომ ვერც კი გავიგე; და, როცა სეტყვა წამოუშინა, სუყველანი, მინდვრის მუშებიც და მწყემსებიც, ტყისკენ გავექანენით.

— **ს**იმინდსა სჩეხდი!? მარტო?

— **მ**არა! ვინ მიშველიდა? მამა მე არა მყავს და ბიძა! — ოხვრით სთქვა **ლ**ათამ.

— **რ**ატომ დედაშენი მუშას არ დაიჭერს?

— **მ**უშას?.. **რ**ითი, შვილო? — ჩაერია ლაპარაკში **ლ**ათას ბებია **ნ**ინო: — მუშის შეძლება ვინ მოგვცა? ჩვენი მუშაც და მოწალმართეც მარტო ეგ თითის ოდენა ბიჭია. **მ**ეგ რომ არა გვყავდეს, წყალი მოვიდოდა და თან წაგვიღებდა; ეგ კი, — ვენაცვალე ღვთის სახელს! — იმდენს წალმართობს, რომ ჩვენი საკმაო სარჩო მოჰყავს და დედას და ბებიას მშიერს არ აგდებს.

— **ნ**ეტა მართალს ამბობ, **ნ**ინო? ამ პატარა ბიჭის ხელით სცხოვრობთ მთელი ოჯახი? — ცნობისმოყვარეობით დავეკითხე მეც ბებერს.

— **მ**ართალს, თქვენი წყალობა არ მოაკლდეს მაგის პატარა სიყრმეს. **მ**აგას აგრე კი ნუ უყურებთ, ნამდვილი ოჯახის ბურჯია, ბურჯი! კარგ ვაჟკაცს არ ჩამოურჩება საქმეში: სამი დღის სიმინდი აი სულ ოთხ ხუთ დღეში გაჩეხა. **ხ**ვალ მე და **ს**ალო უნდა გავყვეთ და ურემზედ დადება ვუშველოთ. **უ**რემი ნათლია **ბ**იგოლამ აგვითქვა და ორ დღეში სულ ერთიან მოვზიდავთ კარებზედ... **ღ**მერთმა და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოცოს, ასეთი ტარო აქვს, რომ წლის სარჩოს მოგვრჩება კიდეც.

ბებიის ქებაზედ დათას ცოტა არ იყოს შერცხვა და ცეცხლს ჩხიკინი დაუწყო. მერე ოხვრით წარმოსთქვა:—ეჰ, რა არის ხელ-ცარიელა კაცის მუშაობა! ხარი არსად გაგვაჩნია და კამეჩი! ერთი უღელი ხარი მყოლოდა, მაშინ ნახავდი, ბებილო, რა ხოდაბუნებს გადავხნავდი ანეულად! ეხლა რა, ორი თვე გუთნის მეხრეთ უნდა ვიწანწალო, რომ ორი ალო მიხნას ვინმე.

—ხარი და კამეჩი ვინ მოგვაოხრა, შვილო! წყეული იყოს ის მუხთალი სიკვდილი! რაც მამაშენი ხელიდგან გამოგვეცალა, განა ჩვენ ბედობაზედ გაჩნდება კიდევ საიდგანმე საქონელი? მაგრამ, რა ვქნათ, ასე უნდა ვიწვათ და ვიდაგოთ, სანამ დავაჟკაცდები და მერე,—ღმერთი მოწყალეა,—ვალი იქნება თუ ვახჩი, ერთი უღელი ხარი უნდა ვინაღვლოთ საიდგანმე.

—დათა, ის არ გირჩევნია, ქალაქში წამოხვიდე, „ლაქიაობა“ ან „პოვრობა“ ისწავლო?—უთხრა ჩემმა ილიკომ:—იქ ხომ მაგდენი ჯაფა არ გექნება და ფულებს კი ბლომად აიღებ. დიდ ქალაქსაც ნახავ, შენ ხომ ამ სოფელ „ოლეს“ მეტი არა გენახვება რა, არა?

—რა მინახავს, არაფერი! ერთხელ კი ბონგლაანთ ურემზე გამატანეს ხაშურის „ტანციაზედ“. პა, პა, პა! დასწყევლოს ღმერთმა ი მაშინაა თუ რალაც,—შორიდამ რომ თვალებ-დაბდღვრიალებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი დავინახე, კინალამ გული გამისკდა, უკან-უკან წაველ და ისე მივენარცხე ჩვენებიანთ ბიგლას, რომ ორივენი გადავკოტრიალდით. ნეტაი ერთი კი ჩამსვა ი ოხერში და სხვა კი არაფერი მინდა!

— მაშ, თუ იმ მაშინის ნახვა აგრე გინდა, მოდი, ჩვენ წამოგვყე ქალაქში,—ამ ორ კვირას შემდეგ მივალთ,—აბა ნახე, იქ რამდენი იმისთანეები გიჩვენოთ, წიგნსაც გასწავლით, და ახლა წიგნებში რამდენ ამბებს წაიკითხავ!?

— წიგნის სწავლა ხომ ძლიერ მინდა და მინდა! აი ამ ბებია ჩემმა წიგნი იცის, სულ ვეხვეწები, მასწავლე-მეთქი, მაგრამ რომ მოცალება არ არის! ე ოხერი, ხან ხვნაა, ხან თესვა, ხან შეშა გვინდა, ხან წისქვილი და სული ველარ ამოგვითქვამს.

— მაშ, წამოდი, წამოდი, ჩემო ლათა,—მეგობრულის ალერსით ეხვეწებოდა ილიკო.

იმანაც თავისთვის ჩაიცინა, ჩაფიქრდა; ეტყობოდა, იმასაც გული მისწევდა ქალაქისკენ, იქაურ ცხოვრების გასაგებად, ავისა და კარგის შესატყობად თავის სოფლურ ვიწრო ცხოვრების გარეშე და ვერა გადაეწყვიტა რა კი.

— ჰა, ნინო! ახლა ბებიას მიჰმართა ჩემმა შვილმა:—გაგვატანე, ისეთი ბიჭი მოგვიდეს, რომ შენი მოწონებული.

— მართლა და, თუ გაიმეტებთ, ნინო, ურიგო კი არ იქნება, ქალაქში ხელობაზე მიგიცემ და ოთხ-ხუთ წელიწადზე დახელოვნებული ვაჟკაცი დაგიბრუნდება,—ვუთხარი მეც ნინოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წიგნი, ხელობა, რა კარგია და!!... თავის მოქექით სთქვა ლათამ.

— თავის ნებაა,—სთქვა ნინომ და ამოიოხრა: —ჩვენ მაგას გზას როგორ დავუჭერთ, მაგრამ ჩვენ რაღა გვეშველება? ჩვენ ვილამ უნდა გვაჭამოს პური?! ქალაქ წასული გლეხ-კაცი, თავის მიწა წყალს მოწყვეტილი, მერე სოფელში აღარ გამოდგება, თვალი სულ სხვაგან ეჭირება .. და ნინომ აქ ცრემლებიც გადმოჰყარა.

— რა გატირებს, ადამიანო?!—დარბაისლურად უთხრა ლათამ ბებიას: —განა მე არ ვიცი, რომ უჩემოდ თქვენი ყოფნა არ იქნება! თავს როგორ დაგანებებთ! რა ვქნა, რომ აქ ჯაფა ბევრი მაქვს. ჯაფას როგორ გავექცევი? კაცი არა ვარ? წელში ხომ არ გადავწყდები?... ერთი უღელი ხარი მყოლოდა, მაშინ მე ვიცოდი, მაგრამ...

ეს სიტყვები ისეთის დალაგებითა და სიმტკიცით იყო წარმოთქმული, რომ მე უნებლიედ სიცილი წამსკდა; ნინო კი თვალცრემლიანი, მაგრამ კმაყოფილი და ბედნიერი, გადაეხვია თავის ნუგეშს და მაგრა მიიკრა გულზე.

მეორე დღეს მშვენიერი, ბრწყინვალე დილა გათენდა. ჩვენ ადრიანად გავემგზავრენით შინისაკენ. მთელი გზა ჩემი ილიკო სულ იმას მემუდარებოდა, რომ ლათასთვის უღელი ხარი გვეყიდნა; იმისი თხოვნა ისე წრფელი და გულმხურვალე იყო, რომ მე უარი ვერ ვუთხარი, და მეორე დღესვე ორი კარგის ჯიშის მოზვერი, რომელიც ჩვენის საქონლის თვალი იყო, ლათას კარს მივაყენეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნანოს დედოფალა

ნანო, ნანო, აქ მოდი, რა გაჩვენო!—მხიარულად უძახდა ძეთო თავის პატარა რვა წლის ქალს, რომელიც ბაღში დაფრიალებდა პეპელასავით და ბეღურა ჩიტივით ჭიკჭიკებდა.

— მხლავ, დედაჯან, ეხლავ!—უპასუხა ბავშვმა დედას და თვითონ კი არ ჩქარობდა, ეს მშვენიერი კუთხე, ყვავილებით სავსე და მაისის მზით გაბრწყინვებული, ოთახის შეზღუდულ ჰაერზედ შეეცვალა.

— ნანო, არ გესმის?—გაუმეორა დედამ.— ამო, ნახე, რა მოგიტანა ნათლია შენმა!

— მომიტანა?! ნათლიამ მომიტანა... აქ კი ნანო ქარივით გამოჰქროლდა და ერთ წამს შემდეგ ნათლიას კისერზედ შემოექნა.

— ჩემო კარგო ნათლულო, ჩემო ხუჭუჭა გოგონა, აი, რა მოგიტანე ქალაქიდან! შენ ჯერ ხომ არსად გინახავს ამისთანა მშვენიერი დედოფალა?

ნანოს ხელზედ გადასვენებული ეჭირა გასაოცარის ხელოვნებით გაკეთებული პარიზის დედოფალა და, მეტის სიხარულით აღტაცებული, გაოცებით დასცქეროდა. ზოგონას არ სჯეროდა, რომ ეს ლამაზი, გრძელ-თმიანი, მოდაზედ შეკერილის ატლასის ტანისამოსით მორთული ტიკინი, ცოცხალი არსება არ იყო და განძრევისა ეშინოდა, რომ დედოფალასთვის არაფერი ევნო.

— რას გაჩერდი, სიხარულო! აბა, გასინჯე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაათვალიერე, ხელი აუწია, ფეხი მოუკაკვე, თავი მიმოუტრიალე; როგორც ადამიანი, ისე ხმაროობს ხელ-ფეხს; ნახე? თვალებსაც ხუჭავს და ახელს.

ნანომ დედოფალა გულზედ მიიკრა და ჩუმად გავიდა ოთახიდან; ბაღის ერთ კუნჭულში მიჯდა და გაოცებითა და კრძალვით დაუწყო შინჯვა თავის საუნჯეს.

დედოფალას კოპწია ტანი, იმისი ლამაზი, ცისფერი თვალები, ოქრომკედივით მბზინავი გრძელი თმა აკვირვებდა ნანოს; აკვირვებდა მეტადრე იმისი მორთულობა: პაწაწა ჩულქ-ბაშმაკი, ყვავილებით შემკული „შლიაპა“, ერთი ნამცეცა დუგმებით შეკრული, მოდაზედ შეკერილი ატლასის კაბა, არშიებ-მოვლებული საცვლები. როდესაც გარედან გაკვირვებით გაშინჯა, მერე ნელ-ნელა დედოფალას ხელ-ფეხის განძრევა დაუწყო და გულიანად გადიხარხარა, როდესაც დედოფალას მკლავები თითქოს ლეკურის სათამაშოდ გადაკლაკნა.

დიდხანს, ძალიან დიდხანს ათვალიერა, შინჯა, ყოველ მხრივ ატრიალა ნანომ დედოფალა და ბოლოს, როდესაც ყოველი იმისი სიმშვენიერე და სიკეთე გაიცნო, ტკბილად გულზედ მიიხუტა და ალერსი დაუწყო: „ჩემო კარგო, ლამაზო, ცუგრუმელავ, ციცუნავ, გემრიელო, მშვენიერო!“ და პროწიალი დაიწყო.

როდესაც ნანოს სადილად დაუძახეს, ის დიდი მეგობარი და მოსიყვარულე იყო თავის „კაკოსი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამაყად ხელი-ხელ მოკიდებული შეიყვანა სასადილო ოთახში.

*
* *

ნანო აზნაურის ქალი იყო და თავის დედ-მამით სცხოვრობდა ბორში, ქალაქის განაპირად; ამათი პატარა სახლი კარგა მოზრდილ ბაღში იდგა და ბაღის ბოლოს ლიახვის ანკარა რუ ჩამოუჩუხ-ჩუხებდა. ნანო მთელის დღეებით მარტოდ მარტო ამ ბაღში თამაშობდა და ახლა კი „კაკო“ ნამდვილ ამხანაგად გადაექცა. მთელ თავის დროს იმის ალერსში ატარებდა, იმის ლაპარაკში და დროს გატარებაში იყო: აცმევდა, ჰხდიდა ტანისამოსს, დროზედ ასადილებდა, დროზედ ასეირნებდა თავის საყვარელ რუს პირას და საღამოზედ გვერდით მიიწვენდა და ტკბილად მიიძინებდა.

თანდათან ისე მიეჩვია, ისე შეიყვარა და შეითვისა ნანომ თავისი ლამაზი დედოფალა, რომ ერთ წამს ველარ სძლებდა უიმისოდ, უიმისოდ აღარა სიამოვნება არ ახარებდა, არ ეპიტნავებოდა.

— უშენოდ წავიდე სასეირნოდ? არა ჩემო ცუგრუმელავ, შენც უთუოდ თან უნდა წაგიყვანო, — ეტყოდა თავის საყვარელს და, როგორც მას დედა, ისე ის თავის „კაკოს“ მორთვას დაუწყებდა. მხოლოდ დღეში ერთის საათით, სწავლის დროს, შორდებოდა ნანო თავის დედოფალას და მაშინაც გულმხურვალედ გამოესალმებოდა, დააწვენდა და თბილად დახურავდა, რომ იმის მისვლამდე არ შესცივნოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

შემოდგომაზედ ნანოს ბაღის მეზობლად, რუს გაღმა, ვენახში სართველოდ ვიღაც ვაჭრის ოჯახობა გადმოსახლდა. ერთ მშვენიერ მყუდრო შემოდგომის დილას, როდესაც ნანო თავის საყვარელ დედოფალათი რუს პირას მივიდა და იმის ანკარა წყლის სარკეში ახედებდა თავის კაკოს, გაღმიდან ვიღამაც ყურძნის კლერტო ესროლა. შეშინებულმა ნანომ მაღლა აიხედა და გადმონგრეულ ღობესთან თერთმეტ თორმეტი წლის ქალი დაინახა: ყმაწვილებმა ერთმანეთს გაულიმეს და პირველი გაცნობა ამით გათავდა.

მეორე დღეს რემსომ ნანოს ლაპარაკი დაუწყო, თავისი სახელი უთხრა, ნანოსი შეიტყო, დედოფალას გარემოებაც გამოჰკითხა. მესამე დღეს რემსო ღობეზედ გადმოხტა და ნანოს, როგორც ძველი მეგობარი, ისე მიეგება.

ამ დღიდან „კაკოს“ ერთის პატრონისა და მომვლელის მაგივრად ორი გაუხდა. რემსო, როგორც უფრო გაზდილი, გამოცდილი და მეტად გამბედავი, უფრო მეტად სარგებლობდა „კაკოს“ მოვლით და პატრონობით; ნანო მხოლოდ ჩუმად შეჰყურებდა რემსოს, როდესაც ის დედოფალას უალერსებდა, რთავდა ან დარიგებას აძლევდა და სწრთვნიდა.

ქეთომ შეიტყო, რომ ნანოს მეგობარი გაუჩნდა და გულით გაიხარა: დღეის შემდეგ იმის პატარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგონა ბაღში მარტოდ მარტო აღარ იხეტიალებდა.

*
* *

ერთი კვირის შემდეგ ნანომ დედას სიხარულით უამბო რემსოს სურვილი, რომ „კაკო“ თავის „მეფეს“ უთხოვოს.

— როგორ თუ უთხოვოს? გაკვირვებით ჰკითხა ქეთომ ნანოს.

— ისე, ქორწილს გავმართავთ, სტუმრებს დავპატიჟებთ და ჩემ „კაკოზედ“ იმის „მეფეს“ ჯვარს დავწერთ. ბენაცვა, დედილო, საქორწილოთ ფქვილი, კვერცხი, ერბო, ღვინო და ხილი უნდა მომცე; არიფანა უნდა გავმართოთ. რემსო ამბობს, ჩვენს იქით ორი პატარა ქალი დგასო და ქორწილში ისინიც მოვიწვიოთო.

— ძალიან კარგი, ჩემო სიხარულო, სუყველაფერს მოგცემ; მაშ, შენი პატარა სამოვარი წაიღე და ჩაიც დაალევინე შენს სტუმრებს; ჩაი-შაქარს, რძეს მოგიმზადებ.

ნანო აღტაცებული, სიცილით და სიმღერით გაიჭრა რემსოსთან და თავის დედის თანხმობა გადასცა კაკოს გათხოვებაზედ.

რემსომ მალე მოიყვანა თავისი ნაცნობი პატარა ქალები და თავისი პატარა დუქნის შეგირდი ძმაც. ესენი საერთოდ შეუდგნენ ქორწილის სამზადისს: პატარა ქვევრის პირი მიწაში ჩასვეს, თონის სამაგიეროდ და ნაზუქის ცხობა დაიწყეს, პატარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედადგარ ქვეშ ცეცხლი გააჩინეს და რძის ფლავის ხარშვას შეუდგნენ.

ნანო სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. ჩიტივით მიჰფრინავდა და მოარბევინებდა ყოველ საჭირო ნივთს, საჭირო ხორაგეულობას.

ძეთოს ნანოს მეტი შვილი არა ჰყავდა, მზე და მთვარე იმაზედ ამოსდიოდა და, აბა, რას დაუჭერდა; იმის სიხარულს და აღტაცებას რომ ჰხედავდა, თითონ უფრო ხალისობდა და ხელს უწყობდა. თავის ხელით გაუმართა პატარა ხის ფარდულში, ბაღის ბოლოს, ტახტი, ზედ საფენი გადუშალა, სუფრა მოუმზადა, „კაკო“ საპატარძლოდ მოუკაზმა და თითონ ქალაქში სტუმრად წავიდა; ბავშვები-კი მოახლეს ჩააბარა.

როდესაც ქორწილის სამზადისი დასრულდა, დაბრაწული ნაზუქი პატარა ხონჩებზედ ეწყო, რძის ფლავი თეფშებზედ იყო განაწილებული, პატარა სამოვარი ქაფქაფებდა და საპატარძლო, პირბადე ჩამოფარებული, შუა ტახტზედ იჯდა გამოჭიმული, რემსო „მეფის“ მოსაყვანად წავიდა.

ნანო თავის კაკოს პირდაპირ უჯდა და, როგორც ნამდვილი დედა თავის საპატარძლოდ გამზადებულ ქალს, ისე შეჰყურებდა, შესტრფიალებდა; „აი, ჩემო ძვირფასო“, ეუბნებოდა ნანო დედოფალას, ეხლა „მეფე“, მაყრიონი მოვა, ურემს მოიტანენ და საყდარში ჯვარის დასაწერად წაგიყვანთ; იქ ღვინოს და პურს შეგაჭმევს მღვდელი და ხალხი დაიძახებს: შეგარგოთ, შეგარგოთო! ყველანი ბედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიერებას მოგილოცავენ. ხა, ხა, ხა! გულიანად გადიხარხარა ნანომ. ამ დროს სიმღერის ხმა მოესმა და კარში გავარდა მძახლების დასახვედრად.

მართლა, რემსო დიდის ამბით მოდიოდა: ვეებერთელა ხის თავ-აგლეჯილ ყუთში ჩაესხა თავისი და მეზობლის ქალების დედოფალები, ყუთისთვის ბაწარი გამოებათ, თითონ შიგ შებმულიყვნენ და სიმღერით და კიჟინით მოასრიალებდენენ დედოფლის ეტლს.

ნანო წინ მიეგება და დიდის ცნობის-მოყვარეობით შინჯვა დაუწყო თავის სასიძოს, დანარჩენ სტუმრების დედოფალებს. სუყველა დედოფლები აშენებული იყვნენ წვრილ ჯოხებზედ, პირის-სახის მაგივრად მიტკალ გადაკრული ფოლაქები ჰქონდათ და ჯოხის ბოლოს ამოკერილი სხვა-და-სხვა ფერის ჩითის პარკები ეცვათ; „მეფე“ კი იმითი განსხვავდებოდა, რომ ფოლაქის მაგივრად ჯოხის თავს ბამბის ქულა ჰქონდა ჩამოცმული და ქუდის მაგიერობას ასრულებდა; მთელ ჯოხს ბოლომდის სხვა-და-სხვა ფერი აპრეშუმის ძაფები ეხვია და ჯოხის ბოლოს კაბის მაგივრად ირიბად გაჭრილი წითელი ხავერდის ნაჭერი ქინძისთავით ჰქონდა გამაგრებული და ეს ქინძისთავი ქულაჯასაც უმაგრებდა და ხანჯლის მაგიერობასაც უწევდა.

ვერაფრად ეჭაშნიკა ნანოს სასიძო. მაგრამ რალას გააწყობდა. მეფე დედოფალას მოუსვეს, დანარჩენნი წვეულნი გარს შემოუსხდნენ და გაიმართა ლხინი, სმა და ჭამა, ჩვეულებრივი ქორწილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემუსიკეთ იყო ნანოს გამდელი, ბებერი მართა, რომელიც ერთგულად უჭყიპინებდა „ბუჩიკას“. ჯერ დედოფლები ათამაშეს, მერე დედოფლის პატრონებმა ითამაშეს, იმხიარულეს და აიშალ-დაიშალნენ.

რემსომ თავისი მეფე და თავისი რძალი ყუთში ჩააბძანა; რასაკვირველია, არც ქალის მზითევი დაივიწყა ჩასალაგებლად, მძახალს გამოემშვიდობა და თავის მოწვეულ სტუმრებით ღობეს გადავიდა.

ნანო სიცილით უყურებდა მაყრიონის განშორებას და, როდესაც ისინი სრულიად მიეფარნენ, მხოლოდ მაშინ იგრძნო თავისი მარტოობა, თავის საყვარელ კაკოს დაშორება და გულზედ ცეცხლი მოეკიდა, თვალებიდან ცრემლები წამოსკდა და თავის გადიას წიოკობით გულზედ მიეკონა: მართა, მიშველე, კაკო წაიყვანეს და მე რაღა მეშველება?!

— როგორ თუ წაიყვანეს! ეხლავე მოგიტანენ, მხოლოდ დროებით წავიდნენ, ასე, ვითომ დედოფალი სახლში წავიყვანეთო.

— არა, არა, აღარ მომიყვანენ, აღარ! მიშველე, მართა, მიშველე! — გულ-ამოსკვნილი სტიროდა პატარა ნანო და უფრო და უფრო მაგრა ეკვროდა თავის მართას.

— სუ, ქალო, რა გატირებს! როგორ თუ აღარ მოგიტანენ? განა ალა, ალაა?! შენი ნათლია ამბობდა, კაკალი თუმანი მივეცით.

— ოჰ, ოჰ, მართა, რა ნაირად მიყვარს ჩემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაკო, რა ნაირად მიყვარს, მე უიმისოდ მოვკვდები, მოვკვდები! გენაცვა, მომიყვანე, წაართვი!..

მართალაც ეჭვი შეუვიდა, მართლა ხომ არ მიითვისეს იმ გომბიოებმა ნანოს დედოფალაო, ლობესთან გადადგა და რემსოს დედას დაუძახა: ქალო, დედაშვილობას, ერთი შენს რემსოს უთხარი, დედოფალა მოაწოდოს, ბავშვი თავს იკლავს ტირილით.

— როგორ თუ „მოაწოდოს?!“—ამაყად მიუგო რემსოს დედამ,—ჯერ მიათხოვა და ახლა დაუბრუნოს? დაბრუნება ვის გაუგონია?!

— რეებს ჩმახავ, დედავ და თვალო? ბავშვები არა ვყოფილვართ? დედოფლიანობა არ გვითამაშნია? განა მართალი ქორწილია, რომ სასძლო მიითვისოს?!

— მე არა ვიცი რა,—უკმეხად სთქვა ვაჭრის ცოლმა და კარი შეიხურა.

ნანომ უფრო წივილ-კივილი დაიწყო, დაეცა დედამიწაზედ და ხელ-ფეხს იქნევდა, ოავს დედამიწაზედ ახლიდა და მოსთქვამდა: „ჩემი კაკო, ლამაზი, მშვენიერი კაკო, კაკო მინდა, მინდა, მომეცით, მომეცით!..

მართა გაბრაზებული გადახტა ლობეზედ და მეზობელს უნდა შესჭროდა დედოფალას წასართმევად, მაგრამ კარი დაკეტილი დახვდა; ბევრი იძახა, იჩხუბა, ივაგლახა, მაგრამ ჩამი-ჩუმი არსაიდან მოისმოდა, თითქოს ბავშვები დედიანად დედამიწამ შთანთქა, ან გველეშაპმა გადაჰყლაპაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

საღამოს ათ საათზე მივიდა ძეთო სახლში. ნანო კრაოტზე იწვა და გმინავდა, ბევრის ტირილით გული-ამომჯდარი, ძილშიც ისევ სლოკინებდა, მართა გვერდით უჯდა და დაძმარებული დასცქეროდა თავის გაზდილს.

— რა ამბავია?—შეჰკივლა ძეთომ და ნანოს შუბლზედ ხელი გადუსვა. ბავშვს სიცხისაგან ვარვარი გაჰქონდა; მართამ დედოფალას მოტაცების ამბავი უამბო.

ძეთო საჩქაროდ გაიქცა მეზობლისას, ბნელაში ხან სად ჩავარდებოდა, ხან სად, ღობეზედ ტანისამოსი სულ შემოიგლიჯა, ძაღლმა კინაღამ დაჰგლიჯა; მაგრამ მაინც არ შესდგა და მეზობლის ფანჯარასთან მივიდა და გააღვიძა: „გენაცვა“, ზრდილობიანად უთხრა ძეთომ რემსოს დედას, „ბავშვისთვის სიცხე მიუცია, ავად არის, დაუბრუნეთ დედოფალა; ჩვენ ერთ წამსაც არ გვიფიქრია, რომ თქვენ ბავშვების თამაშობას აგრეთ მნიშვნელობას მისცემდით“.

— მე რა ვქნა, რომ ავად არის. ჯერ ქალი მოგვეცით, ამოდენა რამეები დამახარჯვინეთ არიფანასთვის. სულ გამცალა ჩემმა ქალმა, „ფიგურკა“ უნდა გაათხოვონო და ახლა უკან თხოულობთ!?

— პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ სუყველაფერს დაგიბრუნებთ ერთი ორად, „ფიგურკას“ გიყიდით სამაგიეროდ, ოღონც შვილს ნუ მომიკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავთ,—ეხვეწებოდა ძეთო უკმეხ დედაკაცს, მაგრამ ამაოდ. იმან გაღებული ფანჯარა საჩქაროდ მოჰკეტა და სანთელი გააქრო.

მეორე დღეს, თვალის გახილების უმალვე, ნანომ „კაკო“ მოითხოვა და, რაკი ვერსად დაინახა, ისევ გულსაკლავად ტირილი დაიწყო.

ზორში იმისთანა დედოფალა არ მოიპოვებოდა, ქალაქიდან მინამ დაიბარებდნენ, დიდი დრო გავიდოდა (მაშინ ჯერ რკინის გზები არ იყო საქართველოში) და რა ექნა საწყალ დედას? რითი ენუგეშებინა თავისი ძვირფასი გოგო?

ძეთომ რემსოს დედას ტიკინის ღირებული შეაძლია, მაგრამ არც რემსო და არც დედოფალა ვაჭრის სახლში აღარ იყო; პატრონებს ბავშვიც და დედოფალაც საცალა გაეგზავნათ დასამალად.

მეტი ღონე არ იყო, ძეთომ პოლიციას მიჰმართა და რის ვაი-ვაგლახით მეხუთე დღეს ნანოს კაკო დაუბრუნეს...

ბაყვითლებული, თვალებ-ჩავარდნილი, შუბლშეკრული და მოღრუბლული იჯდა პატარა ნანო და კაკოს დანარჩენ კაბებს დაჰყურებდა, იმის მოგონებაში იყო, როდესაც დედამ სიხარულით შემოუტანა გაჭუჭყიანებული კაბით თმებ-გაწეწილი კაკო და კალთაში ჩაუდო.

ნანომ სიხარულით შესწივლა, გულზედ მიიკრა, მხურვალედ გადაჰკოცნა და მდულარე ცრემლებით გაჰბანა თავისი ლამაზი და საყვარელი დედოფალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მშიერაძის ოჯახი

ქალაქის განაპირას, ბაქოს მიმავალ რკინის გზის გადალმა, პატარა გორაკის ფერდობზედ, კლდეში შეჭრილია ფიცრულის პაწია ქოხი სვიმონა მშიერაძისა.

სვიმონა სულ სამი წელიწადი არ არის, რაც ქალაქში ჩამოსახლდა სოფლიდან თავის ცოლით მართათი და სამის შვილით. ბევრი გაჭირვება გამოიარეს სვიმონამ და მართამ, მანამ სამუშაო იშოვეს; ბევრჯელ მშიერ-მწყურვალი გაატარეს მთელი კვირები და შვილები კინალამ არ ამოუწყდათ გაჭირვებით, მაგრამ ქვეყანა განიერია, ადამიანი ღონიერი და სვიმონამა და მართამ ხელი წაიმართეს, დღიურის ლუკმის შეძენის გზა იპოვნეს.

სვიმონა ზამთრობით შეშას ხერხავს, დილით საღამომდე შეშის მეიდანზე სდგას და დღე ისე არ დაღამდება, რომ ორი სამი აბაზი, ბევრჯელ მანათიც არ იშოვოს; მართა კი სარეცხზე დადის, პურს უცხობს მეზობლებს და, როცა გარეთ საქმე არა აქვს, შინ საბაზროდ წინდებსა ჰქსოვს.

სვიმონასა და მართას მხოლოდ ის-ღა აღონებთ, რომ ქალაქში ბინა არ მოეპოვებათ, ქირის ძლევა უჭირებთ საქმეს; გარდა ამისა, სახლის პატრონები აბეზრებენ თავს თავიანთის დიდ-გულობით, აბეზრებენ თავს მეტადრე ამათ ბავშვებს. „ნუ ყვირით, თქვე გასაწყვეტნო, ნუ მღერით, ნუ დარბი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხართ“, შეუწყვეტლივ ისმის სახლის-პატრონის მბრძანებლობა.

ბევრჯელ, როცა მართა შინ არ იყო, მის შვილებს კიდეც სცემდნენ, სტანჯავდნენ სახლის-პატრონის შვილები. მოვიდოდა მართა დაღალულ-დაქანცული და შვილები დაახვედრებდნენ ამბავს: ამან გვცემა, ამან ტანთსაცმელი დაგვაგლიჯაო; მშობლის გული ვერ მოითმენდა შვილების დაჩაგვრას, გამოესარჩლებოდა და გაიმართებოდა ჩხუბი და ვაი-ვაგლახი. ამას მოჰყვებოდა სახლის დაცლა და წანწალი ქალაქის ერთის განაპირიდან მეორემდე.

— ოჰ, ღმერთო, როდის გვეღირსება ჩვენი საკუთარი ჭერი გვეხუროს თავზე, — იტყოდა ხოლმე საქმე-გაჭირვებული სვიმონა, — როდის მოვრჩებით ამდენს წანწალს! მართას სანატრელიც ეს იყო.

—

ერთის დღეს შეშის მოედანზე, მუშტრის მოლოდინში, შეშის მხერხავები, ისეთივე სოფლიდან ჩამოსულები და უბინაობით შეწუხებულები, როგორც სვიმონა, ერთმანეთში ლაპარაკობდნენ: „ქალაქის განაპირას, რკინის გზის ლიანდაგის გადალმით, ხრიოკი გორებია, არავისთვის გამოსადეგი, და, ამბობენ, უპატრონოცაო; იქ რკინის გზის ორიოდ-სამ მომუშავეთ ქოხები ჩაუდგამთ და ცოლ-შვილი შეუფარებიათ“.

სვიმონამ საღამოზედ, შინ დაბრუნების უმალ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უამბო ცოლს ეს ამბავი. მართა სიხარულით ფეხზე აღარ იდგა—ოღონც კი ღმერთმა მაღირსოს, რომ ჩემი გომბიოები ჩემ საკუთარ ჭერ ქვეშ შევაფარო და, ქალაქ გარედ კი არა, თუნდა მახათაზე დავსახლდებიო.

პირველ კვირა დღეს, როდესაც მართაც და სვიმონაც თავისუფალნი იყვნენ, დილა ადრიან ადგნენ, თავიანთი სამი გოგოც წინ წაიმძღვარეს და წავიდნენ ვერიდან მტკვარ გაღმა, რკინის გზის სადგურისაკენ.

სადგურზე კარგა მოშორებით, ჩუღურეთის ზემოდან, რკინის გზის ლიანდაგს გადმოჰყურებს პატარა გორაკი. ამ გორაკის შუა წელზე მართლა ხუთიოდ ქოხი იყო გამოჭრილი; მიწის განიერ ორმოს მხოლოდ წინა კედელი ჰქონდა ატანილი ფიცრით. ამ ფიცრულში პატარა ფანჯრები იყო დატანებული და ზემოდანაც ფიცრისავე ჭერი ჰქონდა გადახურული.

მართა გამოეხმაურა ერთ-ერთ დიასახლისს ამ სახლებისას და შემდეგ შეიტყო: ავაშენეთ ეს ქოხები და კი არ ვიცით, ღმერთი როგორ მოგვხედავსო; აქეთ-იქიდამ გვეუბნებიან, რომ ეს ალაგი ქალაქისაა და შეიძლება ქალაქმა აგყაროთო.

მართამ ამ უკანასკნელ სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია. ვერ წარმოედგინა, რომ ამისთანა ხრიოკს და უდაბნო ალაგს გამოეპატრონებოდა ვინმე და მოწიწებით დაეკითხა დედაკაცებს: „თქვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხომ არ გეწყინებათ, ჩვენც რომ აქ, თქვენ გვერდით, ქოხი ჩავდგათო“.

— ჩვენ რაში გვეწყინება, ადამიანო? ჩვენ ის არ გვირჩევნია, რომ მეზობელი მოგვემატოს?—მიუგო დედაკაცმა ზრდილობიანად.

Თავის მხრით სვიმონა ვაჟკაცებს გაეცნო, მეზობლობაზე იმათი თანხმობა აიღო და საქმე ხელად გაიჩარხა.

სულ ორ კვირას არ გაუვლია, რომ სვიმონამ კლდეში შეჭრილ კედლებს ჭერი გადაჰხურა და ამ უკარ-ფანჯრო სახლში ცოლ-შვილი შეასხა.

—

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲨᲔᲨᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲛᲝᲘᲡᲞᲝ; ᲐᲗᲐᲡᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲘᲣ ᲒᲐᲩᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲨᲔᲨᲘᲡ ᲛᲣᲨᲢᲐᲠᲘ; ᲗᲕᲘᲗ ᲨᲔᲨᲐᲪ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲐᲓ ᲛᲝᲭᲘᲚᲔᲑᲣᲚ ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲗ.

Სვიმონამ მთელი თავისი დრო და ღონე თავის ახალ ბინის გაწყობას მოანდომა. Მართამ შიგნიშიგან შენახული და ათას კონკში გამოკრული, თითო შაურობით მოგროვილი, ორი თუმანი გამოხსნა; სვიმონამ ამ ფულით იყიდა მასალა და იწყო კარ-ფანჯრის მზადება; Მართა მთელის დღეობით ჩაკუნტულიყო, პატარა წერაქვით ეზოს აგანიერებდა და პატარა გოგოები გაქანებული ზიდავდნენ ნათხარს მიწას და ახლო ხევში ჰყრიდნენ.

სვიმონამ თავისუფლად მოიზომა ათი ადლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიგრძით და ექვსი – სიგანით სახლის ეზოთ და საზღვრებზედ ხეხილი ჩაჰყარა.

მთელმა ზაფხულმა ამგვარ განუწყვეტლივ შრომაში გაიარა მშიერაძიანთ ოჯახისთვის.

შემოდგომაზე, როდესაც ცა მოიღრუბლა და ცივმა ქარმა იწყო ქროლა, სვიმონამ ტკბილად ჩაიცინა და, თითქო დაცინვით უთხრა ბუნებას: „ახლა რამდენიც გინდა იქროლე და იტირ-ივაგლახე, ჩემ ციხე-დარბაზს მაგარი კარი აბია და კუთხეში გამოჭიმული კოპწია რკინის ფეჩი შენ მუქარას არ შეუშინდებაო“.

მართა, ბედნიერებით სავსე, რომ ახლა იმის შვილებს აღარავინ დააწიოკებდა, არხეინად დადიოდა თავის საქმეზე და ათასში ერთხელ თუ მოუხდებოდა დღით შინ დარჩენა, აიღებდა წინდას ხელში და ამაყად გამოიჭიმებოდა თავის ოთხ-თვალა ფანჯარასთან და ზემოდან გადაჰყურებდა ქვემოდ განივრად გაშლილ ტფილისს; ბევრჯელ გაიტაცებდა ხოლმე ეს სურათი მართას და დაავიწყებდა ჩვეულებრივ, შეუწყვეტელ საქმეს. მართა ახლა თავის თავს ამ დიდ ქალაქის წევრად სთვლიდა, მის ცხოვრების მორევში ერთ-ერთ მოცურავედ და თავისი სოფელი, ის მიყრუებული კუნჭული, რაღაც მიძინებულ ადგილად მიაჩნდა და ძნელად თუ ინატრიდა კიდევ, რომ ეს მოძრავი, დაუსვენარი და დაუდგრომელი ქალაქის ცხოვრება იმ მყუდრო, ფერმკრთალ ცხოვრებაზე გაეცვალა.

უფროსი გოგო ნენა დედას მხარში უდგა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლს უვლიდა, ჰკერავდა, აკერებდა, ჰქსოვდა; დედა როცა შინ არ იყო, კერძსაც უმზადებდა ოჯახს; შუათანა კი ჩუღურეთის სამრევლო სკოლაში დადიოდა. **ს**ვიმონას სიცივის მოწყალებით სამუშაო ულეველი ჰქონდა და საღამოობით ყოველთვის ერთ ნაჭერ შეშით ერთ ხელში და მეორე ხელში ხორაგეულ-სავსე ხელსახოცით კმაყოფილი ბრუნდებოდა შინ.

—

**ა**სე, ამ გვარად ტკბილად და მოსვენებით მიდიოდა **მ**შიერაძიანთ ცხოვრება, მაგრამ ერთმა შემთხვევამ სულ სხვანაირად დაატრიალა იმათი ბედიღბალი.

**ა**მათ გვერდით, მარცხნივ და მარჯვნივ, ახლა სხვა გაჭირვებულებმა დაიწყეს საძირკვლის თხრა; ქალაქში მუქთი ბინის მძებნელი ბევრი აღმოჩნდა და ამ გარემოებას უნებურად ყურადღება მიაქცია ქალაქის თვითმართველობამ. **გ**აჩნდა პოლიცია და ყველას საერთოდ გამოუცხადა, რომ თქვენი საქციელი უკანონოაო; ახალ-მოსულებს მუშაობა აუკრძალა და დასახლებულებს უბრძანა, რომ თავიანთი შენობა აეღოთ და, საცა ჰნებავდათ, იქ წასულიყვნენ.

**ა**მ ამბავმა **მ**შიერაძიანთ ოჯახს თავ-ზარი დასცა, საშინელი იყო იმათი მწუხარება. **მ**ართა და **ს**ვიმონა მგლოვიარედ დასხდნენ და ერთმანერთს შესტიროდნენ: რა ვქნათ, რით ვუშველოთ საქმეს? ახლა, როდესაც სული მოვიდგით, ჩვენი ძალა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონე ზედ შევალიეთ ამ სადგურს, ჩვენი უკანასკნელი გროში აქ ჩავყარეთ, სადღა წავიდეთ? კიდევ ბოგანოდ გავხდეთ, შვილები ძაღლის ლეკვებივით სად ვაწანწალოთ? მაგრამ წუწუნით და ტირილით რა გამოვიდოდა? ზოგჯერ კანონი ფრიად სასტიკია და ყოველის გაჭირვების მიუხედავად თავისას თხოულობს.

ერთ დღეს, როდესაც გიორგობისთვის ქარიშხალი საშინელის სიმკაცრით გრიალებდა და გამვლელ-გამომვლელს სუნთქვას უძნელებდა, როდესაც ყოველი სულდგმული ცდილობდა, რომ თავი შეეფარებინა სადმე მყუდროში, მშიერაძიანთ ექვსი შეიარაღებული პოლიციელი მიადგა კარზე: „კანონის ძალით თქვენ უნდა დასცალოთ სახლები და ჩვენ უნდა დავანგრიოთ“, გამოუცხადეს იმათ.

მთელ უბანში მამაკაცები შინ არ იყვნენ და სახლში დარჩენილ ბავშვებს და დედა-კაცებს საშინელი წივილ-კივილი შეუდგათ. ყველამ მშიერაძიანთ კარებზე მოიყარა თავი და არ იცოდნენ, რა ექმნათ.

— დაანგრიოთ, დაანგრიოთ?! — გაოცებული ეკითხებოდა მართა, — დაანგრიოთ? დაანგრიოთ ჩვენი ლამაზი ქოხი, ჩვენის ოფლით და ჩვენის უკანასკნელის გროშით აგებული? დაანგრიოთ ის, რაც ჩვენთვის ერთად ერთი ცხოვრების ნუგეშია! რას ამბობთ, რას? ღმერთსაც შეხედეთ, სვინიდისს დაეკითხეთ? ვერა ჰხედავთ, რა საშინელეება, რა რიგად ჰყინავს, ქარი როგორ გააფთრებულია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვრილ-შვილი სად წავიყვანო? პირუტყვნი ხომ აბა ვართ, რომ კარში გაგვრეკოთ? რას გიშლით, ვის რას ვაკლებთ? ყველასთვის გამოუსადეგარი, ვერანა ალაგი გამოვიყენეთ, გლახაკი და მაწანწალა ხალხი ადამიანებად გავხდით, თავზე ჭერი დავიფარეთ და ახლა ხელ-ახლად მაწანწალად უნდა გადავიქცეთ?! ნუ, ნუ იზამთ მაგ საშინელ საქმეს!? შეგვიბრალეთ, ჩვენი ქოხის ნანგრევებში ნუ დაგვამარხვინებთ თავს!

მართა ხან ჯავრობდა და ხან ხვეწნა-მუდარით, ცრემლ-სავსე თვალებით ეეედრებოდა პოლიციელებს.

მართას მოთქმას მეზობელ დედაკაცების და ბავშვების ღრიალიც ემატებოდა და სწორედ შემაძრწუნებელი სანახაობა წარმოუდგებოდა ადამიანს თვალ-წინა. პოლიციელებმა უკან დაიწიეს, მაგრამ, ორის წამის მოლაპარაკების შემდეგ ერთმანეთში, უფრო მედგრად დაუწყეს ამათ ბარგს გარედ გამოყრა.

— ხალხნო, მეზობლებო, ადამიანები არა ხართ? გვიშველეთ, დაგვეხმარეთ, ნუ ააკლებინებთ ჩვენს თავს ამ ყაჩაღებს, გვიშველეთ! — შეჰკივლა მართამ აქ მდგომ დედაკაცებს. — ხვალ ეს დღე ხომ თქვენც დაგადგებათ? გვიშველეთ!

მართას გამწარებულ სიტყვებში ისეთი ძალა იყო, რომ დედაკაცებმა ერთ წამში გააჩინეს საიდანღაც კეტები და დაერივნენ პოლიციელებს; ბავშვებმა დაუწყეს პოლიციელებს ქვის სროლა, მიწის ყრა, ტანისამოსის გლეჯა. პოლიციელები ამ გვარმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავხედობამ უფრო გააბრაზა და უფრო მედგრად დაეცნენ საცოდავის მართას სადგურს.

ხის კედელზე ოდნავ მიკოწიწებულ კარ-ფანჯარას ლაწა-ლუწი გაუდიოდა, ბუხარს წიხლით ანგრევდნენ, ლაბიერებს ამტვრევდნენ, ოჯახის ნივთეულობას დაუზოგველად აქეთ-იქით ისროდნენ.

— ნუ გვიოხრებთ ოჯახს, ნუ გვინგრევთ კერას, თქვე ურჯულოებო, თქვე ღვთის მტერნო!— გაჰკიოდნენ გაკაპასებული დედა-კაცები და გაორკეცებული ძალით თავს ესხმოდნენ პოლიციელებს. ორ საათს შემდეგ მშიერაძიანთ გაკრიალებული ეზო სისხლით მორწყულს ბრძოლის ველს წარმოადგენდა. დაჭრილთა შორის ბევრი ბავშვები და დედაკაცები იყო, მაგრამ გამარჯვება მაინც სახლის პატრონებს დარჩათ და ტანსაცმელ ჩამოგლეჯილნი და პირ-დაკაწრულნი პოლიციელნი უკუ-იქცნენ.

—

ორმის შემდეგ ამ ძალით გაშენებულ უბანში კარგა ხანს სრული მყუდროება ჩამოვარდა.

ახალ გადმოსულებმა განაგრძეს აგება თავიანთ შენობათა და ძველებმაც შეაკეთეს მტრის ხელით გავერანებული სადგურები.

თუმცა ჯერ-ჯერობით აღარა ისმოდა-რა, „ძალათ უბანს“ არავინ ურყევდა მყუდროებას, მაგრამ მართას და სვიმონას მოსვენებულ ცხოვრებას სამუდამოდ ბოლო მოეღო. ცოლ-ქმარმა აქეთ-იქით იკითხეს, იწვრილეს და შეიტყეს, რომ ქალაქი კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნონის ძალით წაართმევდა ადგილს, აუნგრევდა შენობას და ყოველი იმედი დაჰკარგეს.

საღამ-საღამოობით, როდესაც მშიერაძიანთ ოჯახი მოუსხდებოდა ხოლმე მამის მოტანილ შეშით გახურებულ „ფეჩს“, მხიარული ლაპარაკისა და სიცილის მაგივრად, სრული დუმილი იყო მათ შორის.

პატარა მაშუა, სამრევლო სკოლის შეგირდი, ჩურჩულით ასწავლიდა თავის უფროს დას ანბანს. მართა და სვიმონა ჩუმად, ფიქრით სავსე თვალებით შეჰყურებდნენ გაგუზგუზებულს ცეცხლს და ათასში ერთხელ ღრმად თუ-ღა ამოიოხრებდნენ. ბავშვები ჰგრძნობდნენ დედ-მამის მწუხარების მიზეზს და ჩუმად ისხდნენ, მანამ ძილი არ მოუპრუწავდათ თვალებს.

ახალწლის ღამე იყო. ქარს საშინლად გაუდიოდა ზუზუნი და იმ მაღლობ გორაკზე, სადაც მშიერაძიანი იდგნენ, ერთი ორად ძალას იჩენდა და არე-მარეს ჰგლეჯდა.

— შვილო, ნენე, „ფეჩს“ შეუკეთე, საცაა მამაშენი მოვა და სახლი თბილად დახვდეს, დღეს ვინ იცის, წელში არ გამართულა, კიდეც დაიგვიანა. მაშო, შენ სამოვარი დადგი, დღესასწაული საღამოა, ჩაი დავლიოთ. მამაშენი ჩაი-შაქარს მოიტანს.

— ახლავ, დედაჯან, ახლავ!—მხიარულად მიუგო მაშომ დედას და თან მიუახლოვდა და ჩუმად უთხრა: —იცი, დედილო, მამა დამპირდა საღამოზე, არსენას ლექსსაც მოგიტანო, ხვალ წირვის შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგიჯდებით და წაგიკითხავთ. შენც და მამაც ხომ შინ იქნებით, დიდი „პრაზდნიკია!“

— კარგი შვილო, აგრე იყოს, — ამოოხვრით უთხრა მართამ თავის გოგოს და თან გულში გაიფიქრა: „ნეტა შენ, რომ ბავშვი ხარ და მომავლის ფიქრი არ გაწუხებს“.

— დედა-კაცო, კარზე გამო, ერთი ეს კალათი ჩამომართვი! — მოისმა გარედან ხმა სვიმონასი; სუყველანი კარზე გაცვივდნენ და იმათ განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც სვიმონას ჩვეულებრივ ტვირთს: ორ ნაჭერ შეშას და ხელსახოცით ხორაგს, კარგა მოზდილი, განიერი კალათიც ზედ დაჰმატებოდა.

— ნელა, ნელა! ხელიდან არ გაგვარდეთ კალათი, რას მიეხვიენით? შიგ ბავშვი წევს.

— ბავშვი! რას ამბობ, კაცო, როგორ თუ ბავშვი?! — გაკვირვებით შეჰკითხა მართამ სვიმონას.

— შევიდეთ სახლში და იქ გეტყვით. ამ სიცივეში აქ რას გაჩერდით? — და განთავისუფლებულის ხელით სვიმონამ ოთახის კარი შეაღო.

— იჰ, გიშველა ღმერთმა, ჩემო დედაკაცო, რომ სახლი ასე გაგითბია, სამოვარიც ხომ დუღს, — კმაყოფილების ღიმილით მიიხედ-მოიხედა სვიმონამ და საახალწლოდ მილაგ-მოლაგებულმა, დაკრიალებულმა ოთახმა უფრო სიამოვნებით გააღიმა.

— რა დროს ეგ არის, კაცო, რა ბავშვიო, რას ამბობ, საიდან გააჩინე, ბავშვი შენ ვინ მოგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა?—მოუთმენლად ეკითხებოდა მართა ქმარსა და თან კალათას ხსნიდა.

ქალათის ძირში, სქლად ჩაგებულ ბამბაში, თეთრებში გამოკრული რამდენისამე დღის დაბადებული ბავშვი იწვა, ზემოდანაც ბამბა და საბნები ეხურა და ტკბილად ეძინა. სანთლის შუქზე თვალები აახილა, დაიღრიჯა და ტირილი დაიწყო.

— ჭა, რას გაჩუმებულხარ, კაცო? არ იტყვი, ეს რა ამბავია?

— რა ამბავი უნდა იყოს, ადამიანო, ქუჩაში ვიპოვნე. ქალაქიდან მოვდიოდი, ჩემი დარდი და ვარამი გულს მაწვა და, თავჩაღუნული, ფიქრებში გართული, მიწას დავცქეროდი; უცებ რაღაც კნავილი მომესმა, მივიხედ-მოვიხედე, პირჯვარი გადავიწერე და ჩემ გზას გამოვეშურე. ვნახოთ, კიდევ კნავილი მომესმა. ახლა კი შევდექ, უკან დავბრუნდი; დასწყევლოს ღმერთმა წყეული მეთქი, ვსთქვი, ეს რა ამიძღვა მეთქი! ვნახოთ, ერთ სახლის კუნჭულთან ეს კალათი დავინახე; ახლო მიველ, დავწვდი და იქიდან კი ამოდის ეს კნავილი. ბადავხადე საბანი, ვნახე—ბავშვია და საცოდავად ჩხავის. რა მექნა? მთელ ქუჩაში ადამიანის ნატამალი არსად იყო. მინდოდა პოლიციაში წამელო, მაგრამ შორს იყო, კიდეც შემებრალა და შინ წამოვიღე.

— უი, ჩემს თვალებს! რომ მოგქონდა, რაში გინდოდა, რა უნდა უყოთ? ჩვენი შვილების ცხოვრება ვერ მოგვიხერხებია, ლამის ესენიც უჭეროდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუჩაში დაგვრჩნენ და შენ სხვისი შვილიც კისერზე შემომახვიე?!

— კარგი, თუ ღმერთი გწამს, ნუ აყაყანდი! ხომ ხედავ ბიჭია? რა დიდი ამბავია, რომ შვილად ავიყვანოთ, ჩვენ ხომ ღმერთმა ვაჟი არ მოგვცა, დეე, სხვისი შვილი გავზარდოთ, იქნება ეგ უფრო გამოგვადგეს, მხიარულად უთხრა ცოლს სვიმონამ.

— ხვალამდინ ხომ შიმშილით მოკვდა, აბა, რა ვაჭამოთ, ძუძუ მე არა მაქვს და რძე არსად გამაჩნია? აბა, რა უყოთ ამ საცოდავს, ხომ ხედავ რა რიგად ღნავის? გამოვზარდოთო და მერე როგორ? იქნება ძიძის დაჭერაც მოინდომო?!—არ იშლიდა მართა ქმრის საყვედურს.

— დედი, ნუ ჯავრობ!—წამოიძახა ნენემ,—მე გავიქცევი და ჩვენ მეზობელ ნინოს დაუძახებ, მოაწოვოს. იმდენი რძე აქვს, იმდენი, რომ იმის ბავშვი ვერ ერევა და სულ ექცევა.

— კარგი, შვილო, წადი, დაუძახე, თუ არა სძინავს.—უთხრა მართამ თავის ქალს;—ბავშვი ამოიყვანა, ფეჩთან გახსნა და საშინლად შეჰკივლა. ბავშვს გულზე ოქროს ჯაჭვით და ძვირფასი თვლებით შეჭედილი ჯვარი ეკიდა.

— რა დაგემართა, დედაკაცო?—მიუახლოვდა სვიმონა ცოლს და, რა დაინახა ძვირფასი სამკაული, თითონაც გაჰკვირდა. დიდება შენთვის, ღმერთო, ეს რა მოჩვენება მოხდა! ქურდობა რომ დამაბრალონ, რაღა მეშველება? რაღა მე ვიპოვე ეგ დალოცვილის შვილი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასობაში პატარა მაშო და იმისი უმცროსი და კალათს შინჯავდნენ, იქ ჩალაგებულ ბავშვის ტანსაცმელს ათვალიერებდნენ და ახლა იმათ მორთეს კივილი: დედა, ნახე, რეებია, რეები! ბეჭდები, ბრასლეტები, პატარა ხატი! უყურეთ, შიგ რა ლამაზი ქალის სურათია! მართა და სვიმონა მთლად ცახცახებდნენ შიშითა და სიხარულით.

ბარედან მოყინულზე ფეხის ხმა მოისმა. მართამ საჩქაროდ ნივთები შეინახა და, ვითომ აქ არაფერიაო, მეზობელ დედაკაცს ისე მიეგება.

— ნინო, თუ ღმერთი გწამს, ერთი მოაწოვე ამ საცოდავს, ვინ იცის, სამი დღეა, არა უჭამია რა. ნინომ სიამოვნებით გააძღო მშიერი ბავშვი, გამოჰკითხა სვიმონას ყმაწვილის პოვნის ამბავი და საჩქაროდ წავიდა.

მართამ გამაძღარი ბავშვი შეჰკრა და ისევ კალათაში ჩააწვინა; საბნის დახურვის დროს შიგ ხელის ოდენა ბარათი იპოვნა და ხელში დაღონებული ატრიალებდა: ვინ იცის, ამ ბარათში სწერია, ბავშვი ვისიც არის და ჩვენ კი იმედებით ავივსეთ, —სთქვა იმან წუწუნით.

— დედი, აბა მომე ბარათი, იქნება წავიკითხო,—დარცხვენით სთქვა პატარა მაშომ.

— აბა, აბა, ჩემო მწიგნობარო,—სიცილით უთხრა მართამ.

მაშომ ჩათვლით წაიკითხა: ჩემ პატარის ალმზრდელს. გიძღვნით სუყველაფერს, რაც კი სულს აქეთ გამაჩნია; სახელად მოსე უწოდეთ. როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიზარდოს, ეს ჩემი სახე გულზე დაჰკიდეთ, დეე, ახსოვდეს დედა, რომელმაც მაგის სიცოცხლის მიცემას თავისი სიცოცხლე შესწირა. მელანია.

სვიმონამ ქუდი მოიხადა, მარჯვენა ხელი მაცხოვრის ხატისკენ გაიწოდა და გრძნობით სთქვა: „ღმერთო, გმადლობ, რომ მეოთხე შვილის შეძინებით მოწყალება მიბოძე და ის შიში და ვაგლახი, რომ ჭერს თავზე დაგვაქცევდნენ, თავიდან ავიცილეთ. ახლა ამ ბავშვის მოწყალებით შევძლებთ შევინარჩუნოთ ეს ქოხი, რომლის დათმობაც ასე აუბედურებდა და აღონებდა ჩემს საწყალს ოჯახს.

---

# საახალწლო სურათები

## I

ბაშინელი სიცივეა. თოვლი ადლზედ სძევს. ყინვისაგან არე-მარე მთლად გათოშილია. სოფელ ატმურის პატარა მდინარე „მღვრიე“ კლდესავით გაყინულია და ზედ სოფლის გოგო-ბიჭები ციგაობენ, თხილამურებით სრიალებენ; სიცივისაგან სულ დალურჯებული აქვთ ცხვირ-პირი, უბიდან ხელებს ვერ იღებენ, მაგრამ მაინც არა ტყდებიან და ძიგძიგით გარბი-გამორბიან. ბავშვებს დღეს მოძრაობაში არც დიდები ჩამორჩებიან: ყველა მიეშურება სოფლის დუქანში, საახალწლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვლეური, არაყი, თაფლი იყიდოს და ცოლ-შვილი გაახაროს.

ამ სოფლის მებატონის სახლშიაც, რასაკვირველია, საახალწლო სამზადისია. მზარეული ივანე უშველებელ ღორსა ჰფუფქავს, საახალწლო „ღორის თავი“ განსაკუთრებით სუფთად აქვს მომზადებული. ნინო დედა-კაცი ხონჩებს ავსებს სხვა და სხვა დაბრაწულ „ბასილებით“, მეტადრე ორს იმათგანს, ერთ ქალის სახით და მეორეს— ვაჟისათი, ძალიან ალაზათიანებს, მომატებულის ნუშით და ჩამიჩით აჭრელებს; სოსიკა ბიჭი კარზედ შეშასა სჭრის და ზვინებს აყენებს. სახლის პატრონი დარია სვიმონიძის ქვრივი კი სასტუმრო ოთახს ალაგებს, აჩქარებით შედის და გადის ოთახში, მოსამსახურეებს განკარგულებას აძლევს. რამდენიც საღამო ჟამი ახლოვდება, დარია უფრო და უფრო მალ-მალ უყურებს კედლის საათს და, თითქოს უსაყვედურებს, რომ საკმაოდ ჩქარა არ დადის. აი, შვიდი დაჰკრა. დარიამ კარებიდან გასძახა მოსამსახურეს: სოსიკო, ბუხარს შეშა მოუმატე, სამოვარიც შემოიტანე, აგერ საცაა, ჩვენი მგზავრებიც მოვლენ.

მართლადაც, ის იყო სოსიკომ აქაფებული სამოვარი დასდგა სტოლზედ და კარებზედ მარხილი მოსრიალდა. იქიდან საჩქაროდ გადმოხტა ორი ყმაწვილი და სიხარულით მოეხვივნენ დაროს.

— გამარჯობა, შვილებო, გამარჯობა, ჩემო ძვირფასო ჭრუკებო! როგორა ხართ? ხომ არ შეგცივდათ? ცეცხლთან ახლო მოდით, გათბით, დაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვენეთ. აბა, ჩაი!.. ვინ იცის, როგორ გშიანთ!? აი, ნაზუქი, კარაქი, კვერცხი...—აღელვებული დასტრიალებდა დარია თავის შვილებს და არ იცოდა, რითი გამასპინძლებოდა ძვირფას სტუმრებს.

— დიაღ, სადგურთან რომ მარხილი დავაყენეთ, კინაღამ გავგიჟდით სიხარულით. ოჰ, რა მ'შვენიერებაა მარხილით სიარული! ისე მისცურავ, ისე მიჰქრი, თითქო ეს არის ფ-თები გამოგსხმიაო. სულ გავიწყდება სიცივეც, ქარიც; მეტადრე მაშინ, როდესაც ჩვენმა პავლემ გაუჯიბრა ცხენები ჩვენებიანთ ცხენებს. ჩვენ სული გავნაბეთ და მარტო იმას-ღა ვუგდებდით ყურს, თუ ვინ ვის აჯობებდა; ბევრჯელ გაგვისწრეს წინ, მაგრამ ბოლოს ჩვენ გავიმარჯვეთ და, აი, პირველნი ჩვენ შემოვედით სოფელში. დედაჯან, ხვალაც წავიდეთ მარხილით სასეირნოდ, შორს, შორს, დიდ, გაშლილ მინდორზედ.

— კარგი, კარგი, საცა გინდათ, როგორც გინდათ. ერთის კვირის სტუმრები ხართ და როგორ დაგზარდებით? სხვა, შვილებო! როგორა ხართ, როგორ სწავლობთ? აბა, ერთი, მანუგეშეთ, გამახარეთ?

— ვცდილობთ, დედა. აი, დათამ ამ სადღესასწაულოდ რა მშვენიერი ნიშნები მიიღო,—სთქვა უფროსმა ძაშომ და, თავის თავი რომ არ ექო, საჩქაროდ დაუმატა: აი, მოგიტანეთ, დედაჯან, რაც დაგებარებინა. დეიდამ ყველაფერი გვიყიდა და ჩაგვილაგა: აი ეს ნაბდის ქუდები, ჩუსტები, მოსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვევები, თბილი შალი, ბანბაზე... მაგრამ, დედა-ჩემო, რისთვის გინდა ყველა ესენი?

— ჯერ ჩაი დალიეთ, სჭამეთ, გაძეხით, გათ-ბით და მერე გეტყვით. თქვენ გენაცვალოთ თქვენი დედის თვალები, აგერ ექვსი თვეა, არ მინახევხართ! როგორ გაზრდილხართ, გალამაზებულხართ? ხომ კარგად გინახვენ სასწავლებელში? საჭმელი ხომ გემრიელი გაქვთ?

— ყველაფერი, ყველაფერი. არა გვაკლია-რა თქვენს მეტი და ხან-და-ხან ჩვენი სოფლის ნახვა მოგვინდება ხოლმე. ეხლა, ამ დღესასწაულებში რომ არ წამოგეყვანეთ, თვალებს დავითხრიდით ტი-რილით. შენი მშვენიერი ჩურჩხელები, გემრიელი გოზინაყი იქაც მოგვივიდა, მაგრამ აქ უფრო სხვა გემო აქვს, აი, ამ ბუხართან, შენ გვერდით, ჩვენ ლამაზ სახლში,—და მხურვალედ გადაეხვია დედას პატარა დათა.

— მე თითონ მინდოდა ქალაქს ჩამოსვლა, მეშინოდა, გზაში არ გაციებულიყავით, მაგრამ ოჯახს თავი ვერ დავანებე. ამ დღესასწაულებში სირცხვილიც არის, კაცმა სახლის კარი გამოჭკეტოს, ამოდენა მოსამსახურეებს, მეზობლებს არ გაუმასპინ-ძლდეს და თავისი ჭერი არ გაახაროს. მერე ისიც ვიცოდი, რომ სოფელი თქვენ მთელს ქვეყანას გერჩივნათ და ისევ თქვენი წამოყვანა გავბედე. აბა, ჩვენმა ივანემ რომ განთიადისას არ მოგვიკვლიოს, ჩვეულებრივი სამი მანათი და გოზაური წითელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვინო ცოლ-შვილისთვის არ მიიღოს, განა ამას დაგვითმობს? და ან ჩვენ უნდა შევირჩინოთ?

## II

ბატარა ქვითკირის ოთახში, რომელსაც სამი კედელი ძალიან დანოტივებული აქვს და ფანჯრები ჩამოქცეული, ბუხრის წინ, ძველ ჭილობზედ სხედან შავებით ჩაცმული დედა და ხუთი შვილი. ბუხარში ორი მუგუზალი ძლივსა ბჟუტავს და ოდნავ ანათებს საშინელ სიგლახაკეს და სიცალიერეს ამ სადგურისას. დედა და შვილნი ჩუმად სხედან და რაღასაც მოელიან. აი, გაიღო კარი და ოთახში შემოვიდა ცამეტ-თოთხმეტის წლის ბიჭი, ხელში უჭირავს პატარა თუნუქით სანავთე და ზურგზედ ჰკიდია მოკლე-მოკლედ დამტვრეული ხმელი შეშა.

— ოჰ, გიგლაჯან, მოხველ? აბა, რა მოგვიტანე? საჩქაროდ ჰკითხა დედამ შემოსულს და ფეხზედ წამოხტა.

— აი, ერთი გირვანქა ნავთი და ეს ცოტაოდენი შეშა, სხვა ვერა ვიშოვე-რა, — ნაღვლიანად სთქვა ბიგლამ და ცეცხლთან მიიხუხა.

— თაფლი, შვილო? არ მოგცა იმ ღვთის მტერმა მედუქნემ? მე კი, ი რაღაც ორი მუჭა ნიგოზი გამაჩნდა, კიდეც დავჭერი, მეგონა თაფლს მოგვიტანს და ბავშვებს გოზინაყს მოუხარშავ-მეთქი, — ამოოხვრით სთქვა საცოდავმა ნინომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თაფლი არ იქნებაო, ასე მითხრა. თქვე ოხრებო, პური არა გაქვთ და თაფლს კი ნდომობთო? მერე ფული რომელი „სუმიდან“ უნდა მომცეთო?

— არ უთხარი, დედა პურს გამოგიცხობს, სარეცხს დაგირეცხავს-თქო?

— როგორ არ ვუთხარი, ბევრი ველიჯინე, მაგრამ როცა გამომიცხობს, თაფლს მაშინ მოგცემთო, დაცინვით მითხრა. ე შეშა კი ორღობეში მოვამტვრიე, ზოგი გამხმარი ტოტი იყო, ზოგიც სარი.

— დედა, მაშ რა ვქნათ, რა ვქნათ? ახალ წელიწადს არც ახალი ტანისამოსი, არც გოზინაყი, არც სასმელი, არც საჭმელი! ცარიელი ჭად-პურა ხომ დაგვეკვება?—ტირილით ეხვეოდნენ გარს შვილები ნინოს.

— საცოდავებო, დაგვეკვებებაო! თქვენ სიგლახაკე მაშინ დაგეკვებათ, როდესაც მამა მოგიკვდათ. აბა, მე რა გიშველოთ? რომელ წყალში გადავარდე ამ საშინელ ზამთარში? წავიდე, ქალბატონ დარიას ვსთხოვო? მაგრამ არა, არ შემიძლიან. განა თუ ლუკმას ვჭამთ, იმისაგან არა ვჭამთ? აი, ეს შავი კაბაც გუშინ იმან მიბოძა: „შე საცოდავო, ახალი ქვრივი ხარ და ფერადი კაბა გაცვიაო“. არა, არ შემიძლიან ველარ შევაწუხებ. რაცა გვაქვს, იმითი უნდა მივეგებნეთ ახალ წელიწადს.

— მივეგებნეთ, იმისმა ვერანობამ ჩოხა-ქალამანი, თაფლი, ერბო, არაყი არ მოგვიტანოს. იმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჯულიც დაიქცეს, ჰო, და, აი!—ტირილით სთქვა ბიგლამ, რომელიც დაფხრეწილ და დასველებულ ღაზლის წინდებს ძლივს იძრობდა დამძრალის ფეხებიდგან.

— სუ, შვილო, ღმერთს ნუ აწყენინებ. რაც იმის ნებაა, ის უნდა მოხდეს. აი, გაიზრდები, მკლავი გაგიმაგრდება და ოჯახს პატრონობას შენ გაუწევ; გაზაფხულზედ სამუშაოს იშოვი, მეც გავალ-გამოვალ, საქმეს მოვეკიდები რასმე და ღმერთი შეგვეწევა.

— ეჰ, დედა,—ამოკვნესით სთქვა ძონძებში გახვეულმა ლიზამ,—მინამ გაზაფხული მოვა, ჩვენ შიმშილით ამოვწყდებით. რა არის, ი დალოცვილმა ღმერთმა ერთი ბეწვა ჩვენკენაც გადმოიხედოს!

ამ დროს კარებს უზარმაზარი ქვა მოხვდა და მთელი ოჯახი შიშის ზარმა მოიცვა: შვილები დედას მიეხვივნენ და ჟივილ-ხივილი დაიწყეს.

— სუ, სუ! რა დაგემართათ, რისა გეშინიანთ? იქნება კედლიდან ქვა გადმოვარდა, საშინელი ქარი ჰქრის. აბა, შვილო, ბიგლა, ეს ჭრაქი მომინთე, კარში გავიხედოთ, ჯერ ადრეა, ქვეყანა ზეზეა, რისა გვეშინიან.

ბიგლამ ჭრაქი აიღო, ნინომ—ვეებერთელა კეტი და კარში გავიდნენ. პატარები ერთმანერთს მიეკვრნენ და სულის სიმწარით ელოდნენ დედის დაბრუნებას.

— ბიხაროდეთ, შვილებო, გიხაროდეთ! ჩვენთვინაც ახალი წელიწადი დგება; აბა, ნახეთ რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვთის მოწყალება ვიპოვნეთ. ამ სიტყვებთან ერთად ოთახში ძლივს შემოიტანეს ბიგლამ და ნინომ უშველებელი კალათი; კალათში ეწყო სვიმონიძიანთ ყმაწვილების მოტანილი ნაბდის ქუდები, ჩუსტები, თბილი შალი, რამდენიმე არშინი ბანბაზე საკაბეებათ, ჩაი, შაქარი, ქილით თაფლი, ძველი დედალი, ლორის ბარკალი, ორი ბოთლი ღვინო და რამდენიმე „ბასილა“ და წითლად დაბრაწული ბედის კვერი.

ბავშვები სიხარულით გადაირივნენ: გულში იკრავდნენ ყველაფერს, ჰკოცნიდნენ საჩუქრებს, იცინოდნენ, სტიროდნენ აღტაცებით. ბიგლა ჩუსტებს იზომებდა, ლიზა—წითელ თავსახვევს, ვასო—ნაბდის ქუდს..

— ღმერთო, მაცხოვარო! ეს რა გამოგვიჩინე, რა გვანუგეშე!—აღელვებული ამბობდა ნინო და ხელ-აპყრობილი ავედრებდა ზეცას თავის წვრილშვილის გამხარებელს.

ამ დროს დარია თავის ორის შვილით ნინოს ოთახის ფანჯარასთან იდგა და რაღაც განგებით ერთად-ერთ შერჩენილ შუშიდან უყურებდა ამ საკოდავების ბედნიერებას. მაშო და დათაც ჰხტოდნენ, იცინოდნენ ბავშვების სიხარულზე და მაშინ კი, როდესაც თვალ-ცრემლიანმა ნინომ ზეცად აღაპყრო ხელი, ამათაც თვალები ცრემლებით აევსოთ და მაგრა მიეკვრნენ თავიანთ კეთილ დედას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი კაკლის ხე

რა არის იგი სინათლე,
რასაცა ახლავს ბნელია!
რუსთველი

ჩვენის ვენახის თავში უშველებელი კაკალი სდგას. მის განიერ ტოტებს უჭირავს თითქმის ვენახის მეოთხედი, რომელიც მუდამ ჟამს მოკლე, მწვანე ხავერდის მაგვარის ბალახით არის მოფენილი. ხან-და-ხან, როცა მორწყვის ჯერი შეხვდება ჩვენს მებაღეს, ლამაზი, ანკარა რუც ჩამოურბის ამ ჩვენს საყვარელს განცხრომის ალაგს ზაფხულში. და მართლაც ძრიელ გვიყვარდა ეს მშვენიერი, ახოვანი, მეფურად მდიდრად შემოსილი, ნოყიერ ნაყოფ-მოსხმული და განუწყვეტლივ ნიავქარის მომცემი ზაფხულის პაპანაქებაში, მშვენიერი მცენარე. დიად, ძრიელ, ძრიელ გვიყვარდა ყველას ეს ჩვენი დიდი კაკლის ხე!

მის ქვეშ მუდამ ხალიჩა-ფარდაგი იყო გაშლილი, ზედ მუთაქები ეყარა და ჩემი უმცროსნი დაძმანი ზედ ყირამალა გადადიოდნენ; იქვე დედა ჩემი ხელსაქმეს აკეთებდა და თან თვალ-ყურს ადევნებდა პატარებს, რომ კისერი არ მოეტეხნათ; მახლობლად ჩემი უფროსი და წიგნსა კითხულობდა; მე განუყრელად ვჩორკნიდი და ვაწყობდი პატარა ბორბალს რუზედ ასატრიალებლად და, თუ ავატრიალებდი, ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მ**აგრამ ასე წყნარად და განცხრომით ვისხედით კაკლის ქვეშ მხოლოდ მარიამობის თვის ნახევრამდე, მანამ კაკალს ჯერ გული არა ჰქონდა; და მას შემდეგ კი, როცა კაკალს გული „დაუპურდებოდა“, მშვიდობით, მოსვენებავ! გაიმართებოდა ერთი ალიაქოთი და ჭოლოკების სროლა კაკლის დასაყრევინებლად. **დ**იდი და პატარა ყველა ვარჯიშობდა, რომ თავის საყვარელ კაკლისთვის თავში ჭოლოკინი ეთხლიშნა. **ჩ**ამოდიოდა მშვენიერი ფოთოლი, ემტვრეოდა ძვირფასი ტოტები ჩვენს საყვარელ კაკალს, მაგრამ ამას ვილა უგდებდა ყურს. **ჩ**ვენ მხოლოდ რძით სავსე, გემრიელი კაკლის გულიღა გვიზიდავდა და ვინ ვის მიასწრებდა, ვინ მეტს დააყრევინებდა კაკალს, გამარჯვებულიც ის იყო. **ძ**ვირაუქმით მამაც მოგვეშველებოდა ხოლმე ჩვენის საყვარლის გაცარცვაში: გვიბერტყდა, გვიკუჭავდა.

— **ხ**ელები დაგიშავდებათ, დაგისკდებათ ნაჭ-ს სიმწარით,—გვიყვიროდა დედა,—მაგრამ ვინ დასდევდა ხელებს!

— **ტ**ანისამოსი ლაქით აგევსებათ, წენგოს რაღა ამოიყვანს, თქვე წყეულებო, თქვენა!—გამოგვეკიდებოდა ჩვენი გადია, მაგრამ რას დაგვიჭერდა? ეშმაკებივით დავტრიალებდით მწვანეზედ ჩამოყრილ კაკალს და თან პირს ვიტენდით გემრიელის ნიგვზით.

**მ**ხოლოდ საღამოობით მოაკრიალებდნენ ფოთლებით მოდებულ კაკლის ძირს, გამართავდნენ მის ქვეშ სტოლს, დასდგამდნენ ზედ სამოვარს და ჩვენც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავშოშმინდებოდით. სამოვარი დიდად გვიყვარ და, შემოვუსხდებოდით გარს და შევექცეოდით ჩაის.



ბარშემო სრული სიჩუმე იყო, მხოლოდ კაკლის ფოთლების ნელი შრიალი ბანს აძლევდა სამოვრის შიშინს. ხან-და-ხან პატარა რუკ ჩაერეოდა ხოლმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ კონცერტში და ჩვენ, დაღალულნი, გაყუჩებულნი ვისმენდით და ვისმენდით ამ ტკბილ ნანას და ბევრჯელ ჩაგვეძინებოდა ხოლმე კიდეც პატარებს.

**მ**აგრამ ჩვენი კაკალი მე მომეტებულად მაშინ მომწონდა; მაშინ შევცქეროდი გაკვირვებით, როდესაც დიდი ქარი ჰქროდა, როდესაც ქარიშხალი აბორგებდა, აშფოთებდა, აბრძოლებდა ამ უიმისოდ ხეების წყნარს და ამაყს მეფეს. **მ**აშინ იმისი მძლავრი ტოტები ზღვის ტალღებისაგან მოქანავე ხომალდს ემსგავსებოდა, მასავით გადადიოდ-გადმოდიოდა, შუოდა, ხმაურობდა, ერთმანეთს ეხლებოდა, ებრძოდა და იმტვრეოდა. **მ**ე იმ დროს, წახვეული თბილად რაშიმე, ამოვეკვროდი მის მძლავრ, განიერ ფესოს .და ვისმენდი დაუსრულებლივ ამ შფოთვისაგან გამოხმობილ ჰანგებს.

**დ**იაღ, ჩვენი კაკალი მე ძრიელ მიყვარდა, მაგრამ ერთმა შემთხვევამ სრულიად შემიცვალა აზრი და გრძნობა ჩვენს კაკალზედ. **რ**ასაკვირველია, იმას არ მოჰკლებია თავისი ჩვეულებრივი მიმზიდველობა, ისევ უწინდელებრივ დიდი და მშვენიერია, ისევ მეფურად, ამაყად არის აზიდული და ახოვანის ტოტებით და ხშირის ფოთლით იკავებს ზაფხულში მზის მწვავ სხივებს და ტკბილად უჩრდილებს და ულუკლუკებს მის ქვეშ გაშლილ ჩვენს სახლობას, მაგრამ მაინც მე აღარ მიყვარს, ისე აღარ ვენდობი, ისეთ მეგობრობას აღარ ვუწევ.

**რ**ოცა იმის ქვეშ მომჩქეფარე პატარა რუს პირას ვზივარ, ბორბლის კეთების მაგივრად, ვიგონებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ საშინელ შემთხვევას, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინად მოჰხდა ჩვენის „საყვარლის“ ბერტყვაზე და შიში იბუდებს გულში, უნდობლობა მებადება იმისადმი, იმისი გულ-წრფელობა აღარა მჯერა!

**Ს**აწყალი **ვ**ანო **ვ**ერხვიშვილი! რა ბიჭი იყო! რა მალხაზი, რა სიკოცხლით და სიმამაცით სავსე და დღეს კი ამ კაკლის მოწყალებით დამახინჯებული და გასულელებულია! **ვ**ანოს დანახვაზედ ცრემლები მომდის თვალებში და ჩვენი კაკალი კი მეზიზღება, კაცი-ჭამია მგონია.

**ე**ნკენისთვის ნახევარი იყო. **დ**ედამ ბავშვები საგანგებოდ წამოგვიყვანა ქალაქიდგან, კაკლის ბერტყვას დაესწარითო. **მ**ოღრუბლული, ნისლიანი დღე იყო, სიო არ იძროდა, მზე ათასში ერთხელ გამოიჭყიტებოდა ხოლმე ღრუბლებიდამ. **ჩ**ვენ კაკლის ქვეშ შევიკრიბენით და მოუსვენრად ველოდებოდით ბერტყვას. **ა**ი **ვ**ანოც მოვიდა. **მ**ოკლე ახალუხი ეცვა, განიერი შარვალი შავ პაიჭებში ჰქონდა ჩაკეცილი, თავზედ წითელი ხელსახოცი გადაეკრა, ხელში უშველებელი კაკლის საბერტყი ხალა ეჭირა და თავის მამაცურის, მოღიმარის შეხედულობით, ყავარჯენით ხელში, მშვენიერ სურათს წარმოადგენდა.

— **შ**ვილო **ვ**ანო, ფთხილად იყავ, თუ ღმერთი გწამს, ფეხი არ წაგისხლტეს და ცოდვა არ დაგვიტრიალო! — ალერსით უთხრა დედა ჩემმა და თან ცას შეჰხედა, ჰაერი ხომ არ იცვლებაო.

— **ნ**უ გეშინიან, ქალბატონო! პირველად ხომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ავდივარ ხეზე, ამ ერთ კვირეში აგერ ოცი ძირი დამიბერტყია. Ისეთ-ისეთი ტოტრები გავტენე ჩემი მეოთხედით, *) რომ თითოს თითო თუმნად არ მივცემ; ამ სიტყვებთან Ვანომ ხალა კაკალს მიაყუდა, ფეხშიშველა ფეხებიდან მტვერი მოიწმინდა, პირჯვარი გადიწერა და მაიმუნივით მარჯვედ აცოცდა ხეზედ.

Ჯერ ქვემოთა ტოტებზედ გავიდა და მძლავრად დაუშინა გრძელი ხალა წინათვე ჩვენგან ნახევარზედ დაბერტყილ ტოტებს, მერე შუა ხეზედ გავიდა და ერთს საათს შემდეგ უზარმაზარ ხეს წვეროკინოზედ მოექცა. ჩვენ გაქანებული ვკრეფავდით დაკროლილ კაკლებს, ერთმანეთს ვაწყდებოდით, ვეცემოდით და გულიანად ვხარხარებდით. Ამასობაში ვერც-კი შევნიშნეთ, რომ ცოტაოდნად წამოჟინჟლა, ზედ დატანებაზედ პატარა ნიავიც დაიძრა. Დედა-ჩემი საშინლად აღელვდა და ეხვეწებოდა Ვანოს ჩამოსვლას, რადგან დასველებული შტოები საშიში იყო მბერტყავისთვის და ქარიც თან-და-თან ძლიერდებოდა.

— ჩამო, შვილო, ჩამო! მე შენი ყურება აღარ შემიძლიან, შიშით გული მიწუხდება... Დანარჩენი კვლავ დაიბერტყოს, არ წახდება!

— Ერთი-ორი ხელის მოქნევა დამჭირდება და კიდეც გავათავებ,—მხიარულად ჩამოიძახა Ვანომ და

---

*) კაკლის მბერტყავს მეოთხედ კაკალს აძლევენ გასამრჯელოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალის ქნევას მოუხშირა. ქაკალმა უფრო ბლომად იწყო ცვივნა და ჩვენ უფრო მოვუმატეთ ჭყივილს და წაკვრა-წატანას; გარშემო ჩვენის ხმაურობით ყურთა სმენა აღარ იყო. უცებ გაისმა საშინელი ხმა: „ვაიმე, დედავ!“ და ეს ვაიმე დედავ ისეთი საზარელი და გულის საკლავი გოდება იყო, რომ თავის დღეში აღარ გაშორდება ჩემს ყურებს! ერთ წამზედ მომაკვდინავი მდუმარება ჩამოვარდა და თვალის დახამხამებამდე ჩვენს წინ დედამიწაზედ მაღლიდან ჩამოვარდნილი ვანო გაინართხა.

---

# საშინელი შემთხვევა

(საშობაო მოთხრობა)

ივანე დარბაისლიშვილს ორი შვილი დარჩა ცოლის სიკვდილის შემდეგ: თერთმეტის წლის თაფლო და რვა წლის შაქრო. დიდხანს იფიქრა ივანემ, დიდხანს იყოყმანა, მაგრამ მაინც გადასწყვიტა ობლები ჩაეყვანა თავის სიდედრთან, რომელიც თბილისში სცხოვრობდა.

უმაწვილები ბებიამ დიდის აღტაცებით მიიღო, მიიკრა გულზედ და ცხარე ცრემლებით გადაბანა პატარა პირი-სახენი, რომელნიც ისე ძლიერ ჰგვანდნენ იმის საყვარელ შვილს მართას, ამ საცოდავების დედას.

ივანემ პატარები დააბინავა სკოლებში და წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდა ერთ შორეულ ქალაქში, სადაც სამსახურში იყო შესული.

პირველში ბებია, დაბრუნდებოდნენ თუ არა ბავშვები სკოლიდამ, მხურვალედ გადაჰკოცნიდა და წინ გაუშლიდა სხვა და-სხვა საკვლეველს. ბევრჯელ ჭრელის უზალთუნეჰით ჯიბეებსაც აუვსებდა, მაგრამ ამ გვარმა ტკბილმა ცხოვრებამ დიდხანს არ გასტანა. სალომე მურალოვისა გასაოცარის ხასიათის დედა-კაცი იყო: ანჩხლი, ძუნწი და საშინელი უსამართლო ყველასთან, ვინც კი იმასთან დამოკიდებული იყო რითიმე. აი, შვილი-შვილებზედაც თითქოს მზე და მთვარე ზედ ამოსდიოდა, მაგრამ თანაც აუცილებელ საჭიროებად სთვლიდა ბაშვებთან სასტიკად და შეუბრალებლივ მოქცევას. მეტადრე მაშინ გაკაპასდა და აყაყანდა, როდესაც Ivანემ დანაპირევი თვიური ხუთი თუმანი თან-და-თან შეამცირა და ექვსი თვის შემდეგ მხოლოდ ორზედ-ღა ჩამოახტუნა.

— ჭა, ამისთანა საქმე გაგიგონიათ? — შესჩივლებდა ხოლმე სალომე სტუმრებს, ბავშვების მოურიდებლად, — ორ-ორი იანგანი თავს მომახვია მოხუცებულს დედა-კაცს და ლუკმის ფასსაც აღარ იგზავნება.

— კარგად იცოდეთ, კარგად, — ხშირად ეტყოდა შვილი-შვილებს, რომ ობლები და ოხრები ჩემი საცხოვრებელი ხართ; რომ მოვინდომო, შიმშილით სულს ამოგართმევთ! თვალი კი გახეოქია თქვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამა Ივანუას; ასე არა ქნას, ის ორი თუმანიც აღარ გამომიგზავნოს.

Თაფლო, მამის ამ გვარად ხსენებაზედ, აენთებოდა, გული ცახცახს დაუწყებდა და მზად იყო მამისთვის სარჩლი გაეწია, მაგრამ სიმართლე ბებიის სიტყვებისა ბაგეს მაგრა უკრავდა და თვალებიდამ მარტო ცხარე, დიდრონი ცრემლები გადმოსცვიოდა ხოლმე. Სალომე ამ ცრემლების დანახვაზედ მოლბებოდა, კილოს შეიცვლიდა და ცდილობდა თაფლოს გული რითიმე მოელბო.

— Ჰო, კარგი, ტუტუცო, რა გატირებს? განა მართლა მშურს რამე თქვენთვის! Აბა, რად მინდა ჩემი ცხოვრება (Სალომეს ქალაქში დიდი სახლები ჰქონდა და ბანკში კარგა ბლომად ფული), თუ არ თქვენთვის, მაგრამ მამა შენი Ივანუა მაინც მტყუანია. აი, აგერ ორი თვეა წიგნიც არ მოუწერია. ვინ იცის, მეორე ცოლაც შეირთო და, თქვე საწყლებო, მარტო ჩემს ანაბარად დარჩეთ. აქ სალომეც დაიწყებდა ტირილს და იმისი ცრემლები უერთდებოდა საერთო მწუხარებას.

Უთანხმოება ბებია—შვილი-შვილ შუა უფრო ხშირად პატარა Შაქროს მიზეზით ჰხდებოდა; შაქრო საშინელი ცელქი, მოუსვენარი ბავშვი იყო და სალომე განუწყვეტლივ სწყევლიდა და ხშირად მისტყეპდა ხოლმე. მაგრამ ყველაზე ძრიელ გულს უკლავდა თაფლოს ის გარემოება, რომ წამ-და-უწუმ მის ძმას მშიერს, უსადილოდ აყენებდა.—Დიდედა,—ცრემლ-სავსე თვალებით ეტყოდა Სალომეს:—რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც გნებავთ, ისე დასაჯეთ და მშიერს კი ნუ და აყენებთ შაქროს, მე უმაგისოდ არ შემიძლიან პირში საჭმელი ჩაუშვა.

— არა, რაც მითქვამს, ის უნდა იყოს, —სასტიკად უპასუხებდა სალომე და, თითქო თაფლოს ჯიბრზედ, უფრო დიდის ხნით ულევდა შაქროს კუჭს შიმშილით.

თაფლოს მამის ამბავიც აღარა მოსდიოდა რა და მუდამ თვალ-ცრემლიანი და დაფიქრებული იყო. სუსტი, საშინელი მგრძნობიერი ბავშვი, მშობლებში აზიზ-მაზიზად აღზრდილი, თაფლო თავის ბებიის სახლში ოთხად მოიკუნტა, გული ჩაით რო და გაცინებულს, მხიარულს, მოჭიკჭიკეს თავის დღეში ველარავინ დაინახავდა. საღამ-საღამოობით, ბნელაში, მანამ სანთელს (სალომე სანთელს ძლიერ გვიან აანთებინებდა ხოლმე) აანთებდნენ, გვერდს მოუჯდებოდა თავის პატარა შაქროს, გადაჰხვევდა ხელს კისერზედ და ჩუმად ჩასჩურჩულებდა ალერსიან, ტკბილ სიტყვებს:—დაიცა, ჩემო პატარა ბიჭუნი, მამა მალე ჩამოვა, ცალკე დადგება და ჩვენც თავისთან გადაგვიყვანს. მაშინ ჩვენ პურს ველარავინ დაგვაყვედრის, კიდობანს აღარავინ დაგვიკეტავს, თამაშობას აღარავინ დაგვიშლის...

შემოდგომაზედ, როდესაც სალომე თავის შვილის-შვილებით სოფლიდ ან ქალაქს ბრუნდებოდა, ერთმა ქვრივმა დედაკაცმა მოჰგვარა თავისი პატარა გოგო და სთხოვა: თქვენის სულის გულისთვის გამოზარდეთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძალბატონო, ჩემი მარო თუმცა ჯერ ცხრა წლისაზედ მეტი არ არის, მაგრამ თქვენი სიამოვნება კი შეუძლიან; ხელზედ გემსახურებათ და დიდი მოსამსახურის ოდნობას გაგიწევთ. მე მაგას როგორ მოვიშორებდი, მაგრამ განა არ მოგეხსენებათ ქვრივ-ოხრის ამბავი, სამი მაგაზე უფროსი სხვა მყავს და მარტო გამოკვებასაც ვერ აუვალ, სხვა რომ არა იყოს-რა.

— ჰო, გენაცვალე, ბებილოჯან, — ხვეწნით უთხრა თაფლომ ბებიას. — მე მაგას წიგნს ვასწავლი, კანვაზე კერვას, ერთად ვითამაშებთ ხოლმე

— კარგი, ავიყვან! — დიდ ფიქრ შემდეგ სთქვა სალომემ, — მხოლოდ ათის წლის ვადით, რომ იმაზედ ადრე შენ არ შეგეძლოს არც გათხოვება და არც სახლში წამოყვანა.

ქვრივი ატირდა, მაგრამ მაროს დატოვებაზე დასთანხმდა. მარო შიშით ცახცახებდა, მაგრამ თაფლომ მიუალერსა, თავისი კაბა გამოურბევინა, ჩააცვა, თავი გადავარცხნა, მუჭში შაქრის ნატეხი ჩაუდო და დააშოშმინა.

ამ დღიდამ თაფლო ჰპატრონობდა, შაქროს გარდა, მაროსაც და მაროს პატრონობაში უფრო დიდ ხალისს და სიყვარულს იჩენდა; შაქრო მხიარული, ცელქი, გულ გაუტეხელი ბავშვი იყო, ბებიის ტუქსვას ბევრს არას ეპუებოდა და მარო კი მხდალი, უსიტყვო, საცოდავი სოფლელი, რეგვენი გოგო იყო. თაფლო ყოველ თავისუფალ წამს მაროს ლოლიობაში ატარებდა: როგორც მშობელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა ისე უვლიდა, ასწავლიდა, უკერავდა ტიკინებს, რთავდა, ბევრჯელ უსუსურ ბავშვივით ნანას ეტყოდა და ისე დააძინებდა. თაფლოს ჩვეულებრივმა ობლობის სევდამ თითქო კიდეც გადუარა და მაროს ყოველ ცელქობაზედ გულიანად გადიკასკასებდა ხოლმე.

მაგრამ, რამდენადაც უფრო უმეგობრდებოდნენ ერთმანეთს თაფლო და მარო, სალომე იმდენად უფრო ანჩხლობდა. ვერ წარმოედგინა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო, კეთილშობილი ქალი ასე მითვისებოდა გლეხის მაწანწალა გოგოს და მთელი დღე სულ ამაზედ კაპასობდა.—ვის გაუკონია, თავადის ქალმა ჭუჭყიან გლეხის შვილს თავი დავარცხნოს, გვერდით მოისვას, წამ და-უწუმ თვალებში ჰკოცნოს.—და ამ სიტყვებთან წამოჰკრავდა თაფლოსთან სკამზედ ჩამომჯდარ მაროს და კუთხეში მიაგდებდა: „აი, შენი ალაგი, შე წუწკო, შენა!“

თაფლო ყოველ ამ შემთხვევაში გულის კანკალით წამოვარდებოდა, უნდოდა როგორმე დაეფარა თავისი საყვარელი პატარა არსება, მაგრამ ბებიასთან რას გააწყობდა; რამწამ ბებია თვალს მოაშორებდა, მაინც არ აკლებდა მაროს ალერსს, სწავლას და ამით საშინელი ჯიბრი გამოიწვია ბებიისა; სალომე მაზლის ცოლად გაუხდა თაფლოს და ყოველ დღე, ყოველს წუთს ჩხუბს და ვაი-ვაგლახს არ აკლებდა; იმის ჯიბრზედ საცოდავ გოგოს სჩქმეტდა, ქოჩორს აგლეჯდა და აუტანელ ჯაფას აყენებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაფლოს მწუხარება, ცრემლები და გულჩახვეულობა თან-და-თან მატულობდა.

—

აი დადგა საშობაო დღესასწაულებიც და ეს სანატრელი დრო ყოველის ყმაწვილისათვის ჯოჯოხეთად გადაექცა საცოდავს თაფლოს. უიმისოთ დილით მაინც დამშვიდებული იყო სასწავლებელში და ეხლა კი მთელის დღეობით ჩხუბი, ტირილი, ცემა და შეუწყვეტელი ლანძღვა-გინება საღამესი მთლად ათრთოლებდა იმის ძარღვებს. თაფლოს ჰკლავდა მეტადრე მამის ჩამოუსვლელობა. ოჯელ-სამჯერ მოსწერა, მოგეშველებიო, მაგ საშინელ მდგომარეობიდან გამოგიყვანო, მაგრამ სამსახურს თავს ვერ ახწევდა და ამათ მოლოდინს ბოლო არა ჰქონდა.

ახალ წლის წინა ღამეა. საღამე დიდ ფაცა-ფუცშია, მოსამსახურეს უქიშტინებს, ამზადებინებს ყველაფერს ხვალინდელ დღესასწაულისათვის. ბუხარში ცეცხლი ანთია, ზედ ზედადგარია გამართული და ქვაბში თაფლი ჩუჩუნებს.

იმავე ოთახში თაფლო და შაქრო ჩუმად სხედან სტოლთან, და, როგორც ახალ წელიწადს და გოზინაყს შეეფერება, სხვა ბავშვებივით არ მხიარულობენ. ამათ აგონდებათ თავიანთი სახლი ახალწელიწად ღამეს ამ ორის წლის წინად, თავიანთი ტკბილი დედ-მამა, თავიანთი გატენილი ყუთები მრავალის საახალწლო საჩუქრებით და ჩუმათ არიან, ჩუმათ არიან იმიტომაც, რომ იციან, ბებია ხმაურობას არ მოუწონებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუნჭულში, პატარა სკივრზედ, დარბაისლურად წამომჯდარა მარო, კალთაში დიდი ლანგარი უდგია და ნუშსა ფცქვნის. სალომე ქაფქირით თაფლს უნელებს, რომ არ გადმოვიდეს. პატარა ლამპარი ოდნავ ანათებს ამ დაღვრემილ სურათს: მხოლოდ ჭრიჭინას გაუდის ჩვეულებრივი უდარდელი ჭრიჭინი.

მარომ ორჯელ-სამჯერ, ძილის გასაფთხობათ, ნუში წაიღო პირისაკენ, მაგრამ სალომეს მკვირცხლმა თვალებმა სწრაფად შენიშნა და პირში ჩადება არ დააცალა:—ჰა, ჰა, არამზადავ! არ გაბედო, თორემ ხომ მიცნობ?!

გავიდა კარგა ხანი. ოთახში სრული სიჩუმე იყო. მაროს უცებ წასთვლიმა, სკივრიდან გადმოვარდა და გარჩეულ ნუშით სავსე ლანგარს დაეცა. ამის დანახვაზე სალომემ არც აცივა, არც აცხელა და ცხელი, თაფლიანი ქაფქირი თავში ჩაჰკრა საცოდავ გოგოს; იმან საშინლად შეჰბღავლა და სიმწარისაგან გული წაუვიდა.

თაფლო ელვასავით ფეხზე წამოხტა, ამ გვარი უსამართლობით თმები ყალყზე შეუდგა და სისწრაფით გაექანა მაროსკენ, დაავლო ხელი და კარებთან მდგომ სალომეს უცაბედად დაეჯახა, კარი ყურამდე გაიღო და სალომე კარებს იქით, ქვის კიბეზედ გადავარდა.

თაფლომ საშინლად შეჰკივლა, გულზედ მაგრა მიიკრა გულ-წასული მარო, გიჟივით თვალები დააჭყიტა და უძრავად ერთ ალაგას გაშეშდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ხანს უკან სალომე ამოიტჩნეს თავ-პირ დამსხვრეული.

თაფლომ გონზე მოსული მარო ძირს დასვა და მდულარე ცრემლებით ხელებზე კოცნა დაუწყო ბებიას. იმან გაიღიმა და, ნიშნად პატივებისა, თავზედ ხელი გადაუსვა.

---

# ერთი ჯირი მარგალიტი

(ამბავი)

ამ ორი-სამის წლის წინათ ამერიკის ერთ შესანიშნავ ქალაქს ჩიკაგოში მსოფლიო გამოფენა იყო. მთლად კაცობრიობის საუკეთესო ნაწარმოები, თუ ბუნების სიმშვენიერის და ქვეყნის სიმდიდრის ნაყოფი სულ აქ გროვდებოდა ამერიკელების მეცადინეობით ევროპიელთა გასაკვირვებლად.

ზღაპრულათ მდიდარი და გასაოცებელის ხელოვნებით ნაგები სახლები ამშვენებდნენ გამოფენის თვალ-გადუწვდენელ მოედანს; ქალაქს გარეთ მრავალი გასაოცარი ბაღი, შადრევანი, ყვავილთა ზღვა იყო გაბნეული... ამ მშვენივრათ ნაგებ სახლთა შორის მრავალი გასაკვირველი მანქანა მუშაობდა და მნახველთა თვალ-წინ აკეთებდა იმ საოცნებო ნივთებს, რომლებითაც განთქმულია შორეული ამერიკა. ამერიკელი გაზეთები და ურიცხვი, აჭრელებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი განცხადებანი რამდენისამე წლის წინათვე მოუთხრობდნენ ქვეყანას, რომ გამოფენაზე პირველათ ილაპარაკებს „მანქანა-კაცი“ და ისე ილაპარაკებს, რომ ნამდვილ კაცის ნალაპარაკევში ვერ გაარჩევო: მანქანა იმღერებსო, მანქანის შემწეობით მიწას პურათ აქცევენ, მანქანის შემწეობით ათასის ვერსის მანძილზე გალობას და შენის ნაცნობის სიცილს გაგაგონებენო და მრავალი სხვა.

ზემებს შეუწყვეტლივ მიჰყავდათ ევროპიელნი ამერიკაში და ამერიკის რკინის გზები ფაცა-ფუცით მიაქანებდნენ მილიონობით მოგზაურებს გასაოცარის გამოფენის სანახავათ.

ზამოფენისთვის შეგროვილ ხალხს ყოველ დღე გამოფენის მმართველნი აკვირვებდნენ და ართობდნენ სხვა-და-სხვა სანახაობით! ხან ჰმართავდნენ კონცერტებს, რომელშიაც სამი ათასი დამკვრელი და ათასი მომღერალი იღებდა მონაწილეობას, ხან კავკასიელთა მოჯირითეებს აჩვენებდნენ, ხან ველურ-ხალხს, იმათ ცეკვას, შვილდ-ისრით ბრძოლას; ხან ჩიკაგოს ძალზე მოშორებულ ადგილებში, გაუვალ ტყეში გაყვანილ რკინის გზით გამოფენის მოთავენი ბუნების რომელსამე მოვლენის, ძლიერების ან მშვენიერების საჩვენებლად მიაქროლებდნენ მსურველებს. ეს რკინის გზები, სახელდახელოდ გაყვანილი გამოფენის გათავებამდის, სიმკვიდრის ნაცვლად, მხოლოდ მორთულობით იყო შესანიშნავი. ქოპწია, ხელის-ყუთებივით შეკრული ვაგონები ყვავილებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორთული და მწვანე გვირგვინებით დატვირთული იყო.

ერთ მშვენიერ აგვისტოს მყუდრო და გრილ დღეს დანიშნული იყო ნავებით სეირნობა დიდ, ზღვასავით ვრცელ ტბაზე, რომლის კიდეები შემოსილია ახოვანის ტყით; ამ ტყეში თვალ-შეუწვდენელი ნაძვები და მუხებია, რომლის წვეროებიც გადაბმულია ერთმანეთზედ იმ გვარის სუროს მგზავსის მცენარით, რომელიც მხოლოდ ამერიკის უდაბურ ტყეებში იცის და რომელიც თავის სიმაღლით და მძლავრის ღეროებით ტყეს ერთმანეთში ჰხლართავს და შეუვალს და საშიშარს ჰხდის ადამიანისათვის. ამერიკელებმა გაუვალი ტყე გასტეხეს და ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა გაიყვანეს. ამიტომ გზის გარშემო მცხოვრები არსადა სჩანდა, მხოლოდ აქა-იქ გზის მცველების პატარა, წითელ კრამიტით დახურული, ქოხები მოჩანდნენ.

ერთ ამ ქოხთაგანში დასახლდა ამ ექვსის კვირის წინად ევროპიდგან გადმოსახლებული ფრანგის სახლობა, რომელიც შესდგებოდა, ცოლ-ქმარს გარდა, ორის შვილისაგან; უფროსი ქალი იყო ცხრა წლისა და უმცროსი ვაჟი—ექვსის წლისა.

დიდმა გაჭირვებამ აკისრებინა ფერდინანდ მორიეს ამ გზის ყარაულის თანამდებობის დაჭერა და, თუ არ დიდი გაჭირვება, რა გააბედვინებდა ადამიანს თავის ცოლშვილით ამ უდაბურს, ათასის გარეულის მხეცით და შხამიანის ქვემძრომით სავსე ტყეში დაყენებას! მაგრამ ფერდინანდს არჩევანის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის არ ეცალა. როგორც ახლად გადმოსახლებულმა ამერიკაში, პირველსავე შემთხვევას ჩასჭიდა ხელი და, ამ რკინის გზის მცველის დიდის ჯამაგირით დახარბებულმა, ტყეში დასდო ბინა.

გზის მცველს, როგორც მოგეხსენებათ, დიდი საქმე არა აქვს-რა: უნდა მომავალ მატარებელს მწვანე ბაირაღი აუშვიროს, თუ გზა სწორეა, და წითელი,—თუ დაზიანებულია. რადგანაც ამ გზაზე მატარებელი მხოლოდ სამჯერ დადიოდა კვირაში, ფერდინანდს და მის ცოლს ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდათ; ისინი შეუდგნენ სახლის გარშემო ტყის ჭრას და პატარა ბაღის გაშენებას. ფრანგს ძრიელ უყვარს მწვანილეულობა და ფერდინანდმა და მისმა ცოლმა მალე დასთესეს სალათა და წიწმატი; ლობიოსთვის და კართოფილისათვისაც თანდათან მინდორს აფართოვებდნენ. ერთ დღეს მოჭრილ ხის წვერი მოხვდა ფეხში ფერდინანდს და მოჭრილ ხესთან ერთად დედამიწაზე დაეცა ფეხ-მომტვრეული. ცოლმა დაიჭირა იმისი ალაგი გზის მცველისა, მაგრამ იმანაც დიდხანს ვერ გასტანა: ამ მხარეში გავრცელებულმა ყვითელმა ციებამ შეიპყრო იმისი ჯაწი და ფეხ-მოტეხილ ქმარს მიუწვინა გვერდით.

— შვილო ლუიზა,—ხმის კანკალით ეუბნებოდა დედა თავის პატარა გოგოს:—დღეს მატარებელი თორმეტ საათზე გამოივლის და მე კი ფეხზე დადგომა არ შემიძლიან; მეტი გზა არ არის, შენ უნდა დაათვალიერო გზა და ბაირაღი შენ უნდა უჩვენო. გზა ხომ კარგად იცი? რამდენჯერ ამამყოლიხარ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამამყოლიხარ ჩვენს სამზღვრამდე; ვინძლო არაფერ-
ში გაერთო, დროზე დაბრუნდი, ხომ იცი, გენა-
ცვალე, მატარებელს დიდი სიფრთხილე ჰმართებს,
ვინ იცის, რამდენი ათასი კაცი მოჰყავს.

— კარგი, დედა, მე და ზენრი წავალთ გზა-
და-გზა და, თუ ყველაფერი კარგათ არის, მოვალთ და
ბაირაღს უჩვენებთ.

— ჰო, გენაცვალოს დედა, მხოლოდ ხელში
რკინის წვეტიანი ჯოხი დაიჭირე, არაფერმა გიკბი-
ნოთ, თან იმღერეთ, იხმაურეთ, რომ ნადირი გაა-
ფრთხოთ, თუმცა კი შიში აღარაფრისაა, მაშინის
ჭყივილმა ათის ვერსის მანძილზედაც აღარა დააყე-
ნა-რა.

ლუიზა და პატარა ზენრი ხელი-ხელ-ჩაკიდე-
ბული გაუდგნენ გზას და მათ წკრიალა სიმღერას
უშველებელი ტყე ათასგნით აძლევდა ხმას. იმათის
საზღვრის ბოლოს ერთ ვიწრო ხევზე მკვიდრი ხის
ხიდი იყო გადებული და იმ ხიდ ქვეშ პატარა ნა-
კადული გარბოდა ჩხრიალ-ჩხრიალით, თეთრათ აქა-
ფებული, და სადღაც უფსკრულში იკარგებოდა.

პატარებს ძრიელ უყვარდათ ამ წყალ ვარდნი-
ლას ჩოჩქოლის ცქერა და სიხარულით მიეშურე-
ბოდნენ.

ლუიზა და ზენრი ჯერ კარგა შორს იყვნენ
ხიდზე, როდესაც შავი ბოლი დაინახეს და პატარა
ხანს შემდეგ ალიც გამოჩნდა; ბავშვებმა საჩქაროთ
ბიირბინეს ხიდთან და გაოცებულნი შესდგნენ; ხიდს
ორივ მხრიდან ცეცხლი ჰქონდა წაკიდებული და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარის მოწყალებით საშინელის სიჩქარით ძრიელდებოდა. ზენრიმ ტირილი მორთო, ლუიზას შიშის ზარმა გონება დაუკარგა და არ იცოდა, რა ექნა; სულ ერთიან დაიბნა და უაზროთ ცეცხლ-მოკიდებულ ხიდთან ტრიალებდა; მაგრამ მალე მოაგონდა დედის სიტყვები: „ვინ იცის რამდენი ათასი კაცი მოჰყავს მატარებელს, შვილო, და ვინძლო არ დაიგვიანო, დიდი სიფრთხილე გვმართებსო“. მაშინვე საჩქაროთ გამოტრიალდა სახლისკენ, წაავლო ხელი თავის პატარა ძმას და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გამორბოდა.

## II

ორიეს სახლობა ერთმა ამერიკაში გადასახლებულმა ნათესავმა გამოიწვია ამ სიტყვებით: რას ჩამსხდარხართ თქვენს პატარა და ვიწრო ხეობაში და რას შეჰყურებთ ორის დღის მიწას, აი მოგვივა ორი მუჭა პური შვილების გამოსაკვებათ თუ არაო; წამოდით აქ, ამ უშველებელ ამერიკაში, სადაც ყოველიფერი ვრცელი, დიდი და დაუშრობელიაო. სულ რამდენისამე წლის ნაშრომით მე შევიძინე კარგა დიდი ფერმა, მაქვს ბლომათ სახნავ-სათესი, საბოსტნე და სავენახე ადგილი, მაგრამ აქ მუშა ხელი ძვირია და ამოდენა მამული შეუმუშავებელი მრჩებაო. მოდით, დამეხმარეთ, ნახევარს ჩემ ცხოვრებას თქვენ მოგცემთ და ვიქნებით მდიდრათ და ბედნიერათაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორიეს ცოლი ანნა, როგორც ცნობის მოყვარე დედაკაცი, უფრო მალე წახალისდა ამ იმედებით და დღე და ღამ ჩასჩიჩინებდა ფერდინანდს:— წავიდეთ, ბედი ვცადოთ, ჩვენი ერთი მტკაველი ალაგი ჩვენც ძლიკს გვაჭმევს ლუკმას და ჩვენს შვილებს ხომ უფრო გაუძნელდებათ ცხოვრებაო. ცოლის ჩიჩინმა, ნათესავის შეუწყვეტელმა წერილებმა ამერიკის სიმდიდრის შესახებ, ბოლოს დაიყოლიეს დარბაისელი ფერდინანდიც. მან იაფად შეასყიდა თავისი წილი მამული და სახლ-კარი თავის სახლიკაცს და ერთს მშვენიერს დღეს თავის ცოლ-შვილით და ცოტაოდენის ფულით ჩაჯდა გემში და გაემგზავრა ამერიკისაკენ.

მთელი ორი კვირა მოუნდნენ გზას, მთელის ორის კვირის განმავლობაში თვალ-გადუწვდენელ ოკეანის მეტი არა დაუნახავს-რა მორიეს სახლობას. დაიღალნენ, ზღვის ავადმყოფობამ ილაჯი წაართვა და სულ თავ-ბედი აწყევლინა საცოდავებს. ბევრჯელ ინატრეს თავიანთი მშვენიერი საფრანგეთი, თავიანთი სამშობლო კუთხე, მაგრამ ახლა გვიან-ღა იყო, უკან დაბრუნება შეუძლებელი გახდა. ცოლქმარს ამხნევებდა მხოლოთ ის იმედი, რომ ამერიკაში გავმდიდრდებითო და, ოდესმე ოქროთი დატვირთულნი, ისევ დავბრუნდებით ჩვენს საყვარელ სამშობლოში, სადაც ვიყიდით ისევ მამულს, მაგრამ უფრო დიდს, უფრო მშვენიერს, სრულიად საკმარისს, რამდენი შვილიც უნდა გვაჩუქოს ჩვენ უფალმაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ რომ იტყვიან: „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო“, სწორეთ ისე მოუვიდა მორიეს სახლობას. ამათი ნათესავი უეცრათ გადაცვლილიყო და ამათ კი არავითარი საბუთი არა ჰქონდათ, რომ ესენი იმისი მემკვიდრეები იყვნენ. მთავრობას წარუდგინეს ნათესავის მოწერილი წერილები, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო და ამგვარად მთელი სახლობა დარჩა ორ წყალ შუა უცნობ, თვალ-გადუწვდენელ ქვეყანაში. ყველაზე საშინელი ამათთვის ენის უცოდინაობა იყო. ვერავისთვის ვერ აეხსნათ, თუ რა საქმე, რა გვარი მუშაობა შეეძლოთ და მომეტებულ დროს უსაქმოთ ატარებდნენ. ზავიდა ორისამი თვე, შესჭამეს თან მოყოლილი ფულიც და მომავალი კი არსაიდან უღიმოდათ. სწორეთ ამ გაჭირვების დროს გაუჩნდათ ერთი თავიანთი ქვეყნელი და ეს ალაგი რკინის გზის მცველისა გაურიგა.

მორიე თავის ცოლ-შვილით გადასახლდა უდაბურ ტყეში და მხოლოთ იმით-ღა ნუგეშობდა, რომ კარგა მოზრდილი ჯამაგირი ჰქონდა და ყოველ დღიურ მოთხოვნილებას იმდენს გადაარჩენდა, რომ ერთ დღეს ისევ დაბრუნებულიყო თავის ქვეყანაში, იმ ქვეყანაში, რომელიც ამ უდაბურ, გამარტოებულ ალაგას, უფრო ძვირფასი, უფრო სანატრელი და დღე და ღამ იმათ გონებიდამ განუყრელი და დაუვიწყარი შეიქმნა.— ოჰ ღმერთო, როდის გვაღირსებ ჩვენს ტურფა „ოკეანის“ ნახვას, — ამოოხვრით იტყოდნენ ცოლ-ქმარნი და თან მდუღარებით ევსებოდათ თვალები. ამათ სნეულობათ გადაექცათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის სამშობლოს სიყვარული და მისი მოგონება; მეტადრე ახლა, როდესაც ბედმა ასე დააუძლურა, ასე ძირს დასცა ორივ ცოლ-ქმარი. ამათი მდგომარეობა, ამათი წყურვილი სამშობლოს ნახვისა გაგიჟებამდე მივიდა და აი შემთხვევამ როგორ უარესათ დაატრიალა ამათი ცხოვრების ჩარხი.

ფერდინანდი და ანნა გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს საათის ისარს; აგერ სულ რამდენიმე წამი დარჩა მატარებლის გამოვლამდე და ბავშვები კი არსად იყვნენ. საშინელი ცეცხლი ტრიალებდა იმათ გულში. ათასნაირი გრძნობა, ერთი მეორეზე საშინელი, ჰფათრავდა იმათ გულს: შვილების განგანსაცდელი, მატარებლის ხიფათი, ალაგის დაკარგვა, თავზე თმებს ყალხზე უყენებდა ავადმყოფებს.

— ღმერთო, ღმერთო, ნუ აიღებ ჩვენზე ხელს! — გულში ხელის ცემით და თვალზე მდუღარებით ამბობდა დედა. — ბავშვებს რომ ლიანდაგზე მოასწროს!.. ოჰ, ოჰ, ღმერთო, შეგვიწყალე!

— ღმერთო შენ გადაარჩინე ხიფათს ამდენის ადამიანის სული! — ამბობდა ფერდინანდი და თან მოწიწებით ეუბნებოდა ცოლს: — ადამიანო, იქნება როგორმე შესძლო, გაფორთხდი გარეთ, წითელი ბაირაღი აიღე და მატარებელი შეაყენე; ყოველ შემთხვევაში გაჩერება სჯობია.

ანნა რამდენჯერმე წამოჯდა ლოგინზე, მაგრამ ამაოდ.

— ჩქარა, ერთი წუთი-ღა აკლია თორმეტს... ჩქარა... ჭკუაზე ვიშლები... ჩქარა... ადექ! — მუდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებით ეუბნებოდა ფერდინანდი ცოლს, თუმცა კარ
გათ იცოდა, რომ მისი ადგომა შეუძლებელი იყო.

ანნა ადგა, მაგრამ საშინელმა თავის ტკივილმა
თვალები დაუბრმავა, სიცხისაგან მუხლთ მოეკვეთა,
დარატრატდა და ლოგინზე დაეცა. ამ დროს მატა-
რებლის გრიალიც მოისმა.

— შვილებო! — ანნამ ერთი საშინლათ შეჰკივ-
ლა და გულს შემოეყარა.

ფერდინანდმა თმაში ხელები წაივლო და სა-
შინელის პირუტყვულის ღრიალით შეჰბღავლა ზე-
ცას: ღმერთო, გადაარჩინე ხალხი... შვილები! — და
თმები ბღუჯა-ბღუჯა ჩამოიღო, მოტეხილი ფეხი
უხერხულათ შეანძრია და ჯოჯოხეთურის ტკივილის
გამო რამდენსამე წამს გონება დაეკარგა.

## III

ატარა ლუიზა და ბენრი კი გიჟებივით მორ-
ბოდნენ, მორბოდნენ და თან ღრიალებდნენ.
ბული მთლად ამოუჯდათ, შუბლზე ხვითქი
გადასდიოდათ, დაღალულობით წამ და უწუმ პატა-
რა ბიჭი კისერს იმტვრევდა და ძირს ეცემოდა. ლუ-
იზა შეტევით ფეხზედ აყენებდა და ისევ გარბოდ-
ნენ საშინელის სისწრაფით, მაგრამ სახლი კიდევ
შორს იყო; ამათ პატარა ფეხებს ღონე გამოელიათ
და თანდათან სირბილს უკლეს, შესვენება აუცილე-
ბელი იყო, სუნთქვის ილაჯი აღარ ჰქონდათ. ამ
დროს მატარებლის გრიალიც მოისმა; ლუიზამ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰკივლა და თვალებზე ხელი მიიფარა: იმას ნათლათ წარმოუდგა ხევში გადავარდნილი მატარებელი... თავის ავადმყოფი დედ-მამა... და თვალთ დაუბნელდა... მაგრამ უცებ თავში ელვასავით კეთილმა აზრმა გაურბინა პატარა გოგონას და ელვისავე სისწრაფით გაიძრო წითელი იუბკა, რომელიც კაბის ქვემოდამ ეცვა და, ხელში რომ წვეტიანი ჯოხი ეჭირა, იმაზე ააცვა, და ამ ბაირაღით, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ფეხის წვერებზე შედგა და ხელი მაღლა აიღო; სწორეთ დროც კი იყო, მატარებელი გაქანებული მირბოდა; ერთი წამი კიდევ... და პირდაღებული შავი უფსკრული შთანთქავდა აუარებელ მგზავრთ.

**მ**ემანქანემ დროზე შენიშნა წითელი ნიშანი, სისწრაფით მოუჭირა ახლათ მოგონილი ალაყი (ტორმოზი); მატარებელი ერთი მძლავრათ შეირყა და საჩქაროთ გაჩერდა. **მ**ოისმა ხალხის ზრიამული; დიდი და პატარა გარეთ მიეშურებოდა, რომ შეეტყო ამ გაჩერების მიზეზი და ერთმანეთს სჭყლეტდნენ, კიბეებიდან ცვივოდნენ, წიოდნენ და ჰკიოდნენ.

**პ**ატარა **ლ**უიზამ, მატარებელი რომ გაჩერებული დაინახა, მუხლებზე დაეცა; ა'ლა' კი ღონემ სრულიად უმტყუნა და ცრემლებით და ოფლში გაწუწული ძირს დაეშვა; იმის კაბის კალთას ეკროდა მთლად აკანკალებული და ღონე მიხდილი პატარა **ბ**ენრიც.

**ა**მ მატარებელში, სხვათა შორის, საფრანგეთის მაშინდელი პრეზიდენტი **კ**არნოც იყო თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფროსის შვილით და რამდენისამე ნაცნობით; ამათ განცვიფრებას სამზღვარი არა ჰქონდა, როდესაც პატარა გოგომ ფრანგულათ აუხსნა მგზავრებს თუ რა ხიფათი მოელოდა მატარებელს, ესენი წინ წასდგნენ და ცნობის მოყვარეობით ჰკითხავდენ პატარა გოგოს ვინაობას.

ლუიზამ დაწვრილებით უამბო თავის დედ-მამის ამბავი და თანაც აუხსნა ის მიზეზიც, რის გამოც ლუიზა და პატარა ზენრი გახდნენ გზის მცველებათ.

პრეზიდენტმა მოიხსნა გულიდან ორდენი „ლეგიონისა“ და პატარა გოგოს ჩამოჰკიდა ამ გვარის გმირობისათვის და ზედაც ოქროთ გატენილი ქისა დაუმატა; ამის მაგალითს მიჰბაძეს ყველა მგზავრებმა, გადარჩენით აღტაცებულნი მადლობის ნიშნათ უხვათ ასაჩუქრებდნენ პატარა გოგოს; იმის წითელი იუბკა პირამდინ აივსო ოქროებით და ზენრის ჯიბეში გაიჩხრიალა მუჭებით ჩაყრილმა ვერცხლის მანათებმა.

მატარებლის უკან გაბრუნება ამ ალაგიდან შეუძლებელი იყო და, მანამ მახლობელ სადგურიდან სხვა მატარებლებს მოაშველებდნენ, პრეზიდენტმა მოისურვა იმ ფრანგის სახლობის ნახვა, რომელიც ბედს ამ სიშორეზე გადმოეტყორცნა; მრავალი სხვა მგზავრთაგანიც გაჰყვნენ იმას და მალე პირამდინ აივსო მორიეს ერთი ბეწვა საყარაულო ოთახი.

ფერდინანდი და ანნა ფერმკრთალნი, შიშით გამოშტერებულნი შეჰყურებდნენ ამოდენა ხალხს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან აღტაცებით იკრავდნენ გულში ღვთის განგებით გადარჩენილ ძვირფას შვილებს.

## IV

ავიდა ერთი თვე. მშვენიერი სექტემბრის საღამო იყო. სიო არ იძროდა. ჩიზალპინის სრუტის ლურჯი წყალი კარგა გადახრილ მზის სხივებით თვალ-გადუწვდენელ სარკესავით ლაპლაპებდა და მაყურებელს რაღაც ჯადოქრულ სურათათ წინ ეშლებოდა. სრუტეში სხვა მრავალ გემთა შუა გასამგზავრებლათ მომზადებული იდგა მშვენიერი, კოპწია „თანხმობა“. იმის მძლავრი მანქანის ორთქლი ვეშაპივით ჰქშინავდა და მოუთმენლად ელოდა გამგზავრებას.

ძვირფასი სტუმარი ქარნო, საფრანგეთის პრეზიდენტი და მისი თანამგზავრნი, დიდის ამბით, ყვავილების კონებით და ვაშას ძახილით მოაცილეს უკანასკნელ სამზღვრამდე.

აი, ყველამ თავ-თავისი ალაგი დაიჭირა ვრცელის გემის ბაქანზე. შინ შესვლას არავინ ჰფიქრობდა. ყველას უნდოდა დამტკბარიყო წინ გაშლილის მომხიბლავის ზღვის სურათით. აგერ ბაქანის ბოლოზე ერთად შეკუმშულია ნაცნობი პატარა სახლობაც მორიესი; ესენიც აღტაცებით უყურებენ ბუნების ბრწყინვალებას და ამათ აღტაცებას ერთიასათ აძლიერებს წმინდა მაღალი გრძნობა, რომ სამშობლოს უბრუნდებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერდინანდი თუმცა ყავარჯენით, მაგრამ მამაცათ სდგას და გარშემო შემომსხდარ ცოლ-შვილს სიყვარულით დაჰყურებს; იმის გულში ნამდვილი კმაყოფილება და ბედნიერებაა აღგზნებული—და შეუწყვეტელ ოცნებას ეძლევა.

თვალ-წინ ეხატება თავისი ტურიცა სამშობლო და იმის ერთ-ერთ საუკეთესო კუნჭულში—თავისი მომავალი, მშვენივრათ გაწყობილი ფერმა „ლუიზა-ანნა“, სადაც ამის გონიერი ანნა თავის ჩვეულებრივის შრომის-მოყვარეობით განაგებს და აწარმოებს დიდს, ვრცელს, სამეურნეო ხელოვნებით განწყობილს ოჯახს; სადაც ამისი გმირი, ამის გამამდიდრებელი და გამაბედნიერებელი გოგონა ლუიზა თავის წკრიალა ხმით ჰაერს ატკბობს და ბენრი, სკოლის ლამაზ მუნდირში გამოწყობილი, ფრანგულ წიგნებით ხელში, სწავლის შემდეგ, ყვავილებს შუა ხაროობს და ისვენებს.

---

# საახალწლო სუართი

ვას მიბრძანებთ კიდევ?—მოწიწებით ეუბნებოდა პატარა, მოხდენილი სპარსელი ბაყალი კნეინა თაფლოს, რომელიც ციბრუტივით ტრიალებდა დიდ, გაბრწყინვალებულ ხილის დუქანში ერევნის მოედანზე.

— აი, ხომ ჰხედავ, ვეძებ, ვათვალიერებ, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ არის რამე რიგიანი შენს დუქანში, რომ ვიყიდო.

— ჩემს დუქანში, ქალბატონო, რა გინდა რომ არ არის! მთელის სპარსეთის საუკეთესო ხილეულობა, სულ ახალ-ახალი, წრევანდელი ნაკრეფი, სუფთათ და ლაზათიანათ მომზადებული! ნახეთ ეს ყუთები, სწორეთ თქვენი საკადრისი და მოსაწონია.

— მართლა, აი, აღჯანაბადი რა სუფთაა. ასწონე ათი გირვანქა; აი, ინდისხურმაც რა მშვენიერია! ესეც ათი! აი, ეს დიდრონი ფორთოხლებიც ორმოცი ჩააწყე

ასე და ამ რიგათ თაფლოს ნავაჭრი პარკები ჯარივით ჩამომწკრივდა დუქნის დასგაზე და ის კიდევ მოუთმენლათ დატრიალებდა დუქანში, რომ კიდევ ეპოვნა რამე იშვიათი ნუგბარი.

თუმცა თაფლო უშვილო იყო და ამ ახალწლის წინა დღეს შინ იმის მიმტანს სიხარულით და ყიჟინით არავინ დაუხვდებოდა, მაგრამ იგი მდიდარი ყმაწვილი ქალი იყო და თავის თავს იყოლიებდა; ვაჭართანაც ცოტა არ იყოს თავი მოჰქონდა და მედიდურობდა.

დუქანში აუარებელი მოვაჭრე ხალხი შემოდიოდა; ოცამდე ნოქარი, დუქნის პატრონისავითვე სპარსულად ჩაცმული, მარდათ და ზრდილობიანათ უწონავდნენ ყველას, საჩქაროთ აძლევდნენ ხურდას, სუფთათ ახვევდნენ ქაღალდებში, აწყობდნენ პარკებში ნავაჭრს და თან არეულ დუქანს ალაგებდნენ: გაყიდულის ალაგას საუკეთესო ხილს აწყობდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჩენად; ცუდს, დამპალს, დაზიანებულს ქვეშ აყოლებდნენ და მყიდველთა შეუნიშნავათ ათასში ერთს წონაში აპარებდნენ. თვით დუქნის პატრონი კი თაფლოს, როგორც საუკეთესო მოვაჭრეს, თავს დასტრიალებდა და ისიც შეუყენებლივ სიცილ ხარხარით ვაჭროობდა და ვაჭროობდა.

— ამ სამი შაურისა „კალფეტი“ ამიწონე! — ბოხის, რიხიანის ხმით სთქვა დუქანში შემოსულმა შუახნის გლეხკაცმა და საერთო ყურადღება მიიზიდა ჯერ თავის კილოთი და მერე იმ მცირე ფულით, რომელიც იმან ისე თავ-მოწონებით დახლზე გადაგდო; ყველას გაეცინათ, ვაჭრებსაც და მყიდველებსაც; გლეხი ცოტა არ იყოს შეკრთა, მაგრამ უკან კი არ დაიხია და უფრო ახლო მიიწია დაზგასთან.

— უკან, რეგვენო! აქ სად მოხვალ? ვერა ხედავ, პატიოსანი ხალხნი დგანან. ჰა, შენი სამი შაური, ჩვენ საშენო „კალფეტი“ არა გვაქვს.

— როგორ არა გაქვს. კაცო, აგე ი წითელი ნულლი ამიწონე! პატარა ბიჭისათვის მინდა, ჩქარა გეთაყვა, მეშურება, სოფელში ველარ აუწევ. ხედავ, შუადღე გადასულა!

— ბეუბნები, არ არის მეთქი! — უფრო მედგრად შეუტია მედუქნემ, — სხვაგან წადი, იქ იყიდე, რას ჩაგვაცივდი?

— შე დალოცვილო, მამე, რაღას მალაპარაკებ? ახლა სხვაგან სადღა წავიდე, გეუბნები, დამი გვიანდა მეთქი.

— არ არის! არ არის! არა! ვერ გაიგე? — ახლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო ძალიან შეუტია ერთმა ნოქართაგანმა და სახელოში ხელი წაავლო კარში გასაგდებათ. გლეხი გაუძალიანდა. მოვაჭრეთ ხარხარი დაიწყეს.

თაფლოს გულში რაღაც სიმწარემ გაურბინა. ამას თითქო პირად შეურაცხებათ ეჩვენა, რომ თათარმა ქართველ გლეხს, საწყალ, ბეჩავ გლეხს იმგვარი უსამართლობა მიაყენა, რომ ამ უცხო ტომის ხალხმა მის საქციელზე ხარხარი იწყო და უნებლიეთ გამოესარჩლა.

— შენ როგორ შეგიძლიან არ მისცე ის, რასაცა გთხოვს,—სასტიკათ შეუტია ვაჭარს,—მაგისი რა ბრალია, რომ მეტი არა აქვს? მერე მიუბრუნდა გლეხს და ტკბილათ უთხრა: აბა რა მიგაქვს სოფელში, ძმობილო, საახალწლოთ?

— ბევრი არაფერი, შენი ჭირიმე! აი პატარა ფურნის პური ვიყიდე, დედაკაცისთვის—თავშალი, გოგოსთვის—ფლოჭტები, პატარა ბიჭისთვის—ჩუჭტები; ეს სამი შაური-ღა გადამრჩა და მინდოდა ბალღებისთვის „კალფეტები“ მეყიდა, ახალი წელიწადია ხვალ, შენი ჭირიმე, მიუკვლევდი, გავახარებდი და ეს ოჯახ-ქორი მასხარათ მიგდებს, ტყუილათ მაგვიანებს!—მწუხარებით დაუმატა გლეხმა.

თაფლო ბუნებით კეთილი ქალი იყო, მისი გული ადვილათ შეინძრეოდა ხოლმე კეთილისათვის, მაგრამ, როგორც ცხოვრებისაგან გალალებულს და ბედნიერ დედაკაცს, ყოველთვის კმაყოფილებით და ფუფუნებით გათამამებულს, იშვიათად შეჰხვედრია ფიქრი გაჭირვებულზე; ჩაგონებითაც არავის ჩაუგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებია იმისთვის, რომ კეთილი საქმე ერთი უპირველესი მოვალეობათაგანია ადამიანისათვის და ამიტომ იშვიათად ამოქმედებდა თავის გულის კეთილმიდრეკილებას. **ა**მ ბედნიერ დღეს, ამ კმაყოფილების და მხიარულების დღეს, **თ**აფლოს თვით დედაკაცურმა ინსტიქტმა აგრძნობინა, რომ ძველ მაზარაში გახვეული გლეხი თავის მხარზე გადაგდებული, დაგლეჯილის და ცარიელის ხურჯინით და სამი შაურის სანუკველით, შესაბრალია და ამ გარემოებამ ქალის ბუნებით კეთილშობილურს გულში დახმარებისა და ხელის გამართვის სურვილი გამოიწვია.

— **ა**ბა, აბდულ, გადმოიღე ეგ ლამაზი, სურათებიანი კამფეტის ყუთები; მერე მოუბრუნდა გლეხს და ჰკითხა:—რამდენი შვილი გყავს, ნათლიმამ?

— **ო**თხი, შენი ჭირიმე, ოთხი.

— აი ეს ოთხი ყუთი კანფეტები ჩემ მაგიერათ შენს შვილებს წაუღე, აი ეს ათი გირვანქა ხმელი ხილიც, აი, ეს ფორთოხლებიც; თაფლი, საგოზინაყე ნიგოზი აქვს შენს დედაკაცს?

— **ა**რა, შენი ჭირიმე. **გ**ოზინაყი რა ჩვენი საქმეა! მაგრამ რას ბრძანებთ, რასა სწუხდებით? თქვენი რა ბრალია, რომ ჩვენ ღარიბები ვართ? გლეხ-კაცის საქმე სულ აგრეა, შენი ჭირიმე, გლეხ-კაცმა ყველა უნდა მოითმინოს,—დარცხვენით ამბობდა გლეხი და სულ უკან-უკან იწევდა გასაქცევათ.

— **მ**აშ, თაფლიც ხუთი გირვანქა, ხუთიც—ნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოზი,—უბრძანა Თაფლომ გაოცებულ აბდულა თა-
თარსა და ყოველივე ესე გლეხს ძალათი ჩააწყობი-
ნა ცარიელ ხურჯინში, ხელშიაც ხუთ მანათიანი ჩა-
უდვა და გახარებული და აღტაცებული გლეხი ში-
ნისაკენ გაისტუმრა.

II

Ბერი-ბინდია. Დილმის მინდორზე საშინელი
ქარი ჰქრის და ყინვა ისე უჭერს, რომ თვა-
ლებიდან ცრემლები სცვივა Ზრიგოლა ბო-
ტორაშვილს, ცხვირის წვერი მთლათ მოაძრა, ცა-
ლი ხელი, რომლითაც ძვირფასი ხურჯინი ეჭირა,
სულ გაეყინა, მაგრამ ის მხიარულად მიაბიჯებს,
მირბის და ქარს შეუპოვრად უშვერს თავის მძლავრ,
განიერ გულს, თავის გახუხილ მაზარის ქვეშ სიცი-
ვეს არა ჰგრძნობს, პირიქით, პირზე ღიმილი არა
შორდება. „პა, პა, პა! ი რა ადამიანს შევხვდი! ნე-
ტა ღვთის შვილი იყო, თუ ანგელოზისა? ამდენი
ხანია ქალაქში დავიარები, კაცს ლამის ჭაღარა გა-
მომერიოს და ამისთანა, არამც თუ არა შემმთხვე-
ვია-რა, გაგონებითაც არა გამიგონია-რა! რა ყო-
ფაში ჩავარდება ჩემი სახლობა, ამ მონატანს რომ
დაინახავს! აი დაილოცა, Ღმერთო, შენი სამართა
ლი! შენ გაჩენილ კაცს რომ უნუგეშოდ არ დააგ-
დებ! მე ამ ხუთმა მანათმა უფრო გამახარა! ერთი
მუჭა ფქვილი არსად გვქონდა, ამითი ერთი ფოხა
ლი მოგვივა და კარგი ნუგეშია ჩემი ცოლ-შვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის. ჩემ პატარა სოლუას როგორ გაეხარდება ყუთზედ გამოხატულ ლამაზ, თავისავით ცუგრუმელა, ბიჭს რომ დაინახავს! აი დაილოცა, ქალბატონო, შენი გამჩენი, ვილაცა იყავი, ჰო და აი!“

ამ ფიქრებში გართული გრიგოლა შეუნიშნავათ მიუახლოვდა თავის პატარა ქოხს დილმის ბოლოში და ამაყათ მიაბრახუნა კარები.

— ოჰ, კაცო, მოხველი? მადლობა ღმერთსა,—სიხარულით შესძახა გრიგოლას ცოლმა ნინომ.—ე, ოხერი ქარი ისე ქრის, ისე საუბედუროთ გაუდის ბზუილი, რომ შიშით გული მისქდებოდა, ი კაცი გზაში კი არსად გაიფიჩხოს სადმე მეთქი!

— გავიყინო რა, ხამი ვარ, მე შენ გითხრა, ქალაქში სიარულს! კვირაში სამჯერ აღარ უნდა ავ-ქსელ-ჩავქსელო, დალოცვილო, ფოშტის შოშე! — მხიარულად სთქვა გრიგოლამ და გახურებულ რკინის ფეჩის წინ სიფრთხილით მოიხსნა ხურჯინი.

იმის შვილებს—ორს პატარას ეძინა და ორი უფროსი ფეჩის თავზედ სიმინდის ხალვაში იყვნენ გართული.

— აბა, დედაკაცო, მოიტა ხონჩა და ლანგარი, ღვთის მოწყალება დავაწყოთ, ხომ ხედავ, როგორ არის გაჭიჭკნილი ე ჩვენი დაძველებული ხურჯინი?

— ჭა, მართლა, რა ამბავია? რითი გაგიმსია, ადამიანო,—სიხარულით წამოიძახა ნინუამ და თან ხელი შემოუსვა მართლა და ძალზე გაჭიჭკნილ ხურჯინს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნელა, ნელა, დედაკაცო, თაფლი არ და ღვარო.

— მამა ჯან, რა მოგვიტანე, რა? თაფლი? კალფეტები, ფლოსტები?..—საჩქაროდ მივარდნენ მარო და სანდრო.

— კალფეტები და მერე რა კალფეტები? სიზმარშიაც არ მოგჩვენებიათ, თქვე საცოდავებო! და განა მარტო კალფეტები? და ბრიგოლამ ნელ-ნელა. დარბაისლათ, აუჩქარებლივ დაუწყო ხურჯინს ამოლაგება.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო! ვინ მოგცა, კაცო, ყველა ეს? ვინ?—თან სიხარულით ეკითხებოდა ნინო ქმარს და თან შიშის ზარი უვლიდა გულში.

— ვინ მომცა და მოვიპარე!—ოხუნჯობდა ბრიგოლა,—განა ჩვენ შვილებს კი აწყენთ ყოველი ბედნიერება?

— კარგი! ღმერთს ნუ აწყენინებ, მითხარი, ვინ მოგცა, თორემ აგერ გული გამისკდება.

— ბზაზე ვიპოვნე, დედაკაცო! უთუოთ ღმერთმა გამოუგზავნა ჩვენ შვილებს,— და თან ეშმაკურათ გაიღიმა.

— ბეჩა, რას ხუმრობ, ადამიანო, მითხარ, თორემ სულ კარში გადავყრი...

— აი, შე ლაჩარო, შენა! განა ავკაცობაც შე მამწამე?—და მოუყვა თაფლოს წყალობის ბოძების ამბავს, მის მშვენიერ მოღიმარ პირისახის აწერას, მის გასაოცარ მორთულობას, მის გულის ლმობიერებას და სიუხვეს. „აი დედი ჩემის ღმერთსა,—და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმატა თავის გაქნევით ბრიგოლამ,—ერთი ასიოდე რომ ყოფილიყო იმისთანა ქალბატონი, რამდენი მხიარული ოჯახი იქნებოდა ეხლა ჩვენ სოფელში!

ნინომ სიხარულით პატარებიც დააღვიძა და იმისთანა ზრიამული და ყიჟინი შეიქნა ამ პატარა ოჯახში, ისეთმა კმაყოფილებამ და ბედნიერებამ მოიცვა ბოტორიშვილის ოჯახის ყოველი წევრი, რომ კნეინა თაფლოს რომ დაენახა, ან წარმოედგინა, თავის სიუხვეს გაათიათასებდა და თავის კეთილს გულს უფრო ფართო გზას და უფრო დიდ სარბიელს გაუჩენდა.

---

# საახალწლო ფეშქაში

ერთ-ღამე იქნებოდა... მაგრამ სად იყო ჩვენი დაძინება! მე და ორი ჩემი პატარა ძმა ქაჯებივით დავხტოდით დედის გარშემო. აბა, რა დაგვაძინებდა! ახალი წელიწადი თენდებოდა: დედა გოზინაყს ხარშავდა და სახვალიო სამზადისში იყო.

ჩვენი ორივე ოთახი სავსე იყო ხილით, თაფლით და ჩვენის ახალის ტანისამოსით. ორთავ ბუხრებში დიდ ცეცხლს გაუდიოდა გუზგუზი და წითელ შუქს გვაყენებდა ყველას უამისოთაც სიხარულისაგან გაწითლებულ პირის-სახეზედ. დედამ გოზინაყები დიდ ლანგრებზე დაასხა და მაღლა თახჩაში შესდგა; შემდეგ გააღო კუნჭულში რომ დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხის ყუთი იდგა და, რა გინდა, რომ იქიდან არ ამოიღო; ვაშლი, მსხალი, ჩამიჩი, თეთრი თოვლივით დაშაქრული ჩურჩხელები, ხმელი ხილი და მრავალი სხვა და სხვა საკვლეური. სასტუმრო ოთახში, სტოლზე თეთრი სუფრა გადაშალა და სუყველაფერი ზედ დააწყო დიდრონის ბლუდებით. თავსა და ბოლოს წითელ არაყით სავსე ბოთლები დააწყო.

ბოლოს შეუდგა იმ ხონჩის მზადებას, რომლითაც ჩვენი უფროსი მოჯამაგირე განთიადისას ჩვენთან მეკვლეთ უნდა შემოსულიყო. ოჰ, ღმერთო, რა გინდა რომ იმ ხონჩაზედ არ ეწყო! წითელ ვაშლებში წმინდა სანთლები ჩაურჭო, შუა ხონჩაზე ვერცხლის ჯამით აბრამიანი დადგა, თავსა და ბოლოს წითლად დაბრაწული ბასილები დააწყო და ეს ხონჩა გარეთ ოთახში გაიტანა. მერე დაუძახა ნინიას, ძალზე გაჭაღარებულ გლეხ-კაცს, ჩვენ ყოველ-წლიურს მეკვლეს, და ჩააბარა ხონჩა.

დედამ და ჩემმა ქვრივმა დამ, რომელმაც სადღესასწაულოთ ამოგვასხა ქალაქიდან, სახლს მილაგ-მოლაგება დაუწყეს. სკამებს თეთრი პირები გადააკრეს, დიდ ტახტზედ ახალი ქეჩა და ხალიჩა გადაშალეს, ფანჯრებს სუფთა ფარდები ჩამოაფარეს და შემდეგ ვახშმად დავსხედით.

მაგრამ ვის ჰქონდა ვახშმის მადა!.. გოზინაყის მაყურებელს, აბა, ქათმის ხორცს რაღა გვაჭმევდა? დედამ ბევრი გვტუქსა, მაგრამ ჩვენი სუფრაზე და სხდომა შეუძლებელი იყო. ჩვენ გაუთავებლივ ვშინჯავდით საახალწლო კაკებს და გაგვქონდა სიხარუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ჟრიამული. დედაც ისე იყო გართული სამზადისში, რომ ჩვენს წივილ-კივილს ყურს არ უგდებდა და იმის მაგივრათ თითონვე გვახალისებდა:

— ვინძლო, შვილებო, კარგათ ისწავლოთ, კარგი ბიჭები გამოხვიდეთ და, მანამ თქვენი დედა, ქეთევანი, ცოცხალია, თქვენ არაფერი დაგაკლდებათ. აბა, ნახეთ ახლა, რა საჩუქრები მაქვს თქვენთვის?

ამ სიტყვებით დედამ მოიტანა დიდი ბოხჩა და იქიდან თითო თითოდ გადმოგვიწყო ჩვენ ქალაქში ყოფნის დროს შეკერილი ტანისამოსი: ლურჯი ჩოხები, წითელი ფარჩის ახალუხები, შავი წუღები და თეთრი ფაფახები.

ახლა კი სულ გადავირიენით სიხარულით, დავიტაცენით თითო-თითოთ ეს ჩვენი ძვირფასი ჩასაცმელები და გიჟებივით დავრბოდით ოთახებში. სად იყო მოთმენა გათენებამდინ! ერთმა ჩუსტების ჩაცმა დაიწყო, მეორემ ქუდი ჩამოიჩაჩა თავზე, მესამემ ახალუხი გაიწყო წელში, ერთის სიტყვით, დიდის ვაის-ვაგლახით ღა მოახერხა დედა ჩემმა ჩვენი დამშვიდება და ლოგინში ჩაწვენა.

დედამ მოსამსახურე დაითხოვა ოთახიდგან, დაიჩოქა ღვთისმშობლის ხატთან და მხურვალეთ რაღასაც ეხვეწებოდა.

ჩვენ კი ლოგინში ისევ ხვალინდელ დღეზე ვჩურჩულებდით.

ბუხარში შეშა ისევ ბლომათ ეწყო და ძრიელი ცეკხლის შუქი ანათებდა დაჩოქილს დედას და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადღესასწაულოთ მოკაზმულს ოთახს. უცებ ვიღა-მაც კარი მოაბრახუნა. სუყველანი ერთ წამს ფეხზე წამოვცვივდით. დედამ შიშით გადმოგვათვალიერა, მაგრამ გულ-მაგრა კი მივიდა კარებთან.

— ვინა ხარ ამ დროს, შე კაი კაცო,—უთხრა დედამ ტკბილათ.

— მე, შენი ჭირიმე, ქალბატონო! კარი გამიღე, გაჭირვებული ვარ.

ეს დარეჯას, ჩვენის მეზობელის დედაკაცის, ხმა იყო და დედამ საჩქაროთ კარი გაუღო.

— ქალბატონო, აგრემც ღმერთი დაგასწრებს შენი პაწია შვილებით მრავალ ამ დროს, ნუ დაიზარებ და წამობრძანდი ბლახაანთსა. უბედურს მელანას სულთ ებრძვის და თქვენს ნახვას თხოულობს. ჩვენ ბევრი უჯავრდით, ეხლა რა დროა, ბედნიერი დღე მომავალია და თავიანთ სახლში სამზადისში იქნებიანო, მაგრამ არ სჩადის; აუტეხნია, დამიძახეთ და დამიძახეთო.

— კარგი, ჩემო დარეჯო, მე ეხლავ წამოვალ, თუ კი შემიძლიან შევეწიო რასმე. დედაშვილობას, ერთი ჩემი ქალი გააღვიძე, რომ ბავშვებთან დარჩეს და მე ამ წამში მზათ ვიქნები.

— დედილო-ჯან,—მოწიწებით ვუთხარი მე,—მეც წამოვალ, არ მეძინება და მეც მელანოს პატარა გოგო ფეფუას ვნახავ.

— რას ამბობ, შვილო სანდრო? საშინელი სიცივეა და გაცივდები; ხომ იცი, ამ ერთ კვირას უკან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლაში წასასვლელი ხარ! რა ხუმრობაა! რომ ავათ გახდე?

— **ა**რა, შენი ჭირიმე, დედა, არ გავცივდები! წამიყვანე, გენაცვალე!

— **ო**ჰ, რა ატეხილი ხარ, შვილო! რასაც აიხირებ, ის არი, ხომ არა გეშველება რა! თავზე დიდი შალი მაინც მოიხვიე.

**ბ**აველით გარეთ და ის შენს მტერს მისცეს ღმერთმა, რაც ღამე გარეთ იდგა! საშინელს ქარს გაჰქონდა ზუზუნი და ატრიალებდა ნამქერს. **ცა**სა და დედამიწას ვერ გაარჩევდი ერთმანერთში: ორთავე თოვლის ბურუსში იყო გახვეული. **მ**თელი სოფელი ისე იყო გაყუჩებული, რომ ძაღლის წკავწკავიც არსაიდან მოისმოდა.

**დ**არეჯა გზას გვიხვეტავდა და ჩვენ უკან მივსდევდით.

**რ**ის ვაი-ვაგლახით მივედით გლახაანთ სახლთან, რომელიც ჩვენი სახლიდან კარგა მოშორებით იდგა. **დ**არეჯამ ჭრაჭუნით შეაღო მიწურის სახლის კარები და ჩვენც შევყევით.

**ო**ჰ, **ღ**მერთო, რა საშინელი სანახავი იყო ის სახლი, მეტადრე ჩვენს თბილსა და მორთულ ოთახს შემდეგ! მინგრეულ-მონგრეული და სრულებით ცარიელი, კუნჭულში ერთი რაღაც გაგლესილი გოდორი იდგა და გამჭვარტლულ თაროზე ორიოდ თიხის ჯამ-ჭურჭელი ეწყო; კერაზე ცეცხლი ძლივს ბჟუტავდა და შუა-ბოძის რაფაზე თითის სიმსხო კვარი ენთო. **კ**ერის მახლობლად, დაგლეჯილ ლოგინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე მელანო იწვა, ხელ-ფეხს აწყვეტავდა და მძიმეთ ქშინავდა. ბარშემო ორიოდ დედაკაცი უჯდა და სთვლემდნენ.

ჩვენს შესვლაზე მელანიამ გაიღიმა. დედაკაცები ფეხზე წამოდგნენ.

— რა იყო, შვილო მელანო,—უთხრა დედამ,—რისთვის მიბარებდი? დედაშვილობამ, ამ საღამოზე მე თითონ მინდოდა შენი ნახვა, მაგრამ. განა არ იცი ხვალინდელი დღის ანბავი? ერთ წამს ვერ მოვიცალე, რო გადმოვსულიყავ.

მელანო დიდის გაჭირვებით ლაპარაკობდა.

— ძალბატონო, სთქვა მან სიტყვების ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქმით:—აასრულე, შენი სულის გულისთვის და შენი შვილების სადღეგრძელოთ, სულთმაბძავის თხოვნა: ჩემი პატარა ფეფო, ჩემი საცოდავი ობოლი, ხვალ უდედოთ დარჩება... ლუკმის მჭმეველიც არავინ ეყოლება და გთხოვ შენ აიყვანე... მოახლეთ მაინც გამოგადგება... ნუ მომკლავ ისე... რომ ამის ჯავრი საფლავში ჩამყვეს.. და, თუ შენთან დავტოვე, გულდამშვიდებული წავალ იმ სოფელს... ოუნდა შენთან და თუნდა ღმერთთან მყოლია... ჩემი უბედური გოგო...

სთქვა ეს მელანომ და მდუღარება გადმოსცვივდა თვალებიდგან.

— კარგი, მელანო, ავასრულებ შენს თხოვნას, დამშვიდდი, შვილო! დღეის უკან შენი ფეფო ჩემ შვილებში გამოურჩეველი მეყოლება. ღმერთი მოწყალეა, ჯერ იქნება კარგათ შეიქმნე, ნუ გეშინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიან. — უთხრა დედა ჩემმა ცოტაოდენს ფიქრს შემდეგ.

ამ სიტყვებზე მელანოს პირს ღიმილი მოუვიდა და შემდეგ საშინლად დაახველა. მე ბოძთან ვიყავ ამოფარებული და გული მიკანკალებდა. მელანოს გულს შემოეყარა. ქარგა ხანს შემდეგ ძლივს მოაბრუნეს, მაგრამ, ვაი იმ მობრუნებას: რამდენსამე წამს შემდეგ კიდეც გათავდა. სუყველა დედაკაცებმა ერთბაშათ მორთეს ღრიალი. პატარა ფეფო, შვიდი-რვა წლის ლამაზი გოგო დედის ფეხთით ცარიელ ჭილობზე ეგდო და ამ ხმაზე გამოიღვიძა. მიხვდა, რაც ამბავი იყო იმის დედის თავს და ხმამაღლა ტირილი დაიწყო.

— სუ, შვილო, სუ! — ეუბნებოდა დედაჩემი ტირილით. — ღმერთი მოწყალეა, უდედობას არ შეგამჩნევთ. ადე, ეხლა ჩვენსა წავიდეთ. ხვალ ახალი წელიწადია, ნახე, რამდენი საჩუქრები აქვთ ჩემ ბიჭებს შენთვის.

შემდეგ დედამ განკარგულება მისცა დედაკაცებს და პატარა ფეფოთი წამოვედით შინისკენ.

განთიადი იყო, როდესაც ჩვენს აივანზე ავედით. ნინია ხონჩით ხელში, წმინდა სანთლებ ანთებული, შედიოდა ოთახში. ჩვენც თან შევყევით და იმასთან ერთათ მიულოცეთ ახალ-წელიწადი ყველას. ჩემი ძმები, დაღალულ-დაქანცულები, ფეფოს მისვლა რომ გაიგეს, ფიცხლავ წამოხტნენ.

დედამ ფეფოს ხელი მოჰკიდა, მიიყვანა ჩემ დასთან და უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ᲐᲘ, შვილო, მე საახალწლოთ არ ვიცოდი, რა მეფეშქაშებინა შენთვის და თვით ღმერთმა გამოგიგზავნა საჩუქარი: შენთვის ჩამიბარებია ეს უსუსური ბავშვი. ღმერთმა შვილი არ მოგცა და, ვინძლო, რიგიანად გაზარდო ეს საცოდავი ობოლი, ნამდვილი დედობა გაუწიო და მით აასრულო უდიდესი მოვალეობა ამ სოფლად.

Ერთის კვირის შემდეგ ჩვენმა დამ წამოგვასხა ქალაქში. Პატარა Ფეფოც თან წამოვიყვანეთ და ბოლო არა ჰქონდა ჩვენს სიხარულს, როდესაც იმის ტანზე, დაფხრეწილ ჩითის კაბის მაგიერ, მიხაკისფერი კაბა დავინახეთ.

---

# რად დაგვივიწყეს?

Ზობის შაბათი საღამო იყო. ᲩᲕენი პანსიონი მთლად დაცარიელდა: ყველა შეგირდებს, ქალაქში თუ სოფელში მცხოვრებთ, პატრონები მოუვიდნენ და წაიყვანეს სადღესასწაულოდ. ᲛთელᲚ დღეს ჩვენს ჟივილ-ხივილს, სირბილს და მომავალ თავისუფლებით აღტაცებას ბოლო არ ჰქონდა. ᲛᲔ თითო-თითოდ გავაცილე ჩემი ამხანაგები, გზა დავულოცე და, ბედნიერმა, გულიანად გადავკოცნე, იმ იმედით, რომ მეც აღარ დავიგვიანებდი გამგზავრებას.

ᲩᲕენი სოფელი ქალაქიდან ნახევარ დღის სავალზეა და, თუმცა ბინდმაც მოატანა, მაგრამ მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული კიდევ არ გამიტეხია. წამდაუწუმ ჩემ ყურში „ტარანტასის“ ზარის წკრიალი გაისმოდა და გულის კანკალით გარედ გავრბოდი. მაგრამ, ვაი შენს მტერს! ბინდი შავ ღამეზედ შეიცვალა; დიდი და პატარა დასაძინებლად მოემზადა და ჩვენი წითელი იორღა ცხენები არსადა სჩანდნენ.

გულდამწვარი, სევდიანის სახით შეველ ჩვენს საწოლ ოთახში და შუა ალაგას გავჩერდი. მე კიდევ ეჭვში ვიყავ, ჯერ გამეხადა ტანთ თუ არა. ოჰ, რა საშინელი მყუდროება იყო ამ დიდ, ვეებერთელა საწოლ ოთახში! თეთრებ-გადაფარებული, რიგზედ ჩამწკრივებული ტახტები თავის უძრაობით და სიჩუმით სასაფლაოს ქვებს მაგონებდა; ძლივს მბჟუტავი ლამპარი რაღაც ცრუმორწმუნეობას სძრავდა ჩემ გულში.

მე წარმომიდგა, ვითომ ცოცხლად დამარხული ვარ ამ საფლავებ შორის, დავიწყებული მშობლებისაგან და გულიდგან საშინელი ქვითქვითი ამომსქდა. აქეთ-იქიდგან საჩქაროდ ზედამხედველი ქალები შემოცვივდნენ და გაოცებით მკითხავდნენ მიზეზს.

დავმშვიდდი... ჩუმად გადავშალე ჩემი ლოგინი და ჩავწექ. ქალები ისევ მიიმალნენ. მე თავზე საბან-წახურული შევუდექ იმ ფიქრებს, თუ რა მიზეზით არ მომიკითხეს ჩემმა მშობლებმა. რა აღტაცებით ჩავიდე ჯიბეში ის პაწაწკინა ქაღალდი, რომელზედაც დაწერილი იყო ჩემი კარგად სწავლის ნიშნები! ყოველ ციფრს იმ ქაღალდზედ მე ისე ვუყურებდი, როგორც გულის ვარდს დედი-ჩემისათვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ის კი არა, დედამ, არამც თუ იმ ციფირების ნახვა არ მოინდომა, თვით იმათი შემძენი შვილიც კი დაივიწყა.

მე ვებარე ქალების ერთ კარგად გაწყობილ პანსიონში. ყოველივე კეთილი ტრიალებდა ამ სასწავლებელში: სისუფთავე, სიუხვე, სრული მამობრივი მოქცევა შეგირდებთან; მეტადრე მე, როგორც წარჩინებული მოწაფე, სასიყვარულო და თავ-მოსაწონი ვიყავი თვითონ დირექტრისასი, რომელიც, როგორც ნამდვილს შვილს, ისე მინახავდა; მაგრამ ყოველივე ეს სიფაქიზე იყო უცხო ჩემთვის, უცხო მეტადრე დღეს, როდესაც მინდოდა ჩემის დედის ძუძუებში ვყოფილიყავ მიკრული.

მე ჩემ გუნებაში კიდეც ვადარებდი ჩვენს სოფელში უშნოდ აწოწვილს სახლს ამ მდიდრულად მორთულს ოთახებს, ჩვენს ქალამნებიან ბიჭებს — იმათ დაწვრთნილ ლაქიებს. ამათ სასმელ-საჭმლისა და სხვა საოჯახო მოწყობილობისათვის, შედარებით ჩვენისა, არ შემეძლო უპირატესობა არ მიმეცა, მაგრამ მაინც გულს მუხრუჭი ედო და თვალებიდან ცრემლები მდიოდა, რომ იმ უარესობაში არ ვლაღობდი და აქ ფუფუნებაში მომწყვდეული ვიყავ. მთელი დღე გონება დაბნეულივით დავდიოდი ცარიელ სასწავლებელ ოთახებში, ვიცქირებოდი ფანჯრებში, ვსვამდი, ვსჭამდი, მაგრამ ყველა ამ ჩემ მოქმედებაში სული სულ სხვაგან იყო.

ასე, ამ რიგად მიდიოდა დღე დღეზედ მთელი უკანასკნელი კვირა დიდ-მარხვისა. დირექტრისა მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყობდა მწუხარებას, მიალერსებდა, მაძლევდა მრავალ მხატრობებს, საბავშვო წიგნებს; ბევრჯელ კანფეტებითაც მივსებდა კალთებს, მაგრამ ჩემ პირზე ღიმილი არ მოვიდა. სხვათა შორის მე ის აზრიც ძლიერ მაწუხებდა, რომ არ ვიცოდი ჩემი უმცროსი ძმა, რომელიც ვაჟების პანსიონში ებარა, წაიყვანეს თუ არა.

ᲐᲚᲓᲒᲝᲛᲘᲡ შაბათს დირექტრისამ მოსამსახურე გაგზავნა ჩემ ძმასთან და პატარა ხანს უკან მე და ის ტირილით გადავეხვიეთ ერთმანერთს. ᲯᲔᲠ ბევრი ვიტირეთ კუნჭულში და მერე ხელი-ხელ გადახვეული ერთად შევუდექით იმის გამოკვლევას, თუ რა მიზეზით არ მოგვიკითხეს მშობლებმა.

— ᲣᲗᲣᲝᲗ ცხენები მგელმა შეჭამეს,—მითხრა ᲐᲡᲘᲙᲝᲛ და, აბა, „ტარანტასში“ რაღას შეაბამდნენ.

— ᲠᲝᲒᲝᲠ თუ რაღას შეაბამდნენ?—შევყვირე მე:—ძია ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ვერა სთხოვდნენ, ან ველარ იყიდნენ? ცხენების გულისათვის როგორ დაგვყარეს აქა? ან თუ „ტარანტასით“ არა, ურმით კი ვერ წავიდოდით?

— ᲐᲜ იცი რა, ᲜᲐᲢᲝ?—დაუმატა ᲐᲡᲘᲙᲝᲛ:—მამა უთუოდ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ წავიდა და, აბა, ვინღა წამოვიდოდა ჩვენ წასაყვანად.

— ᲠᲐᲦᲐ ახლა წავიდა, რაღა ახლა მოუნდა წასვლა!--ვანჩხლობდი მე.—ᲒᲐᲜᲐ ჩვენ რომ შინ აგვიყვანდა, მერე კი ველარ მოასწრებდა წასვლას? მაგრამ არა, ჩემო ᲐᲡᲘᲙᲝ! ეგ კი არა, ჩვენ დედ-მამას არ ვუყვარვართ და ამისათვის არ წაგვიყვანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ მე კიდევ მდუღარება გადმოვღვარე და ასიკომაც ბანი მომცა.

კარგა დიდის ხნის ტირილის შემდეგ ასიკომ ამოოხვრით სთქვა:

— ეხლა დედა უთუოდ კვერცხებს ღებავს... ვარდისახარი რამდენს მოაგროვებდა დიდ-მარხვაში?!. გახსოვს, ნატო, შარშან რა კირკიტი კვერცხები ამომირჩია? ჩვენებიანთ ნიკოს და ტატოს ორი ჯიბე კვერცხი დაუმტვრიე.— ხვალ პავლია მემცხვარე რამდენ ბატკნებს ჩამორეკავს ფარეხიდან!—განაგრძო ასიკომ მოგონება:—სულ ჭრელებს არ აარჩევს ხოლმე ის კუდიანი! შარშან სადა ბატკანი მარტო შენ გერგო, მერე შუბლი რომ წითლად შეუღებე!..

მე ვუსმენდი ასიკოს და თვალწინ ცხოვლად მედგა ის სურათი, თუ რა სამზადისშია ეხლა ჩვენი ოჯახი: შუა ღამე ახლოვდება. ბასახსნილებლად სასმელ-საჭმელი სულ მომზადებულია და სასტუმრო ოთახში გაშლილ სტოლზე აწყვია. დედა ტანისამოსს გვიმზადებს. ჩვენ მოუთმენლად ველით ახალის ტანისამოსის ჩაცმას და, აღელვებულნი, თავს დავტრიალებთ. ჩემი თეთრი კაბა, განიერის ლურჯის ლენტით წელზედ, გულს მიფანცქალებს; ახალი ქუდი და სხვა და სხვა სააღდგომო მორთულობის სამკაული ათასჯერა მაქვს გასინჯული და კიდევ ათასჯერ მოუთმენლად ვსინჯავ.

ვნახოთ, ზარი ჩამოჰკრეს.—„ჩქარა ჩაიცვით, ჩქარა!“ გვაჩქარებს დედა.

ჩვენ საჩქაროდ, ფაცი-ფუცით ვიცვამთ, ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანეთს ვეხლებით, სარკესთან დგომაზე ვჩხუბობთ და ვგვიანდებით.

როდის-როდის მოვემზადეთ და, დიდის კელეპტრებით ხელში, შევუდექით კარგა მოდიდო აღმართს, რომლის თავზედაც ჩვენი ეკლესია სდგას. ეკლესია მთლად გაჩაღებულია. მშვენიერი მყუდრო ღამეა და აღდგომის კელეპტრები ბრწყინვალედ ლაპლაპებს სიბნელეში.

—„ჩქარა, ლიტანია არ დაგვასწრონ, ჩქარა!“ გვიტატანებს მამა.

და ჩვენც გულ-ს კანკალით, რომ არ დაგვასწრონ, გავრბივართ, თუმცა ყველანი დარწმუნებული ვართ, რომ ვასილ მღვდელი უჩვენოდ ლიტანიას არ შემოუვლის.

აი, მივედით. ეკლესიის გალავანი გაჭედილია გლეხ-კაცებით. ქალი, კაცი, ბავშვები ყველანი მხიარულობენ, სუყველას პირის სახეზედ რაღაც ბედნიერება აწერია.

„ქრისტე აღსდგა!“ მოისმა ბოხი ხმა მამა ვასილისა და მაშინვე ზარივით ერთხმივი პასუხი ხალხისა:

—„ჭეშმარიტად!“

მე ისე გამიტაცა ოცნებამ, რომ ჩემი თავი ნამდვილად ეკლესიაში წარმოვიდგინე და სხვასთან ერთად დავიყვირე: „ჭეშმარიტად!“ ჩემ ღრიალზე ასიკო, რომელსაც ჩემ მუხლზე ჩასძინებოდა, შეხტა და ტირილი დაიწყო. მე შემრცხვა და ნუგეშის ცემა დავუწყე. ამასობაში ორთავეს, ხელი-ხელ გადახვეულებს, შეუნიშნავად ჩაგვეძინა.

ჩვენ ვისხედით სრულიად მარტოდ სადილის საჭმელ ოთახში. მთელი სახლობა ლიტანიაზედ წასულიყო და, თავის ბედნიერებაში სულ დაჰვიწყე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდათ ორი საცოდავი ბავშვი, რომელნიც ობლებსავით უპატრონოდ ძილს მისცემოდნენ. ბანთიადისას ძილში ზარის წკრიალი შემომესმა. დაფეთებულივით ფეხზე წამოვხტი და ოთახის კარებში მამაჩემს შევეფეთე.

— მამავ, მამავ, რად დაგვივიწყეთ!—ტირილით ვუსაყვედურე მამას და მხურვალედ გულში ჩავეკარ.

— შვილებო,—სთქვა მამამ ნაღვლიანად:—საყვედურს კი ნუ მეუბნებით, ღმერთს მადლობა შესწირეთ, რომ დედა გამოგიბრუნდათ და უდროოთ ობლებად არ დამირჩით. წუხელის, ორის კვირის შემდეგ, პირველად მოვიდა გონზე და იმისი პირველი სიტყვა თქვენი მოგონება იყო.

მე ამ სიტყვებზედ მთლად გავშეშდი, სირცხვილის ოფლმა დამასხა. დახე, რა ყოფილა დავიწყების მიზეზი და მე, უმადური კი, რეებს არ ვაბრალებდი ჩემ საყვარელ დედას.

— აი, მეც გამოვეჩქარე. აბა, წავიდეთ! დღეს სოფელი ძღვნებით მოვა ჩვენთან და, სადილათ რომ შინ არ დავუხვდეთ, სირცხვილია.

ერთს საათს შემდეგ, ჩვენი ოორლა ცხენები სოფლისაკენ მიაქროლებდნენ „ტარანტასს“. მინდვრები მშვენივრად იყო ამწვანებული. ახლად გაფურჩქნულ ხეებზე მრავალი ფრინველი ჭიკჭიკობდა. ბარშემო სუყველაფერს თითქო ქრისტეს აღდგომის სიხარული ეწერა სახეზედ. მარდის ცხენების სირბილი ყოველ წამს გვიახლოვებდა სოფელს და „ტარანტასის“ პატარა ზარის წკრიალი სიტკბოებით ავსებდა ერთის კვირის მწუხარებით გატეხილს გულსა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა